პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 თებერვალი **ოთხშაბათი** 2014

№ 032 (14 253) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოკოშკოვის 80%



12



## 10 საკონტროლო ნაკრებისთვის

ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მიხეილ გაბრიჩიძესთან

# ქალები აისბერგში



დღეს 21:17. სოჭში ელენე ისრიალებს

ელენე გედევანიშვილი სოჭის ყინულზე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## მედლები სოჭი 2014

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 3 | 4 | 15 |
| 2. ნორვეგია | 7 | 4 | 7 | 18 |
| 3. ჰოლანდია | 6 | 6 | 8 | 20 |
| 4. აშშ | 6 | 4 | 10 | 20 |
| 5. რუსეთი | 5 | 8 | 6 | 19 |
| 6. შვეიცარია | 5 | 2 | 1 | 8 |
| 7. ბელარუსი | 5 | 0 | 1 | 6 |
| 8. კანადა | 4 | 9 | 4 | 17 |
| 9. პოლონეთი | 4 | 0 | 0 | 4 |
| 10. ჩინეთი | 3 | 2 | 1 | 6 |
| 11. საფრანგეთი | 3 | 1 | 5 | 9 |
| 12. ავსტრია | 2 | 6 | 1 | 9 |
| 13. შვედეთი | 2 | 5 | 2 | 9 |
| 14. სლოვენია | 2 | 1 | 3 | 6 |
| 15. კორეა | 2 | 1 | 1 | 4 |
| 16. ჩეხეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| 16. იაპონია | 1 | 3 | 2 | 6 |
| 18. ბრიტანეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 19. სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 20. იტალია | 0 | 2 | 4 | 6 |
| 21. ავსტრალია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 22. ფინეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 23. ლატვია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 24. ხორვატია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 25. ყაზახეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 25. უკრაინა | 0 | 0 | 1 | 1 |

## რუსებთან დიდ სტუმრიანობას ველით

ეროვნული ნაკრების ღია ვარჯიში

13



## პსჟ-მ თითქმის გაინაღდა, ბარსელონამაც?



## პეპი თუ არსენი, კლარენსი თუ დიეგო?

დღეს:

არსენალი-ბაიერნი
მილანი-ატლეტიკო

8-9





## ჯერ ექვსეული, მერე ევროპა

2

ინტერვიუ ზესტაფონის მთავარ მწვრთნელ გია გეგუჩაძესთან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრების შეჯამება. ზესტაფონი



გია გეგუჩაძე

# გია გეგუჩაძე: ჯერ ექვსეული, მერე ევროპა...

საქართველოს ორგზის ჩემპიონი „ზესტაფონი“ ორკვირიანი თურქული შეკრებიდან დაბრუნდა და დღეიდან მზადებას საკუთარ ბაზაზე განაახლებს. თუმცა რაღა მზადებას - უკვე 22 თებერვალს, ცხინვალის „სპარტაკთან“ ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩის ჩატარება მოუწევს, 26-ში კი „ზუგდიდს“ მიიღებს.

**გია გეგუჩაძეს „ზესტაფონში“ უკვე მეორედ უწევს ფაქტობრივად ახალი გუნდის ჩამოყალიბება. თურქეთში გუნდმა 6 ამხანაგური მატჩი ჩაატარა. მთლად ხელწამოსაკრავ მეტოქეებთანაც არ უთამაშია, მაგრამ მთავარი მწვრთნელი მაინც გულნაკლული დარჩა, უფრო კარგი სპარინგ-მატჩები მინდოდაო... სხვა კი „ზესტაფონის“ თავკაცმა ეს გვითხრა:**

- მთლიანობაში, მოსამზადებელი შეკრებით კმაყოფილი ვარ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თუმცა ამ ორი კვირის განმავლობაში ხარვეზებიც იყო. მაგალითად, შეიძლებოდა და სურვილიც მქონდა, რომ ამხანაგურები უფრო ძლიერ გუნდებთან ჩაგვეტარებინა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდა. საერთოდ არ გვქონდა დაგეგმილი მატჩი დანიურ „ორჰუსთან“, ვითამაშეთ, მაგრამ ოპტიმალური შემადგენლობის დაყენება ველარ მოვახერხე, რადგან ზოგიერთი ფეხბურთელი გადაღლილი იყო. მოკლედ, შეკრების ბოლო დღეებში, ცოტა არ იყოს, გეგმები აგვერია, თუმცა ეგ არაფერი, ვფიქრობ, გუნდი თურქეთში ისე მოემზადა, როგორც ამ ეტაპისთვის არის საჭირო.

**- მოსამზადებელ ეტაპზე ყოველთვის ძლიერ მეტოქეებთან ამჯობინებთ ხოლმე შეხვედრას. ასე იყო მაშინაც, როცა „დინამოში“ მუშაობდით და როცა პირველად მიხვედით „ზესტაფონში“. არადა, ბევრ მწვრთნელს უჯობს, გუნდი სუსტ მეტოქესთან ათამაშოს. ანუ ეს თქვენი სტილი არ არის?**

- ძლიერ მეტოქესთან მატჩი ერთგვარი ტესტია, თუმცა ხანდახან სუსტ მეტოქესთანაც აუცილებელია თამაში. ძლიერთან სპარინგი იმიტომ მსურს, რომ ნაკლი უკეთ დავინახო. ასეთ დროს კარგად ჩანს, სად უჭირს გუნდს და რაზე არის ყურადღება გასამახვილებელი.

**- ანუ, თურქეთში ჩატარებული მატჩებისას მეტოქეებმა „ზესტაფონის“ ნაკლი ვერ დაგანახეს?**

- როგორ არა, ამხანაგურები სწორედ ამიტომ ვითამაშეთ, მაგრამ ვიმეორებ - უკეთესი იქნებოდა, უფრო ძლიერ მეტოქეებთან გვეთამაშა. ისე კი, ცხადია, „ზესტაფონის“ ნაკლი ამ მეტოქეებთანაც გამოჩნდა.

**- მაგალითად?**

- იმ ფეხბურთისგან, რომელიც მსურს, „ზესტაფონი“ დღეს შორს არის, თუმცა ფრაგმენტულად კი გამოჩნდა, რისკენაც ვისწრაფვით. ყველა მატჩში საკმარისზე მეტი საგოლე მომენტი შევქმენით. ეს კარგი იყო, მაგრამ ამ მომენტების რეალიზება რომ ვერ შევძელით, ეს კი არ მომეწონა.

**- შეიძლება ითქვას, რომ გუნდი უკვე დაკომპლექტებულია?**

- იმ მიზნის მიღწევა, რაც დასახული გვაქვს, ვფიქრობ, ამ გუნდითაც შეიძლება და ამიტომ, კომპლექტაციის პროცესი დასრულებულია. ახლა უკვე ყველა ფეხბურთელმა მაქსიმალურად უნდა მოინდომოს და თითოეული ქულისთვის ბოლომდე იბრძოლოს. სატურნირო თვალსაზრისით, ჩვენთვის ახლა ერთ ქულასაც ოქროს ფასი აქვს.

**- მიზანი რა არის?**

- ჯერ ექვსეულში მოხვედრის საკითხი უნდა მოვაგვაროთ, ხოლო შემდეგ ევროსაგზურის მოპოვებისთვის ვიბრძოლოთ. ძალიან ძნელი საქმე იქნება, რადგანაც სამეულისთვის პრეტენზიას რამდენიმე გუნდი აცხადებს, რაც საქართველოს ჩემპიონატისთვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულო ამბავია.

**- რომელი გუნდები გესახებათ უმთავრეს კონკურენტებად?**

- ამ მოსამზადებელ პერიოდში გულხელდაკრეფილნი არც ჩვენი მეტოქეები ყოფილან. ვიცი, რომ ისინიც გაძლიერდნენ. ვნახოთ, ყველაფერს ურთიერთშეხვედრები გამოაჩენს.

**- ადრე „დინამო“, ფაქტობრივად, თავიდან ააწყვეთ. მერე იყო „ზესტაფონი“, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშის პრეტენზია ჰქონდა, ახალი გუნდის შექმნა გიწევდათ ქუთაისში და ახლაც იგივე ხდება... ახლა უფრო რთულია კარგი გუნდის აწყობა?**

- ვერ ვიტყვი, ძნელია შედარება. ყველა გუნდს და პერიოდს ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე, პროცესების განვითარება... მომავლის ხედვა აბსოლუტურად განსხვავებული იყო. და ყველაზე მთავარი - სხვადასხვა თაობასთან მიხდებოდა მუშაობა. ახალი გუნდის აწყობა კი, ცხადია, იოლი არც ათი წლის წინ იყო და არც ახლაა. თუ არ მოინდომე, თუ ბიჭებმა შენი თავიდანვე არ ირწმუნეს და ხელშეწყობა არ გექნა, სხვანაირად ამ საქმის დაწყებას აზრი არ აქვს.

**- ამას წინათ, გავრცელდა ფოტო, რომელზეც „ზესტაფონის“ ყოფილი პრეზიდენტი ილია კოკაია თურქეთში, საკლუბო ფორმით, თქვენ გვერდით დგას. დაბრუნდა ის „ზესტაფონში“?**

- თურქეთში ის როგორც გუნდის ქომაგი, ისე იყო ჩამოსული, ხოლო კლუბში არსებულ ყველა საკვანძო საკითხს გენერალური დირექტორი მიხეილ ხუციშვილი წყვეტს.

კობა ინასარიძე

ზუგდიდი

# მარცხი, 3 პენალტი და... კრკელიჩი

17 თებერვალს, თურქულ შეკრებაზე მყოფი „ზუგდიდი“ სომხეთის უმაღლეს ლიგაში მე-7 ადგილზე მყოფ „ულისეს“ შეხვდა. 42-ე წუთზე ანგარიში სომხებმა გახსნეს. 50-ე წუთზე ჩვენების კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც მეკარე **მაქსიმე ქვილითაიამ** მოიგერია, მაგრამ დამატებაზე მეტოქემ ზუგდიდელ მცველს მაინც დაასწრო - 0:2.

53-ე წუთზე **დავით კირკიტაძემ** მისივე წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი გამოიყენა - 1:2. სამ წუთში კი **გიორგი დარასელიას** გუნდის კარში კიდევ ერთი პენალტი დაინიშნა, რომელიც ქვილითაიამ ისევ მოიგერია და ამჯერად მეტოქეს დამატებაზეც აჯობა.

ზუგდიდი: **ზარქუა (46. ქვილითაია), დ. ქირია (63. ფარჯიკია), მირცხულავა, აფაქიძე, ჯავაშვილი (34. ქვარცხავა), ქათამაძე (60. ქებაძე), სიხარულია (40. გ. სამუშია), კირკიტაძე, შ. ლომია (46. კავალიაუსკასი), გუგუჩია (31. ნ. ქირია), კრკელიჩი (60. ბულია).**

შეამჩნევდით, ზუგდიდელთა შორის ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა, თანაც - უცხოელი. ეს არის **ჯორჯე კრკელიჩი** - 23 წლის ჩერნოგორიელი ფორვარდი, რომელიც სამშობლოში „მლადოსტის“ (2010-12) ღირსებას იცავდა. შემდეგ იჯარით ისრაელში, კერძოდ, რაანანას „ჰაპოელში“ გადავიდა, 2012/2013 წლებში ჩერნოგორიული „რუდარის“ ფორმა



ზუგდიდში ჩერნოგორიელი ჯორჯე კრკელიჩი გამოჩნდა

მოირგო, ბოლოს კი მაკედონიის „ნაპრედოკში“ თამაშობდა და მიმდინარე სეზონში 18 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

გუშინ „ზუგდიდმა“ ბოლო სპარინგები ჩაატარა. პირველ მატჩში დარასელიას გუნდმა რუსეთის პრემიერლიგის წარმომადგენელ „ტომის“ ახალგაზრდულ გუნდს 2:0 მოუგო. გოლები **ზვიად სიხარულიამ** (მე-15 წუთი) და **აკაკი ფარჯიკიამ** (33) გაიტანეს.

ზუგდიდი: **ჯომიდავა, ქვარცხავა, ნიკოლაძე (30. დ. ქირია), მჭედლიშვილი, ჯავაშვილი (36. ქათამაძე), ნ. ქირია, სიხარულია, ფარჯიკია, ქებაძე, ბულია (36. ნიტაიშვილი), კავალიაუსკასი.**

შეკრების დასკვნით სპრაინგში „ზუგდიდი“ ბულგარეთის პირველი ლიგის მეექვსეადგილოსან „მონტანასთან“ 1:4 დამარცხდა. ჩვენებურთაგან გოლი **გურამ სამუშიას** ანგარიშზეა (50-ე წუთი). ამ შეხვედრაში დარასელიამ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა:

**ქვილითაია (46. ზარქუა), ნიკოლაძე (59. ქვარცხავა), აფაქიძე, მირცხულავა (78. მჭედლიშვილი), ჯავაშვილი (46. დ. ქირია), ქებაძე (46. სიხარულია), ქათამაძე, კირკიტაძე (78. ნიტაიშვილი), შ. ლომია (78. ფარჯიკია), გ. სამუშია (77. კავალიაუსკასი), კრკელიჩი (74. ბულია).**

მერაბ მამულაშვილი

ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი

# პირველ ლიგაში ხუთი შეცვლა დაუშვეს

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა შედგა, რომელზეც მთლად საკაცობრიო მნიშვნელობის არა, მაგრამ ქართული ფეხბურთისთვის საჭირო საკითხები კი განიხილეს და ერთიც ისეთი...

საკითხები წინასწარ იყო მომზადებული და ალმასკომის წევრებს მხოლოდ მხარდაჭერა უნდა დაეფიქსირებინათ. პირველ რიგში, ალმასკომს უმაღლესი და პირველი ლიგის კალენდარი და თასის გათამაშების დებულებაში ცვლილებები უნდა დაემტკიცებინა, ხოლო შემდეგ, კლუბების ლიცენზირებიდან გამომდინარე, ის პრიორიტეტები უნდა ჩამოეთვალა, რის მიხედვითაც უმაღლესი ლიგა დაკომპლექტდებოდა. განსახილველი არაფერი იყო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ალმასკომმა ეს გადაწყიტა:

- პირველ რიგში, უმაღლეს ლიგაში დაიშვებიან ეროვნული ლიცენზიის მფლობელი კლუბები, რომლებმაც სპორტული პრინციპით მოიპოვეს 2014-15 წლებში უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება.

- შემდეგ დაიშვებიან პირველი ლიგის ეროვნული ლიცენზიის მქონე კლუბები, რომლებიც დააკმაყოფილებენ პირველი



ზვიად სიჭინავა

ლიგიდან გადმოსვლის წესს. ამ წესსაც არეგულირებენ სალიცენზიო გადაწყვეტილებები. პირველი ლიგის პლეიოფებში მონაწილეობენ მხოლოდ ლიცენზირებული კლუბები, დაკავებული ადგილების მიუხედავად. აუცილებელი პირობაა პლეიოფის მატჩები დაიგეგმოს სალიცენზიო ციკლის დასრულების შემდეგ (ანუ 30 მაისის შემდეგ). აპელაციების არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია პლეიოფის მატჩების უფრო ადრე ჩატარებაც.

- ამის შემდეგ, სპორტული რეიტინგის შესაბამისად, უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებენ ეროვნული ლიცენზიის მქონე კლუბები, რომლებიც გავარდნენ უმაღლესი ლიგიდან.

- და ბოლოს, უმაღლეს ლიგაში კლუბების დეფიციტის შემთხვევაში, ვაკანტური ადგილების შევსების საკითხს წყვეტს სფფ-ის ალმასკომი, რომელიც, პირველ რიგში, ითვალისწინებს სპორტულ პრინციპსა და საკლუბო ლიცენზირების შედეგებს.

ერთი საინტერესო გადაწყვეტილება კი საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდებს შეეხოთ. ჩემპიონატის განახლების შემდეგ გუნდს მატჩში 5 შეცვლის გაკეთების უფლება მიეცემათ. ამ შეღავათის თაობაზე პირველლიგელებს ალმასკომისთვის იქით მიუმართავთ, რაც ფედერაციაში დააკმაყოფილეს კიდეც და გადაწყვეტილების მიღება ასე ახსნეს - რამდენიმე ევროპული ქვეყნის გამოცდილება გავიზიარეთო.

კობა ინასარიძე

დაჯილდოება

# საბურთალოს პეთ-თრიკი

თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ (თფფ) დაარსების 22-ე წლისთავი საზეიმო დაჯილდოებას დაამთხვია. თფფ-მ დედაქალაქის 37 საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელი გამოჰკითხა და ოთხ ნომინაციაში გამარჯვებულები გამოავლინა: 2013 წლის საუკეთესო მწვრთნელი, გუნდი, სკოლა და სამი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა მსაჯი. პირობა ასეთი იყო - გამოკითხულებს საკუთარი სკოლის, გუნდისა და მწვრთნელის დასახელება არ შეეძლოთ.

დაჯილდოება რესტორან „არისტოკრატში“ საქართველოსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციების, თბილისის მერიისა და კომპანია „სალერის“ ხელშეწყობით გაიმართა და „საბურთალოს“ ტრიუმფით დასრულდა. პირველ სამ ნომინაციაში საუკეთესოდ სწორედ ამ სკოლის წარმომადგენლები აღიარეს.

საუკეთესო მწვრთნელი - **ვალერი გაგუა (ნომინანტები ვასილ მაისურაძე, მიხეილ მოსიაშვილი)**

საუკეთესო გუნდი - **საბურთალო, 1998 წელს დაბადებულები (მწვრთნელი ვლადიმერ მუსერიძე)**

საუკეთესო სკოლა - **საბურთალო**

სამი ახალგაზრდა პერსპექტიული მსაჯი - **გიორგი ავაზაშვილი, კახა კახაბერი, სანდრო ელიკაშვილი**

„საბურთალოს“ ხელმძღვანელებს (**ტარიელ ხეჩიკაშვილი, კახა ჭუმბურიძე**) პრიზი თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **გრიგოლ ცაავამ** და გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ** გადასცეს.

„საბურთალომ“ ეს პრიზი ზედიზედ მეორედ მოიპოვა. საუკეთესო მწვრთნელად დასახელებული **ვალერი გაგუა** ცნობილი ქართველი მწვრთნელის, **რევაზ გაგუას** შვილია. უფროსმა გაგუამ საქართველოს ასაკობრივი ნაკრები (16-წლამდელები) პირველად გაიყვანა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. მისი გაზრდილია საქართველოს ნაკრების პირველი თაობის ბევრი მოთამაშე - **აკაკი დევაძე, გოჩა გუჯაბიძე, დავით ყიზილაშვილი, გიორგი ნემსაძე**, საბერძნეთის ნაკრებში კი წლების განმავლობაში თამაშობდა **ანდრო კიურჯიევი** (ნინიადისი).

ვალერიც მამის კვალს გაჰყვა. სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში მისი ბევრი გაზრდილი თამაშობს, მაგრამ ამ ახალგაზრდა კაცს მწვრთნელობის ნიჭი ალმოაჩნდა. ალსანიშნავია, რომ ის 1999 წელს 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის თანაბომბარდირი გახდა.

*„მოთამაშის კარიერა ნაადრევად დავასრულე და მწვრთნელობა სამი წლის წინ, მამაჩემის ასისტენტად დავიწყე. რეზომ ბევრი რამ მასწავლა და მისი დამსახურებაა, დღეს ასეთი აღიარება რომ მხვდა წილად. ამაში წვლილი ჩემს სკოლას, „საბურთალოს“ მიუძღვის, რომელიც მენდო და რეალიზაციის საშუალებას მაძლევს. გულწრფელად ვამბობ - ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემი კოლეგები მაღიარებდნენ. მადლობა მათ, დღეს უზომოდ ბედნიერი ვარ“*, - ამბობს ვალერი გაგუა, რომელიც 1999 წელს 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის თანაბომბარდირი გახდა.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტორპედო

## რევაზ ძოძუაშვილი: საინტერესო ფეხბურთელები აღმოვაჩინეთ




იგორ სავჩენკოვსი მოედნიდან უგოლოდ არ გადის

**რევაზ ძოძუაშვილის** განვრთნილმა „ტორპედომ" მორიგი სპარინგი გამართა. პირველ ლიგაში მოასპარეზე ბათუმის „ადელთან" ქობულეთში დაგეგმილი მატჩი, საბოლოოდ, ბათუმელთა სტადიონზე შედგა.

25-ე წუთზე მასპინძლები პენალტით დაწინაურდნენ - 1:0. ზედიზედ მეორე მატჩია, ქუთაისელთა ახალწვეული, ლატვიელი **იგორ სავჩენკოვსი**, მოედნიდან უგოლოდ არ გადის. 50-ე წუთზე „ტორპედომ" წონასწორობა სწორედ მისი ზუსტი დარტყმით აღადგინა - სავჩენკოვსმა **ირაკლი ხუჭუას** ჩაწოდება თავურით დააგვირგვინა - 1:1. ეს ანგარიში თამაშის ბოლომდე აღარ შეცვლილა.

ტორპედო: **ს. ცაბუტაშვილი (46. ადამია), ზ. გელაშვილი (70. ვოლნერი), თ. ჩადუნელი, სავჩენკოვსი, ხუჭუა (65. ნ. ხარაბაძე), გოგიჩაიშვილი (46. ლალაძე), მამასახლისი, ლექვთაძე (60. ლვიტიძე), გ. ჩიკვაიძე (46. დ. ხურციძე), მარკოზაშვილი, მ. ლონლაძე.**

წლის პირველ ოფიციალურ თამაშს „ტორპედო" 22 თებერვალს გამართავს - დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში ძოძუაშვილის გუნდი ქუთაისში გორის „დილას" დაუხვდება. მატჩამდე ოთხი დღე დარჩა და, ცხადია, ქუთათურები ამხანაგურ მატჩებს აღარ გეგმავენ. ფაქტობრივად, „ტორპედომ" ჩემპიონატისა და სათასო დაპირისპირებებისთვის მზადება დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისელებმა ვარჯიში 10 იანვარს დაიწყეს. დღემდე კლუბს არ ჰყავს ახალი პატრონი, გაურკვევლობა გრძელდება. ცხადია, ამის გამო უცხოური შეკრებაც გამოირიცხა.

გამომდინარე აქედან, ძოძუაშვილმა საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღო: გუნდის შესათამაშებლად და გასასინჯი მოთამაშეების გასაფილტრად, 37 დღეში „ტორპედოს" 12 ამხანაგური მატჩი ათამაშა. ანუ, ლამის ყოველ სამ დღეში ერთხელ ქუთათურები სხვადასხვა მეტოქესთან ცდიდნენ ძალებს. ამ 12 სპარინგიდან ძოძუაშვილის შეგირდებმა 6 მატჩი მოიგეს, 3 ფრედ დაასრულეს და ამდენივე წააგეს. თუ რამდენად ნაყოფიერად მოემზადა „ტორპედო" სეზონის განახლებისთვის, ეს თასის მეოთხედფინალში გამოჩნდება.

*„დაკომპლექტება უკვე დასრულებულია, ახალწვეულებთან კონტრაქტები გავაფორმეთ. სხვებთან ერთად, განაცხადშია დავით ხურციძე, რომელიც მოსკოვის ცსკა-ს დუბლებში თამაშობდა - საინტერესო, პერსპექტიული ფეხბურთელია. ვერ ვიტყვი, რომ მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილი ვარ. ან როგორ ვთქვა, როცა სულ რაღაც ოთხი დღეა, რაც საღორიის ბაზის სასადილო გაგვიხსნეს. გუნდის მომზადებისას კი ყველა წვრილმანს, მათ შორის კვებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სულ მოსამზადებელ ეტაპზე 40-მდე მოთამაშე გავსინჯეთ და მგონია, საინტერესო ფეხბურთელებიც აღმოვაჩინეთ. თუ გახსოვთ, თავის დროზე, რიგის „სკონტოსა" და ლატვიის ნაკრებში ლუკაშევიჩი ქუჩიდან ავიყვანე. ვფიქრობ, რომ რამდენიმე უცნობ ახალწვეულს არანაკლები პერსპექტივა გააჩნია"*, - ამბობს ძოძუაშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

● დილა

## ხოჯავა შეიძლება დაბრუნდეს

### გორელიშვილი ისევ რუსეთისკენ

ვლადიკავკაზის „ალანია" ორივე ქართველმა დატოვა: **ოთარ მარცვალაძე** კარიერას თბილისის „დინამოში" გააგრძელებს, **გოჩა ხოჯავა** კი ჯერჯერობით უგუნდოდაა. შეგახსენებთ, რომ „ალანია" რუსეთის პირველ ლიგაში მეორე ადგილზე იყო, მაგრამ ვლადიკავკაზელებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ, რის გამოც გუნდი გათამაშებიდან მოხსნეს. ცხადია, მოთამაშეებსაც ახალი კლუბების ძებნა მოუხდათ.

ხოჯავა ახლა საქართველოშია და, როგორც შევიტყვეთ, მისი აყვანა გორის „დილას" სურს. ეს ამბავი კლუბის მენეჯერ **ლევან სილაგაძესთან** გადავამოწმეთ. მან ინტერესი დაგვიდასტურა:

*„ხოჯავა „დილაში" არ ვარჯიშობს, მაგრამ ვნახოთ, შეიძლება, დაველაპარაკოთ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ბიუჯეტი გვექნება, თორემ მასზე უარს რატომ ვიტყვით? ფინანსური პრობლემების ბრალია გორელიშვილის წასვლაც. მას კონტრაქტი დაუმთავრდა და დარჩენა აღარ ისურვა. ბიუჯეტი გაგვინახევრდა და ასეთ სიტუაციაში ვინ დარჩებოდა? თუმცა, იმედია, სახელმწიფოსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის დაწყებული მოლაპარაკება კლუბების სასარგებლოდ დასრულდება და გაცილებით დიდი ბიუჯეტი გვექნება"*.

სილაგაძეს **ლაშა გვალიას** შესახებაც ვკითხეთ. მოგეხსენებათ, „დილადან" რუსულ „ურალში" გადაბარგებულ საყრდენ ნახევარმცველს ვიზას დღემდე არ აძლევენ: *„გადაწყვეტილი ამბავია, რომ ლაშა ვიზას მიიღებს. „ურალის" შეკრება მთავრდება, უახლოეს პერიოდში გვალია საქართველოში დაბრუნდება და გუნდს მეორე შეკრებაზე რუსული ვიზით დაუბრუნდება. ის, რომ რუსეთში ქართველ ფეხბურთელებს ვიზას არ მისცემენ, გაზვიადებული მგონია, რადგან ეს საკითხი უკვე მოაგვარა ჩვენმა ყოფილმა მოთამაშე კახა ალადაშვილმა, რომელიც ხაბაროვსკის „სკა ენერგიაში" გადავიდა"*.

ბოლო ინფორმაციით, გორის „დილას" თავდამსხმელი **მიხაილ გორელიშვილი** რუსეთის მეორე დივიზიონის (დასავლეთის ზონა) კლუბ „ტოსნოში" ისინჯება. სანკტ-პეტერბურგის ოლქის ეს გუნდი თავის ზონაში მეორე ადგილზეა და პირველ ლიგაში დაწინაურებას იმედოვნებს.

დასანანია, რომ რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, რომელმაც ევროპა ლიგაზე „ოლბორგთან" ჩინებულად ითამაშა და დუბლი შეასრულა, ასეთი დაბალი რანგის ლიგაში აპირებს თამაშს. თუმცა კიდევ უფრო დასანანია, რომ რუსეთის მეორე დივიზიონის კლუბებსაც კი ჩვენი ჩემპიონატის ლიდერებზე მეტი ბიუჯეტი აქვთ.

**მერაბ მამულაშვილი**



გოჩა ხოჯავა დილას ღირსებას წინა სეზონში იცავდა

● საქართველოს ჩემპიონატი. სეზონის განახლების წინ

## შემორჩენილი ინტრიგა

**საფეხბურთო** წელიწადი ჩვენთან 22 თებერვალს დაიწყება, როცა საქართველოს თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩები ჩატარდება; აი, რაც შეეხება XXV ჩემპიონატს, მოგეხსენებათ, რომ პირველი ეტაპის დამთავრებამდე ოთხი ტურია დარჩენილი და 16 მარტს დაკომპლექტდება კიდეც ზედა და ქვედა ექვსეულები.

საერთოდ კი, ჩემპიონატი 26 თებერვალს განახლდება, თუმცა, მანამდე წინა წლიდან „შემორჩენილი" ერთადერთი მატჩი („ზესტაფონი" - „სპარტაკი") უნდა ჩატარდეს (ეს შეხვედრაც 22 თებერვალს არის დანიშნული, რამეთუ „ზესტაფონიც" და „სპარტაკიც" თასის გათამაშებას მერვედფინალში გამოეთიშნენ). სხვათა შორის, ძალიან დიდია იმის ალბათობა, სწორედ ამ გამოტოვებული მატჩის შედეგმა რომ სერიოზული კორექტივები შეიტანოს სატურნირო ცხრილში: მოგების შემთხვევაში „ზესტაფონი"... მესამე ადგილზე გადავა, ხოლო თუ მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა, მაინც ზედა ექვსეულში მყოფი შეხვდება გადამწყვეტი ეტაპის დაწყებას.

საერთოდაც, ამ დარჩენილმა ოთხმა ტურმა ძალიან ბევრი რამ უნდა გაარკვიოს: ზედა ექვსეულის ოთხი ვაკანტური ადგილისათვის ხომ ექვსი გუნდი („დილა", „გურია", „სიონი", „მეტალურგი", „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია") იბრძვის!

ამასთან, ჯერჯერობით ნაადრევია ერთიანად განახლებული (მწვრთნელ-ფეხბურთელებიანად) „ტორპედოს" ჩამოწერაც, თუმცა, დარჩენილი ოთხი მატჩის კალენდარს ქუთაისელთა გუნდისათვის მართლაც რთული ეთქმის...

...დღესდღეობით ისეთი სიტუაციაა, რომ ზედა ექვსეულში მოხვედრა გარანტირებული მხოლოდ „დინამოს" აქვს; იგივე შეიძლება ითქვას „ჩიხურაზეც" - საჩხერლებს ხომ ამისათვის დარჩენილ ოთხ შეხვედრაში... ერთადერთი ქულა სჭირდებათ! აი, დანარჩენ ოთხ ვაკანტურ ადგილზე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სერიოზულ კონკურენციას უნდა ველოდოთ და სწორედ ის დარჩენილი ოთხი ტურიც დაგვანახვებს ყველას, თუ რამდენად საფუძვლიანად მოემზადნენ ჩვენი გუნდები ამ ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში.

ისე, რაც მართალია, მართალია: წლეულს რომ „სატრანსფერო აქტივობაა", მსგავსი ხომ მართლაც არასდროს ყოფილა, ისე როგორც ის ფაქტი, რომ უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობამ უცხოური შეკრება გაიარა! ჰო, შარშან დეკემბერში ჩემპიონატში პაუზა გამოცხადდა თუ არა, ერთი-ორის გამოკლებით, თითქმის ყველა დანარჩენი კლუბის წარმომადგენლებისგან მხოლოდ და მხოლოდ ის გვესმოდა, „ფინანსები არ გვაქვს, ახალ ფეხბურთელებს ვერ ვიმატებთ, შეკრებას ვერ ვატარებთ" და ასე შემდეგ.

თუმცა, საბედნიეროდ, 12-ვე გუნდმა მეტ-ნაკლებად იაქტიურა სატრანსფერო ბაზარზეც და ოთხის („ტორპედო", „ვიტ ჯორჯია", „ჩიხურა", „გურია") გარდა, ყველა დანარჩენმა უცხოური შეკრებაც გაახერხა!

ახლა კი თითოეულ გუნდზეც: როგორი სატრანსფერო კამპანია აწარმოეს, რა მიზნები ექნებათ და ასე შემდეგ...



ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ნუკრი რევიშვილი კარიერას მალტაში აგრძელებს

### დინამო

მოქმედი ჩემპიონი და ამ გათამაშების ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი „დინამო" აშკარად სახეშეცვლილი ხვდება სეზონის განახლებას: გუნდიდან 12 ფეხბურთელი (აქედან, ექვსი - ძირითადში რომ მოიაზრებოდა) წავიდა, სამაგიეროდ, ზოგი იჯარიდან დაბრუნდა, ზოგი - მეორე გუნდიდან დააწინაურეს, რვა კი ახალწვეულია.

ახლა მთავარია, ეს, ფაქტობრივად, ახალი გუნდი რამდენად მოკლე დროში შეძლებს ახალ ტაქტიკურ სქემაზე (4-3-3) უპრობლემოდ გადასვლას და ასევე რამდენად მალე შეძლებენ ფეხბურთელები ურთიერთშეთამაშებას. „დინამომ" ყველა რგოლში დაიმატა ფეხბურთელები (უდიდეს ინტერესს იწვევს საქართველოს ჩემპიონატში ხანგრძლივი პაუზის მერე **ოთარ მარცვალაძის** დაბრუნებაც), თუმცა, ისიც სათქმელია, თუ რამდენად უმტკივნეულოდ მოხდება ტრავმირებული **გიორგი ლორიას** სრულფასოვნად ჩანაცვლება. ისე, „დინამოს" მთავარ მწვრთნელს **მალხაზ ჟვანიას** ბევრი სანერვიულო არც უნდა ჰქონდეს: ჩემპიონატში გუნდს სოლიდური ჰანდიკაპი აქვს მდევრებთან და, რაც მთავარია, თითქმის ყველა პოზიციაზე ორ-ორი ფეხბურთელიც ჰყავს.

მოკლედ, „დინამოს" ძირითადში მოსახვედრად სერიოზულ კონკურენციას უნდა ველოდოთ, ოღონდ, ისიც სათქმელია, რომ ზოგი ფეხბურთელი რამდენად მალე შეეგუება ახალ პოზიციაზე ასპარეზობას. მთლიანობაში „დინამოს" ზამთრის სატრანსფერო აქტივობა დადებითად უნდა შევაფასოთ.

### ჩიხურა

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური გუნდი (არც ფინანსების ნაკლებობას რომ უჩივის) უცხოურ შეკრებაზე არ გამგზავრებულა! თუმცა, გამოცდილი სპეციალისტის, **სოსო ფრუიძის** გუნდის ჩამოწერა ფავორიტებიდან უადგილოდ გვეჩვენება: ჯერ ერთი, „ჩიხურა" არასდროს ყოფილა „ერთწლიანი გუნდი" და ამას გარდა, კლუბის გეგმაზომიერი და მიზანმიმართული მუშაობაც ყოველ წელს შედეგს იძლევა.

>> მე-4 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი.

# შემორჩენილი ინტრიგა

« მე-3 გვერდიდან

საქართველოს თასის ფინალში გასვლა, ევროტურნირებზე დებიუტი, სუპერთასის მოგება - ეს ყველაფერი ხომ ერთ წელიწადში (შარშან) მოხდა და წლეულსაც, სულ მცირე, იმავე შედეგს უნდა ველოდოთ.

ყოველ შემთხვევაში, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ კლუბის ისტორიაში პირველად, „ჩიხურამ“ საქართველოს ჩემპიონატის რომელიმე სინჯის მედალი მოიპოვოს. თანაც, „სიონთან“ ერთად სწორედ „ჩიხურაა“ ის გუნდი, სადაც ამ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ყველაზე ნაკლები ცვლილებები მოხდა. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ გუნდი დატოვეს პირველი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირმა **დიმიტრი ტატანაშვილმა** და ასევე პირველი ეტაპის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მცველმა **გიორგი რეხვიაშვილმა**, მიგვაჩნია, რომ ამით გუნდი არ დასუსტებულა.

ყოველ შემთხვევაში, თბილისის „დინამოდან“ სამი ისეთი ფეხბურთელი (**გივი კვარაცხელია, ლევან ხმალაძე, ელგუჯა გრიგალაშვილი**) დაიმატეს, საჩხერელთა გუნდისგან მხოლოდ და მხოლოდ მაღალი მიზნებისათვის ბრძოლას უნდა ველოდოთ.

## დილა

სამწუხაროდ, გორის „დილაში“ ყოველ წელს კი არა, ყოველ ექვს თვეში, ფაქტობრივად, მთელი გუნდი იცვლებახოლმე და გამონაკლისი არც ეს სატრანსფერო პერიოდი ყოფილა. კი ბატონო, გუნდმა უცხოური შეკრებაც გაიარა, ერთი მეორეზე გამოცდილი ფეხბურთელებიც (თანაც, „ჯგუფურად“: ხუთი - „მეტალურგიდან“, სამი - „გურიადან“) დაიმატა, ფინანსური მდგომარეობაც მეტ-ნაკლებად უპრობლემოა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მთავარ მწვრთნელს **რამაზ სოლოლაშვილს**, ბევრი მისი კოლეგის მსგავსად, ფაქტობრივად, ახალი გუნდის გაკეთება უწევს.

არ დაგვავიწყდეს, რომ ამ სატრანსფერო პერიოდში „დილადან“ წასული 16 ფეხბურთელიდან რვა-ცხრა მოთამაშე მუდამ ძირითადში ასპარეზობდა! თანაც, „დილას“ ყველა რგოლში სჭირდება გუნდიდან წასული ლიდერების სრულფასოვნად ჩანაცვლება, თუმცა, ყველაზე პრობლემატური, ალბათ, საქართველოს ნაკრების მეკარის **ნუკრი რევიშვილის** უპრობლემოდ შეცვლა იქნება.

მეორე მხრივ, გორელ ქომაგს ის ტენდენციაც უნდა ახარებდეს, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ „დილაში“ ადგილობრივი ფეხბურთელების სიმრავლე იქნება: პირველი ეტაპიდან „შემორჩენილ“ **რომან ახალკაცს, ნიკოლოზ სადალაშვილსა** და **რომან გოგინაშვილს** ამიერიდან **გივი ქარქუზაშვილი, დავით რაყამაშვილი** და **ლუკა რაზმაძეც** დაემატნენ.

ამდენი საკადრო ცვლილების მიუხედავად, „დილას“ რეალურად ძალუძს ზედა ექვსეულში მოხვედრა; მით უფრო, რომ კონკურენტებისგან განსხვავებით, გორელთა გუნდს არცთუ რთული კალენდარი აქვს.

## სიონი

აი, „სიონს“ კი დარჩენილი ოთხი მატჩი მართლაც ერთი მეორეზე რთული ელოდება (პლუს, სათასო მატჩი - „ჩიხურასთან“), მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ლადო ბურდულის** მსგავსად, ჩვენც მიგვაჩნია, რომ ბოლნისელებს მაინც რეალურად შეუძლიათ ზედა ექვსეულში მოხვედრა.

ამის წინა პირობას კი, ფაქტობრივად, შენარჩუნებული ძირითადი ბირთვი, ნაყოფიერი უცხოური შეკრება (სადაც „სიონი“ სოლიდურ სპარინგ-პარტნიორებს შეხვდა) და, რაც მთავარია, ერთი-მეორეზე გამოცდილი ფეხბურთელების სიმრავლეც იძლევა. ჰო, სწორედ გამოცდილების ფაქტორიც უნდა მივიჩნიოთ ბოლნისელთა გუნდის პლუსად, ისე როგორც გუნდში არსებული სერიოზულზე-სერიოზული კონკურენცია: ლადო ბურდულის განკარგულებაში ხომ 20-ზე მეტი კვალიფიციური ფეხბურთელია, რაც მწვრთნელს მოახლოებული პრინციპული მატჩებისათვის როტაციის საშუალებას აძლევს.

...ბოლო წლებია, „სიონს“, ფაქტობრივად, ერთადერთი მიზანი ჰქონდა - უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება; ახლა კი, ყველა წინა პირობაა შექმნილი, რომ ამ ქვემოქართლურმა გუნდმა ჩემპიონატშიც და თასზეც მაქსიმალურ წარმატებას მიაღწიოს; ამაში კი „სიონს“ ორი გამოცდილი ახალწვეულის, **ილია კანდელაკისა** და **გიორგი ადამიას** ოსტატობაც უნდა წაადგეს...

## გურია

უმაღლესი ლიგის გუნდებიდან ყველაზე გვიან მზადება „გურიამ“ დაიწყო. თანაც, ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ გუნდში თვე-ნახევრის განმავლობაში ფაქტობრივად, სრული გაურკვევლობა იყო! ალარაფერს ვამბობთ ასევე ამ ხნის განმავლობაში ჩაშლილ საწვრთნელ პროცესზეც: გაურკვევლობა იყო კლუბისა თუ გუნდის ხელმძღვანელობაში, გაურკვეველი იყო თუ რა კონტინგენტით უნდა გაეგრძელებინა „გურიას“ ჩემპიონატის მეორე ეტაპი და ასე შემდეგ.

თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ თითქმის იგივე სიტუაცია იყო, საერთოდ, სეზონის დაწყების წინაც და ამ ყველაფრის ფონზე მართლაც სენსაციურად უნდა მივიჩნიოთ პირველი ეტაპის შემდეგ „გურიას“ ზედა ექვსეულში მოხვედრა. თუმცა, ამ პოზიციის შენარჩუნება გუნდის მთავარ მწვრთნელად კვლავ დაბრუნებულ **დავით მახარაძეს** და მის შეგირდებს ერთობ გაუჭირდებათ: მართალია, ლანჩხუთელებს არცთუ საშინელი კალენდარი აქვთ, სამაგიეროდ, კონკურენტები საგრძნობლად გაძლიერდნენ, მაშინ როცა „გურიადან“ ბევრი წამყვანი ფეხბურთელი (**ალექსანდრე კოშკაძე, კობა შალამბერიძე, თენგიზ ჩიკვილაძე, ვლადიმერ ჯოჯუა, ნიკა ჯიშკარიანი, ვალერი იობაშვილი**) წავიდა. თუმცა, „გურიას“ ხომ სიურპრიზების კეთება უყვარს და ვინ იცის, ეს სიურპრიზები იქნებ კვლავაც გაგრძელდეს..

**გია ტუხაშვილი**

დასასრული ხვალინდელ ნომერში



ჩემპიონატის ბომბარდირმა დიმიტრი ტატანაშვილმა (მარჯვნივ) კლუბი შეიცვალა

დინამო



ჩისკო და იენს იანსე (მარჯვენის)

# იანსე გვპირდება...

ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე იციან იმის შესახებ, რომ მართლაც ფორსმაჟორულ სიტუაციაში ჩავარდნილმა თბილისის „დინამომ“ ამ კვირის დასაწყისში კიდევ ერთი ახალწვეული, 28 წლის ჰოლანდიელი **იენს იანსე** დაიმატა. მოგეხსენებათ, რომ თურქული შეკრების პირველივე საკონტროლო მატჩში (პოლონურ „პოდბესკიძიესთან“) ტრავმები მიიღეს და გარკვეული ხნით ჩამოშორდნენ გუნდს **დავით ხურცილავა** და **ოთარ კაკაბაძე** (ორივე - მარჯვენა მცველები არიან).

სეზონის განახლებამდე უმცირესი დრო იყო დარჩენილი და „დინამოს“ მარჯვენა მცველის პოზიციაზე სერიოზული პრობლემა შეექმნა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა კიდეც იენს იანსეს დამატება, რომელმაც მიმდინარე სეზონი ესპანეთის სეგუნდა-დივიზიონში (რანგით - მეორე ლიგაში) დაიწყო და იქაური „კორდობას“ შემადგენლობაში 11 მატჩიც ჩაატარა.

საქართველოს ჩემპიონატში ჰოლანდიელ ფეხბურთელს არასდროს უთამაშია, სამაგიეროდ, იანსეს თანამემამულე მწვრთნელს უმუშავია ჩვენთან: 1998-99 წლების სეზონის მიწურულს თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად **იოჰან ბოსკამპი** დაინიშნა, რომელიც ამ პოსტიდან 1999 წლის ზაფხულში (ევროტურნირებზე მოლდოვურ „ზიმბრუსთან“ ფიასკოს შემდეგ) გადადგა.

ესპანეთში გადასვლამდე იენს იანსემ ხუთი სეზონი „ტილბურგში“ (103 მატჩი) გაატარა, შემდეგ კი სამი სეზონის განმავლობაში „ბრედას“ (58 მატჩი) ღირსებას იცავდა. ანუ, ჰოლანდიის ერედივიზიონში (რანგით, უმაღლეს ლიგაში) ფეხბურთელი რვა სეზონის განმავლობაში თითქმის ყოველთვის ძირითადში რომ ითამაშებს, წესითა და რიგით, საქართველოს ჩემპიონატისათვის მშვენიერი შენაძენი უნდა გახდეს.

იენს იანსეს „საქმეში“ ძალიან მალე ვნახავთ: 22 თებერვალს თბილისის „დინამო“ 2014 წლის პირველ ოფიციალურ მატჩს ჩაატარებს რუსთავში „მეტალურგის“ წინააღმდეგ (საქართველოს თასის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრას ვგულისხმობთ); მანამდე კი საქართველოს ჩემპიონატის პირველი ჰოლანდიელი ფეხბურთელის კომენტარი გვინდა შემოგთავაზოთ, საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ოფიციალურ ვებგვერდზე რომ გამოქვეყნდა:

„თებერვლის დასაწყისში შევიტყვე, „დინამოს“ მხრიდან დაინტერესების შესახებ და როცა კლუბის სპორტული მენეჯერი და მთავარი მწვრთნელი დამიკავშირდნენ, მოხარული დავრჩი ასეთი სახელოვანი კლუბის ინტერესის სფეროში მოხვედრით. მინდა აღვნიშნო, რომ სხვა შემოთავაზებებიც მქონდა, მაგრამ აქაურმა პირობებმა და მიზნებმა მომხიბლა. „დინამოს“ დიდი ისტორია და ტრადიცია აქვს, ევროპაშიც ცნობილი კლუბია. საწვრთნელი ბაზა მართლაც საუკეთესოა, თანაც აქ ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი მზადებისათვის. ამპლუით, მარჯვენა მცველი ვარ, თუმცა მარცხენა ფლანგზეც შემიძლია ასპარეზობა. ვიცი, რომ „დინამოს“ მიზანი საქართველოს ჩემპიონობა და ევროტურნირებზე წარმატებულად ასპარეზობაა. „დინამოს“ გულშემატკივარს კი ვპირდები, რომ ჩემი ახალი გუნდისათვის ასი პროცენტით დავიხარჯები; იმასაც შევეცდები, რომ ჩემი საუკეთესო თვისებები გამოვამჟღავნო და წარმატებისათვის თავს არ დავზოგავ“.

**გია ტუხაშვილი**

გურია

# ...იარა, იარა და გურიაში გამოჩნდა

ლანჩხუთის „გურიამ“ მორიგი ამხანაგური მატჩი ჩოხატაურში, ადგილობრივ „ბახმაროსთან“ გამართა და 2:0 მოუგო. ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა. ლანჩხუთელთაგან თავი **პავლე ხორგუაშვილმა** და **დავით მეგრელიშვილმა** გამოიჩინეს. ორივე - გორის „დილას“ ყოფილი მოთამაშეა. ძმები ხორგუაშვილების ლანჩხუთში გადასვლა არახალია. ძმები გორელები არიან, მაგრამ ბოლო ორ სეზონში ვალტერმა „დილაში“ მხოლოდ 3-ჯერ ითამაშა, პავლემ კი 2-ჯერ. ამიტომაც იძულებულები გახდნენ, ახალი გუნდი მოეძებნათ.

მეგრელიშვილი კი „გურიაში“ რამდენიმე დღის წინ გამოჩნდა. 22 წლის მარცხენა მცველი ფოთელია და „კოლხეთში“ თამაშობდა. 2011 წელს, როცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ გორის „დილას“ გაძლიერება დაიწყო, მეგრელიშვილი **თემურ მახარაძემ** მიიწვია და ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად ათამაშებდა. მაგრამ მთავარი მწვრთნელის შეცვლის შემდეგ ისევ „კოლხეთს“ დაუბრუნდა, წლევანდელი სეზონი კი ცხინვალის „სპარტაკში“ დაიწყო.

ზამთარში, მეგრელიშვილს კლუბის შეცვლა კვლავ მოუხდა და მოსამზადებელ ეტაპზე ქუთაისის „ტორპედოში“ ისინჯებოდა. **რევაზ ძოძუაშვილის** ხელმძღვანელობით, მან რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაში ითამაშა, თუმცა „ბენდელას თასზე“ „ვიტ ჯორჯიასთან“ დამარცხების შემდეგ „ტორპედოში“ აღარ გამოჩენილა.

„გურიამ“ „ბახმაროსთან“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ბობლიაშვილი, ჩუენსუ, ქურდაძე, ბერიანიძე, ვ. ხორგუაშვილი, შენგელია, გაჩეჩილაძე, პ. ხორგუაშვილი, კვირტია, კვერენჩხილაძე, ნიქაბაძე.** მეორე ტაიმში შევიდნენ: **გოგუაძე, ვ. კილაძე, ნ. კილაძე, ინგოროყვა, მეგრელიშვილი, მიქავა, ტეიდი, ძამსაშვილი, გაგნიძე, ნარიაშვილი, ხარაძე.**

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# არაბულის დებიუტი ალკორკონის დუბლებში



ბაჩანა არაბული

20 წლის **ბაჩანა არაბულს**, რომელიც მიმდინარე სეზონის დასაწყისში გორის „დილადან“ ესპანურ „ალკორკონს“ შეუერთდა, ამავე კლუბის დუბლებში დებიუტი ჰქონდა. 16 თებერვალს „ალკორკონის“ მეორე გუნდი, რომელიც ესპანეთის რანგით მეოთხე დივიზიონში გამოდის, „კოლმენარ ვიეხოს“ დაუზავდა - 1:1.

ალსანიშნავია, რომ ქართველი ფორვარდი ძირითად შემადგენლობაში იყო. ის 57-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო ანგარიში სწორედ მის ნაცვლად შესულმა ფეხბურთელმა გახსნა 75-ე წუთზე. თუმცა ქართველი ლეგიონერის გუნდმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და მოწინააღმდეგემ თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა.

აქვე გეტყვით, რომ „ალკორკონი B“, ტერსერა დივიზიონის (რანგით მეოთხე ლიგა) მე-7 ჯგუფში მე-17 ადგილზეა და გასავარდნ ზონაში იმყოფება. შეგახსენებთ, რომ აქამდე არაბულს მხოლოდ „ალკორკონის“ ამხანაგურ მატჩებში მიუღია მონაწილეობა.

sportall.ge

## ამბები

### ცსკა დაისაჯა

უეფამ მოსკოვის ცსკა დასაჯა. რუს „არმიელებს" ევროთასების მომდევნო ერთი შეხვედრის გამართვა ცარიელი ტრიბუნების წინაშე მოუწევთ. მიზეზი გულშემატკივართა უმსგავსო საქციელია, რომლებმაც ჯერ „მანჩესტერ სიტის" ივუარული ნახევარმცველი **იაია ტურე** ლანძღეს კანის ფერის გამო, შემდეგ კი პლზენის „ვიქტორიასთან" სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაში გამოფინეს რასისტული სიმბოლიკა და ულტრამემარჯვენე შინაარსის პლაკატები.

### ჰიუტონს დრო ცოტა რჩება

„ნორვიჩი" მძიმე დღეშია. გუნდს უკანასკნელი 13 შეხვედრიდან მხოლოდ 1 აქვს მოგებული და გასავარდნ ზონას კინკილა ქულა აშორებს. დიდად არც თამაშის გამოკეთების პერსპექტივა ჩანს. ჩვენი ბრიტანელი კოლეგების მტკიცებით, თუკი „იადონებმა" 23 თებერვალს „ტოტენჰემთანაც" ვერ იმარჯვეს, ხელმძღვანელობა **კრის ჰიუტონის** ნაცვლად გუნდს „კარდიფის" ყოფილ დამრიგებელ **მალკი მაკაის** გადააბარებს. 41 წლის შოტლანდიელის სამსახურით „კეროუ როუდზე" შარშან ზაფხულზეც იყვნენ დაინტერესებულნი, თუმცა ჰიუტონს კიდევ ერთი შანსი მისცეს. „დეილი მეილის" ცნობით, მაკაის გარდა განიხილება „სელტიკის" თავკაცც **ნილ ლენონის** კანდიდატურაც.

### მაგათის პირველი მსხვერპლი

„ფულჰემში" **ფელიქს მაგათის** დანიშვნის შემდეგ გერმანელმა პირველი ცვლილებები განახორციელა. კლუბმა მისი თხოვნით უკვე გაუშვა სამწვრთნელო შტაბის წევრი **რეი უილკინსი** და ტექნიკური დირექტორი **ალან კერბიშლი**. „ქრევენ კოტეჯზე" ისინი მაგათის წინამორბედმა **რენე მალენსტენმა** დეკემბერში მიიყვანა. დაიწერა, რომ ჰოლანდიელს კლუბი მაგათის ასისტენტობას სთავაზობს, თუმცა „რკინის კაცს" ძალიან უყვარს საკუთარ გუნდთან მუშაობა და ძნელად დასაჯერებელია, მსგავსი იდეა მოსვლოდა. უკვე ცნობილია, რომ „ფულჰემის" სამწვრთნელო შტაბში შევლენ **ვერნერ ლოითარდი** (ფიზმომზადების მწვრთნელი) და **ბერნდ ჰოლერბახი**. უკანასკნელი ჯერ „ვოლფსბურგში" და მერე „შალკეში" მაგათის ასისტენტად მუშაობდა.



ფელიქს მაგათი

### ნეისმიტი ითამაშებს

ასოციაციის თასზე „ევერტონი"-"საუთსის" შეხვედრაში ტრავმირებული **სტივენ ნეისმიტი** უქმეებზე „ჩელსისთან" თამაშს შეძლებს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ლივერპულელი ექიმები. 27 წლის შოტლანდიელმა დაზიანება მეორე ტაიმში მიიღო. **რობერტო მარტინესმა** მის ნაცვლად მინდორზე დებიუტანტი **ლასინა ტრაორე** შეუშვა.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ბრაზილია 2014

# ვალკეს ბრაზილიის არ ეშინია



ფიფას გენერალური მდივანი ჟერომ ვალკე

ივნის-ივლისში ბრაზილიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის გარდა ეს ქვეყანა ორი წლის შემდეგ არანაკლებ მასშტაბურ ღონისძიებას მასპინძლობს. რიო დე ჟანეიროში ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ჩატარდება. საზოგადოება, რომლის დიდ ნაწილს ნამდვილად არ ულხინს, აღშფოთებულია, რომ მთავრობა ინფრასტრუქტურულ პროექტებში გრანდიოზულ თანხებს ხარჯავს. საპროტესტო აქციები უკვე არაერთხელ გაიმართა. რაც ყველაზე საინტერესოა, ორგანიზატორები იმუქრებიან, რომ ტალღა არც მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას შეჩერდება, რაც ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს უქადის. ბრაზილიას ამ დღეებში ფიფას გენერალური მდივანი **ჟერომ ვალკე** ესტუმრა. 53 წლის ფრანგმა მუნდიალის მასპინძლებს კონკრეტული იდეებისთვის საყვედური გამოუცხადა, თუმცა, საბოლოო ჯამში, ის მაინც იმედოვნებს, რომ ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის:

- ველოდებით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მშვიდობიანად ჩატარებას წინ ვერაფერი დაუდგება, რადგან ის იმდენად დიდი მოვლენაა, რომ არ გვგონია, მსოფლიოს რომელიმე სახელმწიფო მხარს არ უჭერდეს. ფიფას გვერდში დგომისკენ არავის მოვუწოდებ, მაგრამ ტურნირს მხარდაჭერა ნამდვილად სჭირდება. მშვიდობიანი დემონსტრაციები? კი, ბატონო, ამის უფლება დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველას გააჩნია, მაგრამ თუკი საპროტესტო გამოსვლები ძალადობაში გადაიზრდება და ქუჩაში გამოვა ხალხი, რომლის ერთადერთი მიზანი იქნება სხვებისთვის პრობლემების შექმნა, მაშინ ბრაზილიას ერთადერთი გამოსავალი დარჩება - წესრიგის დასამყარებლად ქუჩაში გამოიყვანოს პოლიციური დანაყოფები, რომლებიც ასეთ ძალებს გააკონტროლებენ.

ამავე გამოსვლაში ფიფას მაღალჩინოსანმა რესიფეს მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება დაგმო, რომლის თანახმადაც გულშემატკივართათვის ფეხბურთის საყურებლად სპეციალური ზონების მოწყობაზე სახელმწიფო სახსრები არ დაიხარჯება. არადა, ქალაქმა ჯგუფურ ეტაპზე ოთხ და პლეი ოფის ერთ შეხვედრას უნდა უმასპინძლოს. რესიფეს გარდა უარზე ფიქრობენ სხვა მასპინძელი ქალაქების ადმინისტრაციებიც. „მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას ფანზონებზე უარის თქმა შეცდომაა, რადგან ეს ტურნირის მნიშვნელოვანი ნაწილია. როცა ხალხს თავშეყრის საშუალება არ გააჩნია, ის კარგავს სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ურთიერთობის იდეალურ შანსს," - განაცხადა ვალკემ. გეტყვით, რომ პირველად მსგავსი ზონები 2006 წელს გერმანელებმა შემოგვთავაზეს, რამაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

**ლევან ბიბილაშვილი**

● მუნდიალი 2014

# როი ჰოჯსონის ფიქრები...

## მსოფლიოს ჩემპიონები ვიქნებით

ინგლისის ნაკრები ყველა დიდი ტურნირის მოგებას აპირებს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ მოახერხა და ისიც დღემდე სალაპარაკოა. აი ბრაზილია 2014-ის წინ კი ინგლისელებს, წინა წლებისგან განსხვავებით, ფავორიტთა შორის იშვიათად თუ მოიხსენიებენ და მეტიც, ბევრმა ეს ნაკრები უკვე ჩამოწერა კიდეც, მას მერე, რაც **როი ჰოჯსონის** შეგირდები საკმაოდ მძიმე ჯგუფში მოხვდნენ იტალიასთან, ურუგვაისთან და კოსტა რიკასთან ერთად. თუმცა თავად ჰოჯსონი სკეპტიკოსებს ურჩევს, რომ მათ არ იჩქარონ.

*„რასაკვირველია, არ ვთვლი, რომ ტურნირის მოგების ფავორიტები ვართ, მაგრამ არც ჩამოსაწერები გახლავართ, ამ მოსაზრებას ვერ მივიღებ. თქვენ იცით თუ როგორ წარმატებებს აღწევენ ეს ბიჭები პერიოდულად და თუ ისინი თავიანთ თამაშს აჩვენებენ, შანსი გვექნება"* - ამბობს ჰოჯსონი.

ეს სპეციალისტი პოსტზე 2012 წლის მაისში დაინიშნა, ევროპის ჩემპიონატამდე სულ ცოტა ხნით ადრე. ევრო 2012-ზე მისმა ნაკრებმა მეოთხედფინალში იტალიასთან პენალტების სერიაში წააგო. შემდეგ იყო მუნდიალის შესარჩევი ეტაპი, რომელიც ინგლისმა მძიმედ გაიარა და მხოლოდ 1 ქულით გაასწრო უკრაინას. მოკლედ, ჰოჯსონს ახლაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგრამ თავად იგი მიიჩნევს, რომ ნაკრები ვითარდება.

*„თავს კარგად ვგრძნობ და კმაყოფილი ვარ იმ სამუშაოთი, რომელიც ამ ორი წლის მანძილზე ფეხბურთელებთან გავწიე. მე ბიჭების მჯერა და მიხარია, რომ ბევრი ნორჩი ტალანტი მოდის. ნელ-ნელა კიდევ უფრო უკეთ დავიჭირეთ ბალანსი გამოცდილ და ახალგაზრდა მოთამაშეებს შორის, ეს აუცილებელია და კარგი იქნება თუ მსგავსი დეტალების მოგვარებას შევძლებთ. იტალიასთან პირველი მატჩი უაღრესად მნიშვნელოვანია და თუ მისი მოგება მოვახერხეთ, ეს დიდი ბონუსი იქნება. ჩვენ ამისთვის უნდა მოვემზადოთ და შემართება არ დაგვაკლდება. თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ რაიმეს სურვილი არ არის იმის გარანტია, რომ მიზანს მიაღწევ. მეტოქეებიც იაზრებენ თითოეული მატჩის მნიშვნელობას მათთვის და მათი გულშემატკივრებისთვის და ისინიც ანალოგიურად ემზადებიან"* - თქვა ინგლისის ნაკრების თავკაცმა.



როი ჰოჯსონი

შეგახსენებთ, რომ ჰოჯსონის ამალა პირველ შეხვედრას იტალიასთან 14 ივნისს მანაუსში გამართავს და ინგლისელთა დამრიგებელი სწორედ ამ ქალაქს ენვია ატმოსფეროს ასათვისებლად და ეს კომენტარებიც ამ პერიოდში გააკეთა. ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩი ინგლისელებს 19 ივნისს სან პაულუში ურუგვაისთან აქვთ, ხოლო მესამე - 24 ივნისს ბელუ ორიზონტეში კოსტა რიკასთან.

ჰოჯსონი უსაფრთხოების თემასაც შეეხო. მოგეხსენებათ, ბრაზილიაში კრიმინალის არც ისე დაბალი მაჩვენებელია და ქვეყანაში ამ მხრივ იდეალური მდგომარეობა ვერ არის. გარდა ამისა, მოსახლეობის ნაწილი, სიღარიბის დაძლევისკენ გადადგმულ მკვეთრ ნაბიჯებს ითხოვს და ბრაზილიაში ასეთი ფორუმების ჩატარებას თან ეწინააღმდეგება და თან პრობლემების საჯაროდ გამოსამზეურებლად იყენებს. საპროტესტო აქციები იყო კონფედერაციათა თასის დროსაც და ალბათ გაგრძელდება მუნდიალის ჩათვლითაც. ყველაფერს დაემატა ისიც, რომ ფიფას დედლაინისთვის ანუ 31 დეკემბრისთვის 6 სტადიონი კიდევ არ იყო მზად. თუმცა ჰოჯსონს სჯერა, რომ ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატს ზედმეტი პრობლემების გარეშე, წარმატებულად უმასპინძლებს და პარალელურად, როგორც გუნდის, ასევე ფანების უსაფრთხოება დაცული იქნება.

**გიორგი პაპაბაძე**

## ამბები



აარონ რემსი

### რემსი ერთ თვეში დაბრუნდება

პრემიერლიგის პირველი წრის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, 23 წლის არსენალელ **აარონ რემსის** დეკემბრის შემდეგ ბარძაყის ტრავმის გამო არ უთამაშია. ექიმებს უელსელის უფრო სწრაფად გამოჯანმრთელების იმედი ჰქონდათ, თუმცა როგორც ირკვევა, ის უახლოესი ერთი თვის განმავლობაში თამაშს ვერ შეძლებს. საუკეთესო შემთხვევაში მოედანზე მას 22 მარტს, „ჩელსისთან" თუ ვიხილავთ.

### მატება ტოტენჰემში

„ტოტენჰემს" უქმეებზე „ნორვიჩთან" შეხვედრაში ორი მოთამაშე დაუბრუნდება. ვგულისხმობთ საყრდენ ნახევარმცველ **სანდროსა** და მარცხენა მცველ **დენი როუზს**. ფეხბურთელებმა 17 თებერვალს 21-წლამდელთა პრემიერლიგაში „ბოლტონის" წინააღმდეგ შეხვედრა ძირითადში დაიწყეს. ბრაზილიელმა მოედანზე 51 წუთი გაატარა, ინგლისელმა - 64. გეტყვით, რომ „დეზების" დუბლიორებმა მოულოდნელად შეხვედრა 2:5 დათმეს.

### მოურინიო კოულს არ ინდობს

სეზონის ბოლოს „ჩელსისა" და 33 წლის **ეშლი კოულის** გაყრის ამბავი დიდი ხანია დადასტურდა. მიუხედავად ამისა, „ლურჯების" თავკაცი **ჟოზე მოურინიო** შეგირდზე საჯაროდ ლაპარაკს მაინც არ ერიდება. პორტუგალიელი ვეტერანის სანაკრებო პერსპექტივასაც გადასწვდა. აი, რა თქვა „განსაკუთრებულმა კაცმა": *„მე ვზრუნავ ჩემს გუნდზე და ძირითადი შემადგენლობისთვის მხოლოდ საუკეთესოებს ვარჩევ. ოდნავადაც არ მაღელვებს, სათადარიგოთა შორის ვინც რჩება, ის შემდეგ ითამაშებს თუ არა საკუთარი ქვეყნის ნაკრებში. ჩემი აზრით, არიან ფეხბურთელები, რომელთაც შეიძლება საკლუბო დონეზე სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდეთ, მაგრამ ეროვნულ გუნდში მაინც მიიწვევენ. ჩემი აზრით, ასეთია კოულიც. ეს საკითხი როი ჰოჯსონის გადასაწყვეტია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეშლის ადგილას სესარ ასპილიკუეტა მყავს, ვისი თამაშიც სრულად მაკმაყოფილებს"*.

**ლევან ბიბილაშვილი**



ეშლი კოული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIV ტურის შეჯამება

# მესის რეკორდი, ბილბაოს მარცხი და ვანდალიზმი



„ელ მადრიგალზე" დიდი არეულობა იყო

**24-ე ტურში** ლა ლიგის სამივე ლიდერი ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ გუნდებს შეხვდა და მშვიდად მოიგო. „ბარსელონამ", „რეალმა" და „ატლეტიკომ" მეტოქეები გაანადგურეს. სეზონში პირველი საშინაო მარცხი განიცადა ბილბაოს „ატლეტიკმა", რომელსაც „ვილიარეალმაც" მიჰბაძა. აი, „ბეტისის" წაგება კი უკვე აღარ გვიკვირს. როგორც ჩანს, სევილიას მომავალ სეზონში პრიმერაში კვლავ ერთი გუნდი ეყოლება...

## მესის რეკორდი

არგენტინელის რეკორდის შესახებ ორშაბათის ნომერშიც ვისაუბრეთ, მაგრამ რამდენიმე სიტყვა აქაც უნდა ვთქვათ. „რაიოსთან" შესრულებული დუბლის შემდეგ, „ბარსელონას" ლიდერს კლუბის რიგებში (ყველა ტურნირზე) 336 გოლი დაუგროვდა. ამდენი ბურთი ერთი ესპანური კლუბის რიგებში აქამდე არავის გაუტანია. წინა რეკორდსმენი **ტელმო სარა** იყო, ვინც ბილბაოს „ატლეტიკის" რიგებში მეტოქეთა კარი 335-ჯერ აილო.

გარდა ამისა, **ლიონელ მესი** პრიმერას ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებში მესამე ადგილზე გადავიდა და **რაულს** წამოეწია. მესის ანგარიშზე 228 გოლია, წინ კი მხოლოდ **უგო სანჩესი** (234) და სარა (251) არიან. წელს თუ არა, მომავალ სეზონში არგენტინელი ესპანეთის ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი უნდა გახდეს.

## ბილბაოს პირველი მარცხი

შესავალშიც აღვნიშნეთ, რომ „ატლეტიკმა" სეზონში პირველი საშინაო მარცხი განიცადა. ამ ფაქტის კიდევ უფრო მეტად დრამატიზება შეიძლება - „ბილბაომ" „სან მამეს ბარიაზე" ისტორიაში პირველად წააგო. ლა ლიგის ეგიდით, რა თქმა უნდა, თორემ მანამდე თასზეც დამარცხდა „ატლეტიკოსთან".

მოგეხსენებათ, ამ სეზონის დაწყების წინ, „ატლეტიკმა" ძველი სტადიონი, „ესპანური ფეხბურთის კათედრალი", ანუ „სან მამესი" დაანგრია და მის გვერდით „ახალი სან მამესი" ააშენა. ჩემპიონატის პირველი საშინაო მატჩი ბასკებმა „ანოეტაზე" ჩაატარეს, მეოთხე ტურიდან მოყოლებული კი მეტოქეებს ახალ სტადიონზე მასპინძლობდნენ და ლა ლიგის შეხვედრაში აქამდე წაგებული არ ჰქონდათ.

„ბილბაომ" ჩემპიონატში „ბარსელონას" მოუგო, „რეალთან" კი ფრედ ითამაშა, მაგრამ „ესპანიოლთან" ვერაფერი გააწყო. საქმე იმაშია, რომ „ესპანიოლი" „ბასკების სიამაყისთვის" აშკარად უხერხული მეტოქეა. ბოლო 7 მატჩიდან კატალონიელებმა „ბილბაოს" მეხუთედ მოუგეს და დარჩენილ ორ შეხვედრაში ფრეს დასჯერდნენ. უკანასკნელად „ატლეტიკმა" „ესპანელებს" 2010 წელს, **ფერნანდო ლორენტეს** და **დავიდ ლოპესის** გოლების წყალობით, 2:1 მოუგო.

## უკმაყოფილო სევილიელები

ამ სეზონში პირველად არ ხდება, რომ „სევილიას" წარმომადგენლები მსაჯობით უკმაყოფილონი არიან. „ბარსელონასთან" ორივე შეხვედრაში დაჩაგრულმა ანდალუსიელებმა, ამჯერად „ვალენსიას" უმასპინძლეს და კოლოსალური უპირატესობის მიუხედავად, **ხუან ანტონიო პიცის** შეგირდებს „სანჩეს პისხუანიდან" ქულა გაატანეს.

შეხვედრის მთავარმა არბიტრმა **ალვარეს ისკიერდოსმა** „მარკასგან" უპრეცედენტოდ დაბალი შეფასება, 1-იანი (10-ბალიანი სისტემით) მიიღო. სამართლიანობისთვის, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მსაჯმა სტუმრებიც დაჩაგრა, როდესაც მათ კარში ძალიან საეჭვო პენალტი დანიშნა, სამაგიეროდ, მეორე მხრივ, ამ 11-მეტრიანის გარდა, მასპინძლებს კიდევ მინიმუმ სამი პენალტი ეკუთვნოდათ, მათ შორის ერთი უკანასკნელ წამებზე, როდესაც **სენდეროსმა** საჯარიმოში **დენის ჩერიშევი** წააქცია, მაგრამ მსაჯმა პენალტის დანიშვნის ნაცვლად, რუს ფეხბურთელს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და გააძევა.

გაბრაზებულნი არიან სევილიის მეორე ნაწილშიც, ოღონდ არა არბიტრის, არამედ საკუთარი ფეხბურთელების უსუსურობის გამო. **გაბრიელ კალდერონის** შეგირდები ამჯერად „გრანადასთან" ანდალუსიურ დერბიში დამარცხდნენ. სტუმრად ჩატარებული 12 მატჩიდან „ბეტისმა" 10 წააგო და მხოლოდ ორი დაასრულა ფრედ.

## იძებნება 30 წლის მამაკაცი

ამ ტურის ერთ-ერთი გამორჩეული მოვლენა, რა თქმა უნდა, „ელ მადრიგალზე" ცრემლსადენი გაზის ბომბის გამოჩენა იყო. შეგახსენებთ, რომ „ვილიარეალის" და „სელტას" მატჩის ბოლო წამებზე, სტადიონზე მისულმა მავანმა ტრიბუნებიდან მოედანზე ბომბი გადააგდო, რასაც მატჩის 25 წუთით შეწყვეტა და დიდი არეულობა მოჰყვა.

ვალენსიის რეგიონის პოლიციის ოფიციალური განცხადებით, იძებნება 30 წლამდე ასაკის მამაკაცი, რომელიც შავებში იყო ჩაცმული. ჯერჯერობით, სავარაუდო ეჭვმიტანილზე მეტი ცნობა არ არსებობს.

ეს არ არის პირველი შემთხვევა ამ სეზონში, როდესაც ტრიბუნებიდან მოედანზე სხვადასხვა საგანი ცვივა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, „ვისენტე კალდერონზე", „ატლეტიკოს" და „რეალის" სათასო მატჩის შესვენებისას გულშემატკივარმა სანთებელა ისროლა, რომელიც **კრიშტიანო რონალდოს** თავში მოხვდა.

## საინტერესო ფაქტები

- „ელჩეს" „ოსასუნა" უკვე 6 მატჩია არ დაუმარცხებია. პამპლონელებთან უკანასკნელი გამარჯვება გუნდმა 1963 წელს (2:1) მოიპოვა.
- „ატლეტიკომ" „ვალიადოლიდი" ზედიზედ მეშვიდედ დაამარცხა.
- „ბილბაოს" მარცხის შემდეგ, პრიმერას ერთადერთი გუნდი, რომელსაც ამ სეზონში საკუთარ მოედანზე არ წაუგია, მადრიდის „ატლეტიკო" გახლავთ.
- **დიეგო კოშტამ** ყოფილ კლუბს („ვალიადოლიდი") ზედიზედ მესამე შეხვედრაში გაუტანა.
- „რაიო ვალეკანომ" „ნოუ კამპზე" ბოლოს 2000 წელს მოიგო.
- ყველაზე დიდი ანგარიშით, „ბარსამ" „რაიოს" 1979 წელს, 9:0 მოუგო.
- უკანასკნელად, სეზონის მეორე ნახევარში სამი გუნდი ერთად 1992/93 წლების სეზონში ლიდერობდა და მაშინ ჩემპიონი „ბარსელონა" გახდა.
- ლიონელ მესიმ „რაიოს" ბოლო 6 მატჩიდან 5-ში გაუტანა (სულ 9 გოლი)
- ლა ლიგის გუნდებიდან, ყველაზე მეტი გოლი **პედროს** სწორედ მადრიდელების კარში აქვს გატანილი - 6.
- „ვილიარეალმა" „სელტასთან" გამართული ბოლო 8 მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო (3 ფრე და 4 წაგება).
- „ბეტისს" სტუმრად უკვე 16 მატჩია არ მოუგია (3 ფრე, 13 წაგება). ამაზე უარესი სერია ანდალუსიურ გუნდს მხოლოდ 1979 წელს ჰქონდა - 19 მოუგებელი საგარეო მატჩი.
- ორად ორი გუნდი, რომლებსაც მიმდინარე სეზონში გაშვებული გოლის შემდეგ ქულაც კი არ მოუპოვებიათ, „ოსასუნა" და „ბეტისი" არიან.
- „ხეტაფემ" საკუთარ მოედანზე, ზედიზედ სამი მადრიდული დერბი პირველად წააგო.
- „ხეტაფე" არის ერთადერთი გუნდი ლა ლიგაში, რომელსაც 2014 წელს თამაში არ მოუგია (2 ფრე, 5 წაგება)
- „ბილბაოს" თავკაც ერნესტო ვალვერდეს, „ესპანიოლთან" ჩატარებული 8 მატჩიდან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული (3 ფრე, 4 წაგება)
- „ესპანიოლის" მიერ სტუმრად გატანილი 13 გოლიდან 8-ში **სერხიო გარსიამ** უშუალო მონაწილეობა მიიღო - 6 გოლი და 2 პასი.
- „ვალენსიამ" „სანჩეს პისხუანზე" ბოლოს 2004 წელს იმარჯვა, იქიდან მოყოლებული გამართული ათი მატჩიდან კი 7 წააგო და 3 ფრედ დაასრულა.
- ამ სტადიონზე გამართული ბოლო 9 მატჩიდან, „ლამურებმა" 7-ში გოლი ვერ გაიტანეს.
- ბოლო 9 ურთიერთშეხვედრიდან „სოსიედადმა" „მალაგას" მეექვსედ მოუგო (2 ფრე, 1 წაგება).

### სიმბოლური ნაკრები




### ბომბარდირები:

22 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
21 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო)
15 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა)
14 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), ქარიმ ბენზემა (რეალი)
13 - ლიონელ მესი (ბარსელონა), პედრო (ბარსელონა)

### ასისტენტები:

12 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
9 - გარეთ ბეილი (რეალი), კოკე (ატლეტიკო)
8 - კარლოს ველა (სოსიედადი), ლიონელ მესი (ბარსელონა), ნეიმარი (ბარსელონა)
7 - არიც ადურისი (ბილბაო), ჯოვანი დოს სანტოსი (ვილიარეალი), ივან რაკიტიჩი (სევილია), სუსო (ალმერია), პედრო (ბარსელონა)

### გოლი + პასი:

28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი) - 22+8
24 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო) - 21+3
21 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა) - 15+6, ლიონელ მესი (ბარსელონა) - 13+8
20 - პედრო (ბარსელონა) - 13+7, სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა) - 8+12
19 - ქარიმ ბენზემა (რეალი) - 14+5
18 - კარლოს ველა (სოსიედადი) - 10+8, გარეთ ბეილი (რეალი) - 9+9

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A. XXIV ტურის შეჯამება

# ომი ევროსაგზურებისთვის

## კონტეს იუბილე და ჯადოსნური გოლები



ანტონიო კონტემ „იუვენტუსს“ მეასედ უთავკაცა სერია A-ში

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშება დასკვნით ფაზაში შედის - „რომა“ ჯერ კიდევ ებღაუჭება სკუდეტოს და „იუვენტუსს“ მისდევს. აი, „ნაპოლის“ მაქსიმუმი კი ალბათ მეორე ადგილი და ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე პლეი ოფის გარეშე მოხვედრაა. დიდი ბრძოლა გველოდება ევროპალიგის საგზურებისთვის, სადაც კონკურენცია არნახულად მაღალია...**

### ფლორენციელთა შავი დღე

ტურის ცენტრალური მატჩი ფლორენციაში შედგა, სადაც „ფიორენტინამ“ „ინტერი“ მიიღო და დამარცხდა - 1:2. **ვინჩენცო მონტელა** „ბარსელონას“ გზას დაადგა და მეტოქეს უფორვარდოდ დაუპირისპირდა, რამაც აშკარად არ გაამართლა - მასპინძელთა იერიშებს სწორედაც რომ დამგვირგვინებელი და შესაბამისად, სიმწვავე აკლდათ. თამაშის დასკვნით ნაწილში, მწვრთნელმა **მარიო გომესი** და **ალესანდრო მატრი** შეუშვა მინდორზე, მაგრამ უკვე გვიან იყო. „ინტერმა“ დამსახურებულად მოიგო და ეს მიუხედავად იმისა, რომ მეორე გოლი თამაშგარედან გაიტანა. სწორედ **მაურო იკარდის** გოლმა გამოიწვია დიდი რეზონანსი და აქვე, ორივე მხარეს მოვუსმინოთ...

**ანდრეა დელა ვალე** (ფიორენტინას პრეზიდენტი): *„მილანელები თვეების განავლობაში წუწუნებდნენ მსაჯობაზე და მე რა გავაკეთო? - მეც ვისაუბრო გაუთავებლად უსამართლობაზე? - რაც მოხდა, მოხდა, ჯობია წინ გავიხედოთ და მომდევნო მატჩის მოსაგებად განვეწყოთ. ისე კი, ძალიან დასანანია, როდესაც თამაშგარე მდგომარეობიდან გაშვებული გოლით მარცხდები“.*

**ვალტერ მაცარი** (ინტერის მწვრთნელი): *„აგერ უკვე 4-5 წელია მსაჯებზე საერთოდ აღარ ვლაპარაკობ, რადგან ამის გამო ერთხელ დავისაჯე. არ ვსაუბრობდი მაშინაც, როდესაც „ინტერის“ საწინააღმდეგოდ ცდებოდნენ და არც ამჯერად ვაპირებ კომენტარის გაკეთებას. „ფიორენტინასადმი“ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ სამი ქულა ჩვენ დავიმსახურეთ“.*

„ინტერთან“ მატჩი „ფიორენტინასთვის“ ყოველმხრივ წარუმატებელი გამოდგა - მარცხი მარცხად და ფლორენციელებს სამი ფეხბურთელი დაუშავდათ: **ხუან კუადრადო, გონსალო როდრიგესი** და **ხუან მანუელ** ვარგასი. ბოლო ინფორმაციით, კუადრადოს მსუბუქი ტრავმა აქვს და რამდენიმე დღეში განაახლებს ვარჯიშს, გონსალოს შესახებ მოგვიანებით გვეცოდინება, აი ვარგასს კი ოპერაცია სჭირდება და მინიმუმ, ერთი თვე მოუწევს უქმობა.

### კონტეს საიუბილეო მატჩი

„იუვენტუსმა“ „კიევოს“ უმასპინძლა და მეტოქე განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაამარცხა, 3:1. **ანტონიო კონტესთვის** ეს საიუბილეო მატჩი იყო - მეასეჯერ გაიყვანა „იუვენტუსი“ სერია A-ს პაექრობაში და საგულისხმოა, 70-ე შეხვედრა მოიგო, რაც უდავოდ შესანიშნავი მაჩვენებელია. როდესაც ჟურნალისტებმა კონტეს მიულოცეს, ანტონიომ შემდეგი პასუხი გასცა:

*„სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი თუ ეს ჩემი მეასე მატჩი იყო „იუვენტუსის“ სათავეში. მიხარია, რომ შეგირდებმა საჩუქარი გამიკეთეს და სამი ქულა მოიპოვეს. მივიწევთ მორიგო სკუდეტოსკენ და ამ გზაზე არაფრის დათმობას არ ვაპირებთ“.*

მოკლედ, კონტეს კარგი იუბილე გამოუვიდა. აი, **მიკაელ აგაცის** კი დებიუტი აშკარად ჩამწარდა. დიახ, „კალიარის“ ექსგოლკიპერმა პირველი მატჩი გამართა „კიევოს“ შემადგენლობაში და ისეთი დებიუტი გამოუვიდა, მტერს რომ არ ვუსურვებთ. „იუვეს“ მიერ გატანილი სამი გოლიდან, ორი სწორედ მეკარის სინდისზეა და ის შეცდომები რომ არ დაეშვა აგაცის, ვინძლო „იუვეს“ ქულები დაეკარგა.

### ევროპალიგის ზონა

ტურის უკანასკნელი მატჩი „ვერონასა“ და „ტორინოს“ შორის გაიმართა, რომელიც ტურინელთა გამარჯვებით დასრულდა - 3:1. პირველი ტაიმი **ლუკა ტონის** ზუსტი თერთმეტმეტრიანის წყალობით „ვერონამ“ მოიგო, აი მეორეში კი მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა... „გრანატას“ შემტევებმა გაილაღეს და დროის მოკლე მონაკვეთში, მეტოქეს სამი გოლი გაუტანეს - ჯერ **ჩირო იმობილემ** შეაგდო მე-13 გოლი სეზონში, შემდეგ **ალესიო ჩერჩი** გამოირჩა და ბოლო წერტილი **ომარ ელ ქადურიმ** დასვა.

„ვერონა“ და „ტორინო“ ცხრილის ზედა ნაწილში არიან და ევროპალიგის საგზურისთვის იბრძვიან. ვივარაუდოთ, რომ მოვლენები ლოგიკურად განვითარდება და ლიდერთა სამეული შემდეგნაირად დაკომპლექტდება: „იუვენტუსი“, „რომა“, „ნაპოლი“. მეოთხე ადგილზე გასვლის ყველაზე კარგი შანსი „ფიორენტინას“ აქვს, რომელიც იტალიის თასის ფინალშია გასული და რადგან იქ „რომასთან“ უწევს ჭიდილი, ევროპალიგის საგზური განაღდებული აქვს. გამოდის, რომ ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირზე „ვიოლასთან“ ერთად, მეხუთე და მეექვსე ადგილზე გასული გუნდები უნდა გავიდნენ. აქ კი დიდი ბრძოლაა გაჩაღებული - „ინტერი“ ფავორიტად შეგვიძლია მივიჩნიოთ, აი მეექვსე ადგილისთვის კი ჯერჯერობით „ტორინოს“, „პარმას“ და „ვერონას“ სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი აქვთ. რატომ ჯერჯერობით? - დააკვირდით რა გუნდები მოსდევენ აღნიშნულ სამეულს და ყველაფერი ნათელი გახდება...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4. ფიორენტინა | 24 | 13 | 5 | 6 | 43-25 | 44 |
| 5. ინტერი | 24 | 10 | 9 | 5 | 42-28 | 39 |
| 6. პარმა | 23 | 9 | 9 | 5 | 36-27 | 36 |
| 7. ტორინო | 24 | 9 | 9 | 6 | 39-31 | 36 |
| 8. ვერონა | 24 | 11 | 3 | 10 | 40-40 | 36 |
| 9. მილანი | 24 | 8 | 8 | 8 | 37-35 | 32 |
| 10. ლაციო | 24 | 8 | 8 | 8 | 30-32 | 32 |

### ბალოტელის მიმბაძეს

გასულ ტურში, ორი ჯადოსნური გოლი გავიდა; ჯერ კიდევ პარასკევს, **მარიო ბალოტელიმ** „ბოლონიას“ დაახლოებით 30 მეტრიდან გაუტანა და თანაც, ბურთი ისეთი სიჩქარით გაფრინდა, რომ მეკარის დადანაშაულება აზრად არავის მოსვლია. კვირას სუპერმარიოს მიმბაძველი გამოუჩნდა - „ლივორნოს“ მცველმა, **ემერსონმა** ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, ცოტა წინ წაიწია და დაახლოებით 35 მეტრიდან, ყუმბარისებური დარტყმით „ცხრიანში ჩაჭედა“. „ლივორნომ“ მოიგო ის თამაში და ჰაერივით საჭირო ქულები ჩაიწერა აქტივში.

### ყველაზე სწრაფი გოლი

ბოლოს, „კატანია“-“ლაციოს“ პაექრობაზე შევაჩეროთ ყურადღება, რადგან ამ შეხვედრაში სეზონის ყველაზე სწრაფი გოლი გავიდა... თამაში 41 წამის დაწყებული იყო, როდესაც **მარიანო ისკომ** უზუსტესად დაარტყა და გახსნა კიდეც ანგარიში. პირველი ტაიმის მიწურულს, კიდევ ერთი გამორჩეული ამბავი მოხდა: ანგარიში **სტეფანო მაურიმ** გაქვითა, რომელმაც დაახლოებით ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, გოლი კი კიდევ უფრო მეტხანს არ ჰქონდა გატანილი. აღვნიშნოთ ისიც, რომ **ედუარდო რეიას** დაბრუნების შემდეგ, „ლაციო“ პირველად დამარცხდა სერია A-ში.

**ლაშა ნიკლაური**

სიმბოლური ნაკრები






ხუან მანუელ ვარგასი მინიმუმ ერთ თვეს დაისვენებს

## ამბები

### სომხეთის ნაკრების აზერბაიჯანელმა ფეხბურთელმა გვარი გადაიკეთა

სომხეთის ნაკრების ფეხბურთელი, რომელსაც აზერბაიჯანელი მამა და სომეხი დედა ჰყავს, გვარს იცვლის. **ნორაირ მამედოვი** სეზონის შემდეგ ნორაირ **ასლანიანი** გახდება.

*„გვარი რეალურად უკვე შევიცვალე, თუმცა ამ სეზონის განმავლობაში განაცხადში გვარის შეცვლა ბევრ გაუგებრობას გამოიწვევს, ამიტომ ველოდები სეზონის დასრულებას. სხვათა შორის, იგივე მირჩიეს კლუბში“*, - განაცხადა ნორაირმა.

გეტყვით, რომ ნორაირ მამედოვი 22 წლის შემტევი ნახევარმცველია და სომხეთთან ერთად ჰოლანდიის მოქალაქეცაა. ნორაირი „გრონინგენის“ სკოლის აღზრდილია. ახლა კი „ვილემ II-ში“ თამაშობს. ნორაირი აცხადებს, რომ სომხეთის ნაკრებში დამკვიდრება მისი დიდი ხნის ოცნებაა, მან უკვე 2 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### კაპელი რუსეთში გადაბარგდება?

პორტუგალიური პრესის ცნობით, ლისაბონის „სპორტინგმა“ ერთ-ერთი რუსული კლუბისგან **დიეგო კაპელთან** დაკავშირებით წინადადება მიიღო. 26 წლის ესპანელს ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს და შესაძლოა გუნდის გამოცვლით თავადაც დაინტერესდეს. პორტუგალიური ჟურნალ-გაზეთების ინფორმაციით, „ლომებს“ კაპელთან განშორება არ სურთ, მაგრამ თუ ფინანსურად მიმზიდველ წინადადებას მიიღებენ. არ დაკონკრეტებულა რუსული კლუბის ვინაობა.

### ზენიტი გარაის არ ეშვება

სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ „ბენფიკასთან“ **ესეკიელ გარაის** თაობაზე მოლაპარაკებებს აგრძელებს. რუსული გუნდი „არწივებს“ 12-15 მილიონ ევროს და **ნეტუს** სთავაზობდა, მაგრამ უარი მიიღო. „ზენიტი“ ახალ წინადადებას ამზადებს. თუმცა როგორც ამბობენ, „ბენფიკა“ არგენტინელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეელევა თუ 20 მილიონ ევროს მიიღებს.

### ტასოტის სტამი შეცვლის?

„მილანის“ მარადმწვანე ასისტენტი **მაურო ტასოტი** შესაძლოა შეიცვალოს. როგორც ჩანს, **კლარენს ზეედორფს** თანაშემწედ თავისი თანამემამულის და ექსთანაკლუბელის, **იაპ სტამის** ხილვა სურს, რომელიც ამჟამად „აიაქსში“ ტექნიკურ დირექტორად მუშაობს. ამბობენ, რომ **ადრიანო გალიანი** ამ საკითხზე კომენტარს უახლოეს მომავალში გააკეთებს, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული. შეგახსენებთ, რომ ტასოტის კანდიდატურა მთავარი მწვრთნელის პოსტზეც არაერთხელ განხილულა, მაგრამ თავად მას არ სურდა ამ პოსტის ჩაბარება და ასისტენტობას ამჯობინებდა ხოლმე.

### ეგოისტი კავანი

„ნაპოლის“ პრეზიდენტის **აურელიო დე ლაურენტისის** თქმით, **ედინსონ კავანი** ეგოისტია. თავის კომენტარში „ვეზუვიანის“ ხელმძღვანელი ურუგვაელის ხასიათისა და სტილის გარდა, მისი გუნდის სხვა ფეხბურთელებს და სატრანსფერო ჭორებსაც შეეხო.

*„კავანის დიდ პატივს ვცემ, როგორც ძალიან ნიჭიერ და გამორჩეულ ფეხბურთელს, მაგრამ ის ცოტა ეგოისტია და გუნდს მთლიანად მასზე თამაშს აიძულებს. იგუაინი ბევრად უფრო გუნდური მოთამაშეა და სხვებსაც აძლევს თავის გამოჩენის საშუალებას, მაგალითად კალეხონსა და მერტენსს. ინსინიე? მას შეუძლია მშვიდად იყოს, ლორენცომ წასვლა აზრადაც არ უნდა გაივლოს. ლავეცის შესაძლო დაბრუნებაზე ჭორებს რაც შეეხება, არც ამის თაობაზე გვქონია მოლაპარაკებები და არც ერიკ ლამელას ტრანსფერზე“* - განაცხადა დე ლაურენტისმა.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

19.02. ლონდონი ემირეიტსი 23:45

**არსენალი**

| ბოლო 6 მატჩი ლიგაზე | |
|---|---|
| +4=0-2 | +5=0-1 |
| არბიტრი | |
| ნიკოლა რიცოლი (იტალია) | |

**ბაიერნი**

სავარაუდო შემადგენლობები

არსენალი: შჩესნი – მერტესაკერი, კოშელნი – სანია, გიბსი – უილშირი, ფლამინი – კასორლა, იოზილი, პოდოლსკი – ჟირუ

ბაიერნი: მიულერი – გიოტცე, კროოსი, რობენი – ტ. ალკანტარა, ლამი – ალაბა, რაფინია – დანტე, ბოატენგი – ნოიერი

**დისკვალიფიკაცია:** მიკელ არტეტა -
**ტრავმა:** თეო უოლკოტი, თომას ვერმაელენი, აარონ რემზი, აბუ დიაბი, კიმ კალსტრიომი - ჯერდან შაჩირი, ფრანკ რიბერი

● ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მატჩების წინ

# ვის, რას დაუმტკიცებს ვენგერი

## სან სიროზე მხოლოდ ერთი ფავორიტია?

**ამბობენ,** ნამდვილი ჩემპიონთა ლიგა პლეი ოფებიდან იწყებაო და აგერ, ბატონო, როგორი ორი თამაში გვაქვს დღეს... „არსენალი"-"ბაიერნის" დეჟა-ვუ და „მილანი"-"ატლეტიკოს" მატჩი-გამოცანა. ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, ამ შეხვედრებამდე განწყობა შევიქმნათ და ფეხბურთისგან სიამოვნების მისაღებად მოვემზადოთ

### არსენალი-ბაიერნი: ბაიერნი რიბერის გარეშეც ფავორიტია

მერვედფინალებში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წყვილი „არსენალი"-"ბაიერნია" და „ემირატებზე" გასამართ მატჩს ყველანი დიდი ინტერესით ველოდებით. „მეთოფეებს" ესმით, რომ მათთვის პირველ შეხვედრას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება და ის მაქსიმალურად კარგად უნდა ჩაატარონ. ეს გუნდები ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის ამ ეტაპზე უკვე მესამედ ხვდებიან და წინა ორ დაპირისპირებაში გამარჯვება მიუნხენელებს დარჩათ. უშუალოდ გასულ სეზონში „ბაიერნმა" ლონდონში ძალიან ადვილად 1:3 მოიგო და თამაშით „ალიანს არენაზეც" დომინირებდა, მაგრამ მოულოდნელად დამარცხდა, თანაც 0:2. „არსენალმა" მეორე გოლი 86-ე წუთზე გაიტანა და რეკორდმაისტერს არასასიამოვნო წუთების გადატანა მოუხდა. ეს მიუნხენელთა ბანაკში მშვენივრად ახსოვათ, და ამიტომაც აკეთებენ კომენტარებს მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვიყოთ და საკუთარი შანსები გამოვიყენოთო.

კიდევ უფრო ადრინდელი დაპირისპირება 2005 წელს შედგა და მაშინ, მიუნხენელები შინ ბრწყინავდნენ, 3:0-საც იგებდნენ, მაგრამ **კოლო ტურემ** 88-ე წუთზე ერთი გოლი გაიტანა და საპასუხო მატჩს ინტრიგა დაუტოვა. თუმცა ლონდონში **ტიერი ანრის** გოლი ერთადერთი გახლდათ და მაშინაც „ბაიერნი" გავიდა შემდეგ ეტაპზე. კიდევ უფრო იქამდე კი, ეს გუნდები ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს და გერმანული კლუბი იქაც უკეთ გამოიყურებოდა - 1:0, 2:2.

**არსენ ვენგერს** ძალიან უნდა სტატისტიკის წინააღმდეგ წასვლა ჩემპიონთა



„ბაიერნს" ფრანკ რიბერის (მარჯვნივ) გარეშე მოუწევს ფონს გასვლა

ლიგის გასული სეზონის გამარჯვებულისა და მიმდინარეს მთავარი ფავორიტის დამარცხება და **ჟოზე მოურინიოსთვის** თუ სხვებისთვის იმის დამტკიცება, რომ იგი „ლუზერი" და „ფეილების" სპეციალისტი არ არის, მაგრამ ფრანგმა იცის, რომ მისი გუნდი ძალიან რთული მისიის წინაშეა. თანაც ვენგერი ვერ დაიხმარს **აარონ რემზის** და დისკვალიფიცირებულ **მიკელ არტეტას**, ეს კი ნახევარდაცვას მნიშვნელოვნად ასუსტებს, რაც „ბაიერნთან" მატჩისთვის ორმაგად სანერვიულოა. **თომას ვერმაელენის** თამაში საეჭვოა. **თეო უოლკოტის, აბუ დიაბისა** და **კიმ კალსტრიომის** ტრავმები უკვე ძველი ამბავია. შეიძლება ძირითადში მოხვდეს ვეტერანი ჩეხი **ტომაშ როსიცკი**. ამ შემთხვევაში, **ლუკას პოდოლსკი** ალბათ მოგვიანებით ჩაერთვება საქმეში და შეეცდება თავის ყოფილ გუნდს ამჯერადაც გაუტანოს. ფრანგი სპეციალისტი სავარაუდოდ, დაიხმარს ახალგაზრდა **ალექს-ოქსლეიდ ჩემბერლენსაც**. „არსენალმა" ეს მატჩი უნდა მოიგოს, თუ სურს რომ მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსი დარჩეს „ალიანს არენაზე" გასამართ საპასუხო მატჩამდე.

არსენ ვენგერი (არსენალი): *„ვიცით, რომ ტურნირის ფავორიტს ვეთამაშებით და ჩემპიონთა ლიგაზე მხოლოდ დიდი მატჩები არსებობს. ასე თუ ისე, რთული თამაშები გვქონდა თასზეც, სადაც ჯერ „ტოტენჰემს" შევხვდით, მერე კი „ლივერპულს". თავდაჯერება არ გვაკლია, სეზონის სტარტიდანვე გვესმის, რომ ყველა შეხვედრაში 100%-ით უნდა დავიხარჯოთ. აღსანიშნავია, რომ წინა სეზონში მერვედფინალის წინ თასზე „ბლექბერნთან" წავაგეთ, ახლა კი ფსიქოლოგიურადაც უფრო მზად ვართ, რადგან „ლივერპულს" მოვუგეთ. წინა დაპირისპირება შინ გაშვებული მეტი გოლის გამო დავთმეთ და ამიტომაც, მთავარია კარი შევინახოთ მშრალად".*

*„მთავარია ბოლომდე თამაშში დავრჩეთ, ვიბრძოლოთ და შანსი გვქონდეს. პირველი მატჩი 0:0-იც რომ მორჩეს, კარგი შანსები დაგვრჩება. ყურადღებით უნდა ვიყოთ და სახლში არ უნდა გავუშვათ. წინა სეზონის შეცდომების თავიდან არიდება და უფრო ჭკვიანურად თამაშია საჭირო"* - აღნიშნა **ჯეკ უილშირმა**.

ტრავმებზე თუ მიდგა საქმე, პირველ რიგში ის უნდა გავიხსენოთ, რომ **ფრანკ რიბერი** ამ შეხვედრაში „ბაიერნს" ვერ დაეხმარება. როგორც იცით, გუნდის ფრანგმა ლიდერმა საკვერცხეზე ოპერაცია გაიკეთა და რამდენიმე დღეში მწყობრში იქნება ანუ საპასუხო მატჩში ის მონაწილეობას მიიღებს თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა. სხვა მხრივ, გამოსარჩევი და ახალი დანაკლისი **პეპ გვარდიოლას** არ აქვს. **ჰოლგერ ბადშტუბერმა** ნელ-ნელა ვარჯიში დაიწყო, მაგრამ სპეციალური, ინდივიდუალური პროგრამით და ჯერ მზად არ არის. არ იქნება არც **ჯერდან შაჩირი**.

„ბაიერნი" ისევ საუცხოო ფორმაშია და ბუნდესლიგა უკვე თითქმის მოგებული აქვს, ჩემპიონთა ლიგაზე კი პირველსავე მატჩში სასურველი შედეგის მიღწევასა და საქმის გაიოლებაზე უარს ნამდვილად არ იტყვის. ასეა თუ ისე, არ უნდა გაგვიკვირდეს თუ ამ შეხვედრაში ბევრი გოლი გავა, მართალია „არსენალი" ამ სეზონში დაეჩვია მწირგოლიანობას და ალაგ-ალაგ ვენგერი 1:0-ებსა და 2:0-ებს გვთავაზობს, მაგრამ მიუნხენელთა ბანაკში საპირისპირო სურათია, მათი მონაწილეობით ბოლო 9 საჩემპიონთალიგო მატჩიდან 8-ში 3 და მეტი გოლი გავიდა, ხოლო თავად უკანასკნელი 11 თამაშიდან 10-ში, მინიმუმ 2 გოლი აქვთ გატანილი. ცხადია, ისინი უკან არც ახლა დაიხევენ.

### მილანი-ატლეტიკო: სხვა მილანს ველით

რაოდენ ცუდადაც უნდა ჰქონდეს ხოლმე „მილანს" საქმე საშინაო არენაზე და რამდენი პრობლემაც უნდა ჰქონდეს ბანაკში, ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე ყოველთვის მეტ-ნაკლებად წარმატებით გამოდის. „როსონერის" ქომაგებს ახლაც აქვთ იმის იმედი, რომ მათი საყვარელი გუნდი საკუთარ გამოცდილებას და ამ ტურნირზე თამაშის განსხვავებულ ნიჭს გამოიყენებს და შესაშურ ფორმაში მყოფ „ატლეტიკოს" დაამარცხებს. მადრიდელებს ბოლო წლებში ევროსარბიელზე და კონკრეტულად ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ „სან სიროს" ბინადრები მარტო ამის იმედად არ უნდა იყვნენ.

გვახსოვს წინა სეზონიც, როდესაც „ბარსელონა" „მილანთან" უდავო ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ ორი მატჩის ჯამში თუ ვერა, „როსონერიმ" კატალონიელებს „სან სიროზე" მაინც მოუგო და იქაური აურით ფრთაშესხმული მილანელები დღესაც შეეცდებიან იმის დამტკიცებას, რომ მათ სტადიონზე მხოლოდ ერთი და უცვლელი ფავორიტია.

„მილანის" ერთ-ერთი მთავარი იმედი ცხადია **მარიო ბალოტელი** იქნება. ბალომ გუნდს „ბოლონიასთან" მოაგებინა და თანაც ისეთი გოლით, სეზონში სულ რამდენიმე რომ გადის, საერთოდ თუ გადის. მისი ბრაზიანი აღნიშვნა და ბოლოდროინდელი უხასიათობებიც არახალია, ბალოტელი ასეთია და ძნელია შეცვალო, მაგრამ **კლარენს ზეედორფი** ცდილობს იმის გაკეთებას, რაც სხვა მწვრთნელებმა ვერ შეძლეს ანუ მარიოს მორჯულებას. ვინ იცის, ჰოლანდიელს გამოუვიდეს კიდეც, მას ადამიანებთან კონტაქტი და მათი თავის ჭკუაზე მოყვანა კარგად ეხერხება. თავის მხრივ კი, ეს შეხვედრა პირადად ზეესთვისაც გამოცდაა - მწვრთნელის რანგში პირველი და თანაც ასეთი სერიოზული მატჩი ევროტურნირზე.

*„ჩვენი მეტოქე არის ძალიან კარგად ორგანიზებული და სტაბილური გუნდი, რომელიც ორი სეზონია ბრწყინვალედ ასპარეზობს, რომელმაც ზუსტად იცის რა უნდა და პროგრესირებს. ეს განსხვავებული, განსაკუთრებული მატჩია და იმედია, ჩვენი ძალა და ენთუზიაზმი გვეყოფა იმისთვის, რომ გავცდეთ მეტოქეს, რომელიც ამწუთას ბევრ ასპექტში აღგვემატება. უშუალოდ დიეგო კოშტას რაც შეეხება, იგი ბრწყინვალე ფორვარდია, რომლის ხილვაც ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში ძალიან სურდათ და ამას არაფრის დამატება აღარ სჭირდება"* - თქვა კლარენს ზეედორფმა.

ტრადიციულად ექსცენტრიკული იყო მარიო ბალოტელი: *„მე ცენტრფორვარდი ვარ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად საჭირო თუ გახდა, მეკარედაც ვითამაშებ".*

ხშირად ემთხვევა ხოლმე, რომ „მილანს" ასეთ მომენტებში ბევრი ფეხბურთელი აკლია და გამონაკლისი არც ეს შემთხვევაა. **კეისუკე ჰონდას** უბრალოდ ლიგაზე თამაშის უფლება არ აქვს, რადგან ის ამ სეზონში უკვე თამაშობდა ცსკა-ს რიგებში. **რიკარდო მონტოლივო** და **სალი მუნტარი** დისკვალიფიცირებულნი არიან. ტრავმების გამო ვერ ვიხილავთ - **სტეფან ელ შაარავის, რობინიოს, ბრაიან კრისტანტესა** და **ვალტერ ბირსას**. ხოლო **კაკას, კრისტიან საპატას, დანიელე ბონერასა** და **ურბი ემანუელსონის** თამაში საეჭვოა. სხვათა შორის, საპატას



დიეგო სიმეონეს გუნდი შესანიშნავ ფორმაშია ჩემპიონთა ლიგაზე

ამ ეტაპამდე შეუცვლელად აქვს ნათამაშები და ექიმებს იმედი აქვთ, რომ კოლუმბიელი მატჩამდე შეძლებს მწყობრში ჩადგომას.

„ატლეტიკოს" სამი ფეხბურთელი აკლია - **ტიაგო, ხავი მანკილიო** და **ფილიპე ლუიში**. პირველისა და მესამის არყოფნა ძალიან არასასიამოვნოა, მაგრამ **დიეგო სიმეონეს** ისე აქვს საქმე აწყობილი, რომ ეს მართლაც ძალიან ნიჭიერი და უკვე წარმატებული სპეციალისტი რამეს მოიფიქრებს. არგენტინელისთვის იტალია და იტალიური ფეხბურთი უცხო როდია და მან ბევრზე უკეთ იცის, თუ რას ნიშნავს „ჯუზეპე მეაცაზე" თამაში. ამიტომაც, ისედაც ფრთხილი „ჩოლო" ალბათ ამჯერად ორმაგ სიფრთხილეს გამოიჩენს. იგი ტაქტიკურად ძალიან ძლიერია და უკვე წარმატების მიღწევის გამოცდილებაც აქვს. ასე რომ, ზეედორფს ადვილი თამაში არც ამ მხრივ ელის. ერთი შეხედვით, მილანში გოლების წვიმა სულაც არ არის მოსალოდნელი, მაგრამ ვინ იცის...

*„სანახაობრივ მატჩს ველოდები, რადგან ორივე გუნდს კარგად შეუძლია შემტევი ფეხბურთის თამაში. ამავდროულად, ძალიან მნიშვნელოვანია დაცვაში ყურადღებით ყოფნა, ბოლომდე მობილიზებულნი უნდა ვიყოთ. „მილანს" არაერთი მაღალი კლასის შემტევი ჰყავს და მათი კონტრიერიშების დროს ფრთხილად უნდა ვიყოთ. თავს ფავორიტებად არ ვთვლით, ეს მინდორზე უნდა გამოჩნდეს. ჩვენთვის ეს ისტორიული და დიდი მატჩია ბრწყინვალე მეტოქის წინააღმდეგ"* - თქვა სიმეონემ.

საინტერესოა, რომ მიუხედავად ევროტურნირებზე ამ კლუბების საკმაოდ დიდი ისტორიისა, ისინი ერთმანეთს პირველად ხვდებიან. თუ ზოგადი სტატისტიკა გაინტერესებთ „მილანის" თამაშებისა ესპანური გუნდების წინააღმდეგ და შესაბამისად „ატლეტიკოსი" იტალიურების პირისპირ, გეტყვით - „როსონერის" პირენეელებთან სულ 18 მოგება, 13 ფრე და 22 წაგება აქვს (73-78 ბურთების სხვაობა). ხოლო მადრიდელებს აპენინელებთან 10 მოგება, 2 ფრე და 7 მარცხი (27-17).

გიორგი პაპაშაძე

19.02. მილანი სან სირო 23:45

**მილანი**

| ბოლო 6 მატჩი ლიგაზე | |
|---|---|
| +2=3-1 | +5=1-0 |
| არბიტრი | |
| პედრო პროენსა (პორტუგალია) | |

**ატლეტიკო**

სავარაუდო შემადგენლობები

მილანი: აბიატი – ბონერა, რამი – აბატე, დე შილიო – ესიენი, დე იონგი – ემანუელსონი, კაკა, ტაარაბტი – ბალოტელი

ატლეტიკო: დ. კოსტა – ა. თურანი, დიეგო, რ. გარსია – კოკე, გაბი – ინსუა, ხუანფრანი – გოდინი, მირანდა – კურტუა

**დისკვალიფიკაცია:** - რიკარდო მონტოლივო, სალი მუნტარი
**ტრავმა:** კაკა (?), კრისტიან საპატა (?) - ტიაგო, ფილიპე ლუიში, ხავი მანკილიო

● ჩემპიონთა ლიგა. 1/8-ფინალი

# პარიზი უკვე ცაშია

**ლევერკუზენი-პსჟ 0:4**

**გოლები:** 0:1 მატუიდი (3), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (39-პენ), 0:3 იბრაჰიმოვიჩი (42), 0:4 კაბაი (88)
**ლევერკუზენი** (4-3-3): ლენო - ჰილბერტი, ტოპრაკი, სპაჰიჩი, გუარდადო - როლფესი (46. რაინარტცი), ბენდერი, კასტრო - სემი (62. ვოლშაიდი), კისლინგი, სონი (46. ბრანდტი)
**პსჟ** (4-3-3): სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი, ტ. სილვა, მაქსველი – მატუიდი (67. კაბაი), ვერატი, ტ. მოტა - ლუკას მოურა, იბრაჰიმოვიჩი, ლავეცი (76. პასტორე)
**გაფრთხილება:** ჰილბერტი, სპაჰიჩი, გუარდადო, კასტრო - მატუიდი
**გაძევება:** სპაჰიჩი (59) -
**კარში დარტყმა:** 5-12 (3-12) **კუთხური:** 4-1 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 14-6 **ბურთის ფლობა:** 41%-59%
**მაყურებელი:** 29 412

ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე შეიძლებოდა თქმა, რომ „ლევერკუზენი" წყვილში აუტსაიდერი იყო. მიზეზებზე ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია. მთავარი მაინც ის იყო, რომ პლეიოფს **სამი ჰიპიას** გუნდი ზედიზედ ორი მარცხით და ცუდ ხასიათზე მყოფი შეხვდა.

თამაში ზუსტად ისე დაიწყო, როგორც მოსალოდნელი იყო. დებიუტშივე რამდენჯერმე მოექცნენ ყურადღების ცენტრში **სიმონ როლფესი** და **ბლეზ მატუიდი**. გამარჯვებული ფრანგი დარჩა, ვინც მეტოქეს ჯერ ბურთი წაართვა, მერე შეტევაშიც ჩაერთო და **მარკო ვერატის** პასით **ბერნდ ლენოსთან** პირისპირ დარჩენილმა ანგარიში გახსნა. გოლის შემდეგაც კი პარიზელები ძირითადად მეტოქის ნახევარზე განაგრძობდნენ თამაშს. ბურთიანი „ფარმაცევტი" მეტოქის საჯარიმოში პირველად მე-9 წუთზე გამოჩნდა და მერეც ზუსტად ორი ამდენი დრო დასჭირდა იმავე „გმირობის" ჩასადენად. ოღონდ ეს ბედნიერება ორჯერვე ძალიან ხანმოკლე გახლდათ. რისი ბრალი იყო? იმის, რომ გერმანელთა შუა ხაზი საკუთარი ნახევრიდან ბურთის ამოტანას დიდ დროს ანდომებდა ან საერთოდ ვერ ახერხებდა. მისი მაქსიმუმი ბურთის გაჭიანურებული და არაფრისმომცემი გათამაშებები იყო. უსახური სანახაობა არბიტრმა **ვიქტორ კაშაიმ** 39-ე წუთზე უცნაურ სიტუაციაში დანიშნული პენალტით გამოაცოცხლა. **ემირ სპაჰიჩი ეზეკილ ლავეცის** შეეჯახა. თითქოს რიგითი სათამაშო სიტუაცია იყო, მაგრამ უნგრელმა ძირს დაცემული არგენტინელის ტანჯულ სახეს უფრო დაუჯერა, ვიდრე გაკვირვებულ ბოსნიელს. **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** პენალტი მშვიდად გაიტანა. შვედმა რამდენიმე წუთში კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი. ამჯერად თამაშიდან და თანაც ტრადიციულ სტილში, საჯარიმოს გარედან ძლიერი, ეფექტური დარტყმით. თამამად შეიძლება თქმა, რომ 180 წუთზე გათვლილი დაპირისპირება პირველ 45 წუთში დასრულდა. შეგვიძლია, **ლორან ბლანს** უკვე მივულოცოთ მომდევნო ეტაპზე გასვლა.

შესვენების შემდეგ არაფერი შეცვლილა. ამაზე ისევ და ისევ კაშაიმ იზრუნა. 58-ე წუთზე „პარი სენ-ჟერმენის" საჯარიმოში **შტეფან კისლინგის** ვარდნა უფრო მეტად იმსახურებდა პენალტს, ვიდრე ლავეცის ეპიზოდი, მაგრამ არბიტრი დუმდა. პარიზელებმა ბურთი მეტოქის ნახევარზე სასწრაფოდ გადაიტანეს. კონტრშეტევაზე გაქცეულ **ლუკას მოურასთან** ორთაბრძოლაში სპაჰიჩმა წესი კი დაარღვია, მაგრამ არა იმდენად უხეშად, რომ მეორე ყვითელი მიეღო. კაშაიმ მასპინძელი არც ამჯერად დაინდო. დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ მხოლოდ ჩვენ არ დაგვრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ უნგრელის გარჯა უკეთესის სურვილს ტოვებდა. მარტო დანიშნულ და დაუნიშნავ პენალტებს არ ვგულისხმობთ. იდენტურ დარღვევებს ის აშკარად განსხვავებულად სჯიდა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თუნდაც მატუიდისა და კისლინგის ორთაბრძოლის ეპიზოდი, როცა ფრანგს მუხლში განზრახ ჩარტყმისთვის მეორე ყვითელი უნდა მიეღო.

მსაჯის შეცდომები სტუმარი გუნდის ბრწყინვალე გარჯას ჩრდილს მაინც ვერ მიაყენებს. ანგარიშს თავი დავანებოთ. პარიზელებმა მეტოქეს აბსოლუტურად ყველა სტატისტიკურ თუ წმინდა საფეხბურთო კომპონენტში აჯობეს. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება გახლდათ **იოან კაბაის** გოლი. სტუმარმა ცენტრთან დაწყებული ოთხსვლიანი კომბინაციით თავბრუ დაახვია მთელ „ლევერკუზენს" და ისე დააფიქსირა საბოლოო ანგარიში.

ლევან ბიბილაშვილი






**მან. სიტი-ბარსელონა 0:2**

**გოლები:** 0:1 მესი (54-პენ), 0:2 დანი ალვეში (90)
**სიტი** (4-4-1-1): ჰარტი - საბალეტა, კომპანი, დემიკელისი, კლიში - ხესუს ნავასი (58. ნასრი), ფერნანდინიო, იაია ტურე, კოლაროვი (58. ლესკოტი) - სილვა - ნეგრედო (74. ჯეკო)
**ბარსელონა** (4-3-3): ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა - ბუსკეტსი, ჩავი, ფაბრეგასი (86. სერხი რობერტო) - ა. სანჩესი (74. ნეიმარი), მესი, ინიესტა
**გაფრთხილება:** ნეგრედო, კოლაროვი - დანი ალვეში, მასკერანო
**გაძევება:** დემიკელისი (53. მანჩესტერ სიტი)
**კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 19-11; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 9-10 (4-7); **ბურთის ფლობა:** 38%-62%
**მაყურებელი:** 46 033

# ბარსა ცალი ფეხით გასულია

„მანჩესტერ სიტის" და „ბარსელონას" დაპირისპირებამ გულშემატკივართა მოლოდინი ვერ გაამართლა. ფეხბურთის მოყვარულები უხვგოლიან, ლამაზ და სანახაობრივ შეხვედრას ელოდნენ, ამის ნაცვლად კი ფრთხილი და მშვიდი მატჩი მიიღეს. კატალონიელებმა მეორე ტაიმში **მარტინ დემიკელისის** გაძევების შემდეგ, დიდი უპირატესობა მოიპოვეს და საბოლოოდ, ისეთი ანგარიშით იმარჯვეს, რომ შეგვიძლია ვთქვათ: ამ წყვილში ყველაფერი გადაწყვეტილია.

ორივე გუნდის მწვრთნელმა შედარებით ფრთხილი ტაქტიკა აირჩია. **მანუელ პელეგრინიმ** მარცხენა ფრთაზე **გაელ კლიშის** და **ალექსანდარ კოლაროვის** სახით ორი მცველი გაამწესა, შეტევის წინა ხაზზე კი **ალვარო ნეგრედო** დატოვა, რომელსაც უკნიდან **დავიდ სილვა** უნდა დახმარებოდა. **ხერარდო მარტინომ** კი **პედრო** არ ათამაშა და მის ნაცვლად მინდორზე **ანდრეს ინიესტას** უხმო.

პირველი სახიფათო მომენტი სტუმართა კართან სტანდარტულის შემდეგ შეიქმნა, როდესაც სილვამ საჯარიმოში ჩააწოდა, **ვიქტორ ვალდესი** კი კარიდან ცუდად გამოვიდა, რის გამოც „ბარსელონას" საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, მაგრამ სიტუაცია თავად მეკარემ განმუხტა, რომელმაც ბურთს კარის ხაზზე მიასწრო. კატალონიელებმა პირველ 45 წუთში **ჯო ჰარტი** ერთადერთხელ შეაწუხეს - **ჩავიმ** შორიდან გაისროლა, მაგრამ ინგლისის ნაკრების მეკარე ამ დარტყმისთვის მზად იყო.

შეხვედრის ბედი კი 53-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც მარტინ დემიკელისმა, მანამდე ჩრდილში მყოფი **ლიონელ მესი** წააქცია და **იონას ერიქსონისგან** წითელი ბარათი მიიღო. არგენტინელთა შეჯახებისას „სიტის" მცველი წესებს კი არღვევდა და ბოლო იმედის ჯარიმის გამო გაძევებასაც იმსახურებდა, მაგრამ ფაქტია, რომ დემიკელისმა საჯარიმოს გარეთ იუხეშა, ამიტომ პენალტი არ უნდა დანიშნულიყო, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ სატელევიზიო გამეორებაზე გამოჩნდა. 11-მეტრიანი დაზარალებულმა შეასრულა, პირდაპირ ცენტრში დაარტყა და ანგარიშიც გახსნა.

პელეგრინიმ ცვლილებები განახორციელა და თამაშის სურათის შეცვლა სცადა, მაგრამ „ბარსამ" ბურთზე კონტროლი დაანესა და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. რამდენიმე წუთში კარგი მომენტი ჰქონდა **დანი ალვეშს**, მაგრამ ბრაზილიელის დარტყმა ჰარტის კარს მცირე მანძილით ასცდა, კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ კი კატალონიელებმა ულამაზესი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც **პიკეს** გოლით დასრულდა, მაგრამ ამ ეპიზოდში მსაჯებმა თამაშგარე დააფიქსირეს. გამეორებაზე კი ნათლად გამოჩნდა, რომ ოფსაიდი არ იყო და არბიტრები უკვე „სიტის" სასარგებლოდ შეცდნენ.

მასპინძელთაგან ყველაზე რეალური მომენტი დავიდ სილვას ჰქონდა, როდესაც **პაბლო საბალეტას** პასის შემდეგ ესპანელმა ბურთი მკერდით ჩამოიღო და ერთი შეხებით დაარტყა, თუმცა ვალდესს ველარ აჯობა. შეხვედრის ბოლო წუთზე კი **ნეიმარის** და დანი ალვეშის ბრაზილიური კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა - 0:2.

სამწუხაროა, რომ ამ წყვილში ყველაფერი პრაქტიკულად პირველივე მატჩის შემდეგ გადაწყდა. 0:1-ზე „სიტის" შანსი კიდევ ექნებოდა, მაგრამ „ეტიჰადზე" ორბურთიანი სხვაობით წაგების შემდეგ, წარმოუდგენელია, რომ მანჩესტერელებმა საპასუხო შეხვედრაში ინტრიგა გაალვივონ.

ტატო ბაციკაძე



მესიმ ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოჭი 2014




თენგიზ გაჩეჩილაძე სოჭიდან

# ნინო ნიკლაური: არც კმაყოფილი ვარ, არც უკმაყოფილო

სათაურში გამოტანილი სიტყვები ჩვენმა სამთომოთხილამურემ, **ნინო ნიკლაურმა** ქალთა შორის ოლიმპიური პროგრამით ასპარეზობის დასრულებისთანავე გვითხრა. ცხადია, კმაყოფილი უკეთესი მიღწევით იქნებოდა, უკმაყოფილო - უარესით.

ჩვენი სპორტსმენისთვის ეს იყო მეორე ოლიმპიადა. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ვანკუვერში, წინა თამაშებზე, ნინომ ვერ დაამთავრა ასპარეზობა - დისტანციიდან პირველსავე ცდაზე გამოვარდა. მისგან შეუძლებელს ახლაც არ მოელოდა ვინმე, მაგრამ ის, რომ 88 მონაწილეს შორის 49-ე ადგილზე გავიდა, რაღაცას მაინც ნიშნავს. მით უფრო, რომ არაერთმა ძლიერმა სპორტსმენმა ვერ ჩააღწია ფინიშამდე, როგორც პირველ, ისე მეორე დაშვებაზე.

ასპარეზობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი ნამდვილად იყო სლოვენიელი **ტინა მაზე**, რომელიც ტრასაზე პირველ ცდაზე მეორე დაეშვა და მერე მისი შედეგის გაუმჯობესება ვერავინ შეძლო. მეორე ცდაზე ლიდერს მეტოქეებზე ოდნავ გვიან მოუწია გამოსვლა, მაგრამ ფინიში გადაკვეთა თუ არა, მიუხედავად იმისა, რომ სამ ათეულამდე სპორტსმენს კიდევ ჰქონდა ტრასა გასავლელი, უკვე ულოცავდნენ ჩემპიონობას. ასეც მოხდა. სპეციალისტებს გუმანი არ ღალატობთ. თავად გამარჯვებული კი მილოცვების შემდეგ თოვლზე დაწვა და უცნაურად, ბრასის სტილით ცურვის იმიტაციით გამოხატა თავისი დიდი სიხარული.

განსჯისთვის ვიტყვით, რომ სლოვენიელმა ჩემპიონმა ორი ცდის ჯამში 2:36.87 (1:17.88; 1:18.99) აჩვენა, ნინო ნიკლაურმა - 2:55.34 (1:27.27; 1:28,07). სხვაობა გამარჯვებულთან 18.37 წამია... მეორე ადგილზე გავიდა ავსტრიელი **ანა ფენინგერი** - 2:36,94 (1:18.73; 1:18.21); ბრინჯაოს მედალს გერმანელი **ვიქტორია რებენსბურგი** დაეუფლა - 2:37.14 (1:19.24; 1:17.90).

ეს ასპარეზობა მძიმე მეტეოროლოგიურ ფონზე ჩატარდა. 10-დღიანი დარი, ჯერ ღრუბლიანობამ და მცირე წვიმამ შეცვალა, გუშინ - თავსხმამ. იქ, მაღლა კი, სადაც სასტარტო ბაქნია, ხვავრიელად თოვდა, ნისლიც ჩამოწვა. ამის გამო, მეორე დაშვების დაწყება, ვიდრე ტრასა მომზადდებოდა და ხილვადობა გაუმჯობესდებოდა, მცირე ხნით გადაიდო კიდეც.

დღეს პროგრამით ვაჟების ასპარეზობის ჯერია. ისინიც გიგანტურ სლალომში გამოსვლით ჩაერთვებიან ოლიმპიურ ტურნირში. მათ შორის იქნება ჩვენი ორი სამთომოთხილამურე, ვანკუვერის ოლიმპიადის მონაწილე **იასონ აბრამაშვილი** და დებიუტანტი - **ალექსი ბენიაიძე.** ზეგ ასპარეზი სლალომში მოასპარეზე ქალებს დაეთმობათ. ნინო ნიკლაური აქაც გამოვა სტარტზე.

- ბიჭები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, ასპარეზობისთვის მზად არიან და თავს არ დაზოგავენ. შეეცდებიან მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, - გვითხრა მწვრთნელმა **გერა აბრამიშვილმა.**

იგივე განწყობა შევნიშნეთ ჩვენს სპორტსმენებს მათთან გასაუბრების დროსაც. პროგნოზებისგან კი თავი შეიკავეს.

*სოჭის ოლიმპიდაზე*
*„ლელოს" ცხელი ხაზის*
*ტელეფონია: +7938 43 99 565.*



ნინო ნიკლაური
*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

ფიგურული ციგურაობა

# ქალები აისბერგში

სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამით დღეს შეჯიბრებაში ფიგურულად მოციგურავე ქალები ჩაებმებიან. მოკლე პროგრამით სხვადასხვა ქვეყნის 30 წარმომადგენელი გამოვა ყინულის სასახლე „აისბერგის" სარბიელზე. მედლებისთვის მებრძოლთა შორის იქნება ქართველი **ელენე გედევანიშვილი,** რომლისთვისაც ეს ოლიმპიადა მესამეა. 2006 წელს 16 წლის გოგონამ ტურინის ზამთრის თამაშებზე მე-10 ადგილი დაიკავა, რითაც ფიგურული ციგურაობის სამყარო გააოცა. 2010 წელს კვებეკში (კანადა) მე-14 იყო. თუმცა იმავე წელს ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მსგავს წარმატებას მიაღწია 2012 წელსაც. წლევანდელ კონტინენტის პირველობაზე ელენე ახალი მწვრთნელის - **ბრაიანდ გისლეინის** ხელმძღვანელობით მე-10 ადგილს დასჯერდა. როგორც თავად აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში, სოჭის ოლიმპიადისთვის კარგად არის მომზადებული და წინა თამაშების შედეგების გაუმჯობესებას ვარაუდობს. თუმცა ეს არ იქნება იოლი, რადგან მას (გედევანიშვილი დღეს მე-16 განთესვით გამოვა ყინულზე სავარაუდოდ, 21.17-ზე) საკმაოდ ტიტულოვან მეტოქეებთან მოუწევს გამკლავება. ესენი არიან: 2010 წლის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, მსოფლიოს ჩემპიონატების ორ-ორგზის ოქროს (2009, 2013), ვერცხლისა (2010, 2011) და ბრინჯაოს (2007, 2008) მედლის მფლობელი, 24 წლის კორეელი **იუნა კიმი** (იგი გედევანიშვილის შემდეგ გამოვა ყინულზე), გამოცდილი იაპონელი სპორტსმენი, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ადგილოსანი (2012) 29 წლის **აკიკო სუძუკი,** 2012 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ორ-ორგზის ვერცხლისა და ბრინჯაოს მფლობელი, ხუთგზის ევროპის ჩემპიონი **კაროლინა კოსტნერი** (იტალია), ევროპის ჩემპიონატების ორგზის მეორეადგილოსანი **ადელინა სოტნიკოვა** (რუსეთი), ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი (2008, 2010), მსგავსი შეჯიბრებების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი, 2010 წლის ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი **მაო ასადა** (იაპონია) და ფიგურული ციგურაობის ამომავალი ვარსკვლავი (თუ უკვე ვარსკვლავი) - 15 წლის რუსი სპორტსმენი **იულია ლიპნიცკაია,** რომელსაც **ეთერ თუთბერიძე** ავარჯიშებს. ამ გოგონამ ჯერ კიდევ შარშან მიიპყრო სპეციალისტებისა და ქომაგების ყურადღება, როცა კანადაში დიდი საერთაშორისო ტურნირი მოიგო, შემდეგ მოსკოვში როსტელეკომის თასი დაისაკუთრა. წლეულს ევროპის ჩემპიონატზე უკონკურენციო იყო - მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა იდგა. და აი, სოჭის ოლიმპიადაზეც მოასწრო ოქროს მედლის მოპოვება - ფიგურული ციგურაობის გუნდურ შეჯიბრებაში. 2014 წლის ოლიმპიური ჩემპიონი „აისბერგის" დარბაზში თავისი მეორე ოლიმპიური ოქროსთვის იბრძოლებს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ლიპნიცკაია პირველი არ არის, ვინც ოლიმპიური თამაშების მწვერვალზე ასე ადრეულ ასაკში ავიდა. მართალია, სპორტის სხვადასხვა სახეობას თავისი ასაკობრივი შეზღუდვები აქვს, თუმცა ეს მაშინვე არ დაუწესებიათ. სპორტის ჩინოვნიკები მიხვდნენ, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის უდიდესი დატვირთვებია საჭირო, რომლებიც სრულებითაც არ არის საზავშო. ამის მიუხედავად, ოლიმპიადებს ახსოვთ ნორჩი ჩემპიონები და პრიზიორები. ზოგიერთი მათგანის ვინაობას შეგახსენებთ:

1. **დიმიტრიოს ლუნდასი,** 10 წლის, საბერძნეთი. ძელზე (ორძელი) გუნდურ ვარჯიშში „ბრინჯაო" (ათენი, 1896).
2. **ინგე სერენსენი.** 12 წლის, დანია. ბრასით ცურვაში „ბრინჯაო" (ბერლინი, 1936).
3. **მარჯორი გუსტრინგი,** 13 წლის. აშშ. წყალხტომაში „ოქრო" (ბერლინი, 1936).
4. **პატრისია მაკორმიკი,** 13 წლის, აშშ. წყალხტომაში „ოქრო" (მელბურნი, 1956).
5. **ფუ მინსია.** 13 წლის, ჩინეთი, წყალხტომაში „ოქრო" (ბარსელონა, 1992).
6. **კიმ იუნ მი,** 13 წლის, კორეა, შორტ-ტრეკში „ოქრო" (ლილეჰამერი, 1994).
7. **ნადი კომანეჩი.** 14 წლის, რუმინეთი. ხუთი მედალი. მათ შორის - 3 „ოქრო" სპორტულ ტანვარჯიშში (მონრეალი, 1976).
8. **სონია ჰენი.** 15 წლის, ნორვეგია. ფიგურულ ციგურაობაში ქალთა შორის „ოქრო" (სანკტ-მორიცი, 1928).
9. **მაქსი გურბური,** 15 წლის, გერმანია. წყვილთა ფიგურულ სრიალში ჩემპიონი (გარმიშ-პარტენკირხენი, 1936).
10. **ბარბარა პერლ ჯოუნსი,** 15 წლის, აშშ, 4X100 მეტრზე ესტაფეტაში „ოქრო" (ჰელსინკი, 1952).
11. **ლინა კაჩიუშიტე,** 15 წლის, სსრკ, ცურვაში „ოქრო" (მოსკოვი, 1980).
12. **ტატიანა გუცუ,** 15 წლის, სსრკ. სპორტულ ტანვარჯიშში ორი „ოქრო", „ვერცხლი" და „ბრინჯაო" (ბარსელონა, 1992).
13. **ტარა ლიპინსკი,** 15 წლის. აშშ. ქალთა ფიგურულ ციგურაობაში „ოქრო" (ნაგანო, 1998).
14. **რუტა მეილუტიტე,** 15 წლის, ლიტვა. ბრასით ცურვაში „ოქრო" (ლონდონი, 2012).

ვაჟა დანელია



ელენე გედევანიშვილი
*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

ჭადრაკი

# ჩემპიონი ზავით იწყებს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დაიწყო საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 71-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 12 მანდილოსანი წრიული სისტემით იბრძოლებს მედლებისთვის. პირველ ტურში ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი **ნინო ხურციძე** შავი ფიგურებით 58-ე სვლაზე დაუზავდა დიდოსტატ **სოფიკო გურამიშვილს,** რომელიც შეჯიბრებაში **ნანა ძაგნიძის** ნაცვლად დაუშვეს.



**ნინო ხურციძე**

დაიბადა 1975 წელს, ჭადრაკს თამაშობს 5 წლიდან. ქალებში საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი (1989, 1993, 2005, 2006, 2013) და ორგზის (2009, 2010) ვიცე-ჩემპიონია, 1998 წელს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატშიც გაიმარჯვა. არაერთხელ მიუღწევია წარმატებებისთვის საერთაშორისო სარბიელზეც: 16 და 18-წლამდელებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სხვადასხვა ასაკში მსოფლიოს და ევროპის პირველობების ოთხგზის გამარჯვებულია, ორჯერ მსოფლიო უნივერსიადები მოიგო, 26-წლამდელ გოგონებში მსოფლიოს ჩემპიონმა ორჯერ ზონალურ ტურნირებში მიაღწია წარმატებას. არის ევროპის საკლუბო თასის სამგზის (1998, 2000, 2006) მფლობელი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ვერცხლისა (2000) და ბრინჯაოს (1998) მედალოსანი (2000 წელს თავის დაფაზე მცირე ოქრო დაიმსახურა), მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ბრინჯაოს (2011), ევროპის გუნდური ჩემპიონატების ორგზის ვერცხლისა (2006, 2009) და ბრინჯაოს (2011) პრიზიორი, ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატების მეოთხედფინალისტი, იუგოსლავიის, გერმანიისა და უნგრეთის ჩემპიონი გუნდურში. ჰყავს მეუღლე - საერთაშორისო ოსტატი **ბაჩანა მორჩიაშვილი.** დამთავრებული აქვს თსუ-ს საერთაშორისო ჟურნალისტიკისა და იურიდიული ფაკულტეტები, არის ღირსების ორდენოსანი...

გუშინ ეროვნული ჩემპიონატის დანარჩენი ხუთი პარტია ასე დამთავრდა: **სოფიო გვეტაძე-ნინო ბაციაშვილი** 0.5:0.5, **ნინო ხომერიკი-მერი არაბიძე** 0:1, **სოფიო ნიკოლაძე-ნანი უნაფქოშვილი** 0.5:0.5, **ანა კუჭავა-ბელა ხოტენაშვილი** 0:1, **ინგა ხურცილავა-ლელა ჯავახიშვილი** 0:1.

დღეს მე-2 ტურში ითამაშებენ: არაბიძე-ჯავახიშვილი, ხოტენაშვილი-ხურცილავა, უნაფქოშვილი-კუჭავა, ხურციძე-ნიკოლაძე, ბაციაშვილი-გურამიშვილი, ხომერიკი-გვეტაძე.

# ლიდერობა შეინარჩუნა

მინსკში დღეს დამთავრდება დავით ბრონშტეინის მემორიალი, რომელშიც გუშინ მე-8 ტურის პარტიები გათამაშდა. მეწინავეთაგან მხოლოდ უკრაინელმა სერგეი ფედორჩუკმა აჯობა ბორის გრაჩევს (რუსეთი), დანარჩენი პარტიები ყაიმით დასრულდა, მათ შორის - სერგეი ტივიაკოვისა (ჰოლანდია) და **ბაადურ ჯობავას** შეხვედრა.

რვა ტურის შემდეგ 6.5 ქულით ჯობავამ ლიდერობა შეინარჩუნა. ჩვენებურს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ტივიაკოვი, დუბოვი, შიმანოვი, ფედორჩუკი, ოლექსიენკო. გამარჯვებული და პრიზიორები სწორედ მათს დღევანდელ დაპირისპირებაში გაირკვევა. ბოლო ტურში ითამაშებენ: ჯობავა-შიმანოვი, ფედორჩუკი-დუბოვი, ოლექსიენკო-ტივიაკოვი.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ძიუდო. ქალთა ნაკრები



მარიამ ჯანაშვილი (თეთრ კიმონოში)

# ქალთა საჭიდაო გეგმები

## ბებოშვილი წონას იცვლის, ჯანაშვილმა ოპერაცია გაიკეთა

ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების სადაგი კალენდრის გამო (თებერვალში ყოველ უქმეებზე ტურნირში ჭიდაობენ) ქალთა ძიუდომ თითქოს ჩრდილში გადაინაცვლა. ცხადია, მათთან საინტერესო ამბები ჯერჯერობით შედარებით ნაკლებად ხდება, რადგან ნაკრები ახლა ყალიბდება, თუმცა გარკვეული სიახლეები აქაცაა. წლეულს ქალთა ძიუდოს ბიუჯეტი გაეზარდა, თუმცა არეალიც იზრდება – შარშან თუ აქცენტი ძირითადად 17-წლამდელებზე იყო გადატანილი, ამჯერად სამივე ასაკობრივ გუნდზე თანაბრად ნაწილდება. გარკვეულწილად, ეს იმანაც გამოიწვია, რომ წლეულს ჭაბუკებიდან ახალგაზრდებში გადავიდნენ ქალთა ძიუდოს ლიდერი, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ფინალისტი და ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მესამე პრიზიორი **მარიამ ჯანაშვილი** და **გურანდა შოთაძე** (ორივე – 52), რომლებსაც იქ სხვებთან ერთად **ელენე ქებაძეც** (+78) ხვდებათ, ეს სამეული კი ისეთი ძალაა, რომლისადმი უყურადღებობაც დანაშაულის ტოლფასია. თავის მხრივ, ჭაბუკებში კვლავაც რჩებიან ქალთა პირველი მედალოსანი – ევროპის პრიზიორი **მზია ბებოშვილი**, რომელიც წონას იცვლის და 48-დან 52-ში გადადის, მარიამ ჯანაშვილის უმცროსი და - **ხატია ჯანაშვილი** (63), მოდიან ახლებიც ანუ თაობათა ცვლის შედეგად ერთის ნაცვლად ორი პერსპექტიული გუნდი მივიღეთ. ამიტომ დღის წესრიგში ბუნებრივად დადგა ორივე გუნდისადმი თანაბარი ყურადღების მიქცევის საჭიროება. გარკვეული შანსები უფროსებსაც გააჩნიათ, ოღონდ მათთვის მეტი ხელშეწყობაა საჭირო.

ქალთა ძიუდოს ლიდერი, ქართველთაგან პირველი ევროპის ჩემპიონი მარიამ ჯანაშვილი ახალ სეზონს ნაოპერაციები ხვდება. მას შარშანვე აწუხებდა მხარი და წელი, რაც მსოფლიოს პირველობასა და ოლიმპიურ ფესტივალზე მარცხის მიზეზები გახდა. სეზონის ბოლოს მან მხარზე გაიკეთა ოპერაცია და ამჟამად სარეაბილიტაციო პერიოდს გადის. საბედნიეროდ, ქირურგიულმა ჩარევამაც და შემდგომმა პერიოდმაც ნორმალურად, გართულებების გარეშე ჩაიარა. ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გია თენაძე** იმედოვნებს, რომ ის სრულ ფორმაში შეხვდება სეზონის უმთავრეს სტარტებს, რომლებიც მას მრავლად ელოდება – მსოფლიოს პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები, ევროპისა და მსოფლიოს პირველობები. საბედნიეროდ, დროც ბლომად აქვს – ამ ტრიოდან პირველი მსოფლიოს ოლიმპიური თამაშებია, რომელიც 17-21 აგვისტოს იმართება ჩინურ ნანჯინგში და ჯანაშვილს მოპოვებული აქვს მისი ლიცენზია. ევროპის პირველობა 19-20 სექტემბერს ტარდება ბუქარესტში, მსოფლიოსი – 22-26 ოქტომბერს მაიამიში. იმედია, ჯანაშვილს ჯანმრთელობა პრობლემებს აღარ შეუქმნის და მართლაც სრულყოფილ ფორმაში შეხვდება ამ შეჯიბრებებს.

სხვათა შორის, ოპერაცია გაიკეთა გურანდა შოთაძემაც – ცხვირზე, თუმცა მისი მდგომარეობა ბევრად იოლი იყო.

ქალებმა უკვე დაიწყეს სეზონი – **შორენა შარაძე** (63) და **ირინე ლეონიძე** (+78) თვის დასაწყისში სოფიაში გამოვიდნენ „ევროპის ღია კონტინენტურ თასზე", თუმცა უშედეგოდ, მეორე სტარტი კი 21-23 მარტს თბილისში გასამართი „დიდი პრიზის" ტურნირი იქნება... ისინი ამჯერად მშობლიურ ბათუმში ვარჯიშობენ, მაგრამ თენაძეს სურს, გორში ჩაიყვანოს მოსამზადებლად, რადგან იქ უკეთესი სპარინგ-პარტნიორები ეყოლებათ. მწვრთნელის თქმით, სოფიაში ლეონიძემ ორივე ჩატარებულ შეხვედრაში პირველი ნახევარი კარგად ჩაატარა, მაგრამ მეორეში ველარ გაუძლო და ამიტომ დამარცხდა, ანუ ფუნქციონალურად არ იყო მზად. ეს იმან გამოიწვია, რომ სპარინგები აკლდა. ახლა სწორედ ამ ნაკლის აღმოფხვრა სურს. არადა, მძიმე წონაში კონკურენცია შედარებით ნაკლებია და არც ლიცენზიის მოპოვებაა უტოპია. თბილისის შემდეგ განზრახულია ქალების გამოყვანა სამსუნში, ისევ „დიდ პრიზზე", რომელიც ჩვენი ტურნირიდან ზუსტად ერთ კვირაში ჩატარდება. სწორედ ამ ორი შეჯიბრების შემდეგ გაირკვევა, გვეყოლება თუ არა მონაწილე 24-27 აპრილს, ფრანგულ მონპელიეში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე.

უფროსებისგან განსხვავებით, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს ჯერ არსად უასპარეზიათ. მათთვის პირველი შეჯიბრება 15-16 მარტს ანთალიაში ჭაბუკთა შორის გასამართი „ევროპის თასია", სადაც ჩვენები ყოველწლიურად დადიან. 5-6 აპრილს უკვე ახალგაზრდების ჯერი დადგება – ისინი ბერძნულ სალონიკში გამოვლენ, „ილიადის თასზე". 17-წლამდელებისთვის კიევშიც იგეგმებოდა გამოსვლა, მაგრამ იქ შექმნილი პოლიტიკური კრიზისის გამო უკრაინელებმა ამჯერად უარი თქვეს შეჯიბრების გამართვაზე. შედეგად, ალტერნატივად გერმანიის ტურნირი გამოძებნეს. ჩვენები ბაქოშიც გამოვლენ, ოღონდ წლეულს აზერბაიჯანელებმა გადასწიეს შეჯიბრების გამართვის თარიღი.

ეს რაც შეეხება სეზონის პირველი ნახევრის კალენდარსა და გეგმებს, დანარჩენი კი სამომავლოდ იყოს.

**ირაკლი თავაძე**

● მძლეოსნობა

# სტამბოლში ბალკანეთის დასაპყრობად

22 თებერვალს სტამბოლში ბალკანეთის ქვეყნების ზამთრის ჩემპიონატი გაიმართება. შეჯიბრებაში საქართველოს 15-კაციანი ნაკრებიც იასპარეზებს მთავარი მწვრთნელის - **ლუდმილა ოლიარის** ხელმძღვანელობით. 60 მეტრზე რბენაში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ **მარიამ ჩაკაბერია, თეო მაჭარაშვილი** და **ბაჩანა ხორავა**; 400 მეტრზე რბენაში ძალებს მოსინჯავენ **მარიამ მარტინენკო, დენის ჟვანია** და **ნიკა კარტავცევი**. სტამბოლის მძლეოსნობის სასახლეში, ასევე, იასპარეზებენ: **თინათინ პაპუაშვილი, ანდრანიკ მატინიანი** (ორივე-800 მ), **გიგლა ზილბერშტეინი** (1500 მ), **დავით ხარაზიშვილი** (3000 მ), **დავით ილარიანი** (60 მ თარჯებით), **მარი გაგნიძე, ბოლესლავ სხირტლაძე** (ორივე-სიგრძეზე ხტომა), **თათია პაიკიძე** და **ლაშა თორლვაიძე** (ორივე-სამმხტომი). საქართველოს ნაკრების წევრებმა გასულ უქმეებზე თბილისის მძლეოსნობის სასახლეში „კავკასიის თასზეც" მიიღეს მონაწილეობა. მათგან სხირტლაძე, ილარიანი, თორლვაიძე, ხარაზიშვილი, კარტავცევი და მარტინენკო პირველ ადგილებზე გავიდნენ. იმედია, ჩვენი სპორტსმენები თურქეთში ისახელებენ თავს.

„კავკასიის თასზე" ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე **მაიკო გოგოლაძემ** სიგრძეზე ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო 60 მეტრზე თარჯებით მეორე ადგილს დასჯერდა. იგი სტამბოლში არ მიემგზავრება, რადგან მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატისთვის ემზადება. ამ შეჯიბრებას კი მარტის პირველ დეკადაში პოლონეთი უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

# ბასილაშვილი წინ მიიწევს...



ნიკოლოზ ბასილაშვილი

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში დაიწყო ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 75.000 დოლარი), ასპარეზობის საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი ქართველი ცდიდა ძალებს. **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** იოლად სძლია ბოლატ მამირს (ყაზახეთი) - 6:1, 6:2, ბელარუს ილია ივაშკას - 6:4, 7:6 და ძირითად ბადეში მოხვდა. საამისოდ **ალექსანდრე მეტრეველმა** სამი ბრძოლა გადაიხადა: ჯერ უზბეკი სარდორ პულატოვი ჩამოიშორა გზიდან - 6:2, 6:3, შემდეგ რუსი ანდრეი რუბლევი (6:4, 6:4) და ყაზახი საგადატ აიაპი (6:2, 6:2) დაჯაბნა, ძირითადი ბადის სტარტზე კი მე-7 ნომრად განთესილ რუს ალექსანდრ კუდრიავცევთან წააგო - 5:7 3:6. ბასილაშვილმა დაძაბულ პაექრობაში ასლან კარაცევს (რუსეთი) აჯობა - 6:3, 3:6, 7:6. მეორე წრეში მე-3 ნომერ კონსტანტინ კრავჩუკსა (რუსეთი) და ჟიულ მარის (საფრანგეთი) შორის უძლიერესთან გაარკვევს ურთიერთობას.

ნარუმატებელი გამოდგა **სოფიო შაფათავას** სტარტი მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი). წყვილებში ანასტასია ვასილიევასთან ერთად რეიტინგფავორიტად შერაცხულმა ჩვენებურმა პირველივე პაექრობა ანეტ კონტაveიტისა (ესტონეთი) და პოლინა ლეიკინას (რუსეთი) დუეტთან 2:6, 6:3, 9:11 დათმო. ერთეულებში შაფათავა მე-5 ნომრადაა განთესილი და სტარტზე მელის სეზერს (თურქეთი) შეხვდება.

ანტალიის 10.000-იანი ტურნირის ერთეულთა თანრიგში გუშინ პირველი წრის ორთაბრძოლები გაიმართა. მე-2 ნომერმა **ეკატერინე გორგოძემ** იოლად ჩამოიშორა გზიდან ესენ კოკჩე (თურქეთი) - 6:1, 6:0 და მეორე წრეში სიაორონ დონს (ჩინეთი) შეხვდება. წარმატებით ითამაშა **სოფიო ქვაცაბაიამაც** - ქართველმა ჩოგბურთელმა მე-4 ნომრად განთესილ ბულგარელს - იულია სტამატოვას დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:4, 6:4, საგულისხმოა, რომ ქვაცაბაიას ბულგარელი აქამდე ორჯერ ჰყავდა დამარცხებული - 2011 წელს მალიორკასა (25.000-იანი ტურნირი) და 2014 წელს ანტალიაში (10.000-იანი ტურნირი). მეორე წრეში სოფიოც ჩინელს - ჟაოშუან იანს გაუწევს მეტოქეობას.

ქვაცაბაიამ გუშინ წყვილებშიც მოსინჯა ძალები პია კონიგთან (ავსტრია) ერთად. ისინი მესამე ნომრად არიან განთესილი და საკმაოდ იოლად დაამარცხეს მალიკა როსეს და სიანა სიმონსის (ორივე-აშშ) ტანდემი - 6:1, 6:2.

**ვაჟა დანელია**

● სამბო

# 20 ჩემპიონი მადრიდისთვის

აპრილის შუა რიცხვებში ევროპის პირველობა გაიმართება მადრიდში, ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა შორის.

ქართველი სამბისტები, როგორც ბოლო დროს ხშირად ხდება ხოლმე, ესპანეთშიც ერთ-ერთი ფავორიტები იქნებიან.

საქართველოს პირველობაზე სულ 340 სამბისტი შეიკრიბა. კონკურენცია მართლაც დიდი იყო, რადგან სავარაუდოდ ესპანეთში ევროპის პირველობაზე ძირითადად საქართველოს ჩემპიონები იასპარეზებენ.



I რიგი მარცხნიდან: დავით წურწუმია, ირაკლი გოგია, აკაკი გიგიტაძე, დავით გეჯაძე, ირაკლი კუპატაძე.
II რიგი. დგანან: თორნიკე მახათაძე, კობა მჭედლიშვილი, ჯაბა მუმლაძე, გიორგი ქურდიანი და ბაჩუკი ჭიკაიძე

### ვაჟები

### ჭაბუკები (1996-1997 წ.წ დაბადებულები)

**48 კგ.** 1. აკაკი გიგიტაძე, 2. ავთანდილ კუტალაძე, 3. ზაზა ძნელაძე (სამივე-იმერეთი), 3. თორნიკე მეტივიშვილი (შიდა ქართლი).

**52 კგ.** 1. ირაკლი კუპატაძე (კახეთი), 2. ლევან შონია (იმერეთი), 3. აკაკი ჯანეზაშვილი, 3. ვახტანგ მეტივიშვილი (ორივე-თბილისი).

**56 კგ.** 1. დავით გეჯაძე (შიდა ქართლი), 2. გიორგი ხუციშვილი (კახეთი), 3. ილია შუბითიძე (თბილისი), 3. ანზორ მაჩიტაძე (სამეგრელო-ზემო სვანეთი).

**60 კგ.** 1. დავით წურწუმია (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 2. დიმიტრი ზედაშიძე (ქვემო ქართლი), 3. ნიკა კაკაშვილი (შიდა ქართლი), 3. ჯაბა ქურდიანი (იმერეთი).

**65 კგ.** 1. ბაჩუკი ჭიკაიძე (კახეთი), 2. გიორგი დიდებაშვილი (თბილისი), 3. გიორგი ხმელიძე (იმერეთი), 3. ნიკა ხუციშვილი (თბილისი).

**70 კგ.** 1. თორნიკე მახათაძე, 2. ოთარ კაციაშვილი (ორივე-კახეთი), 3. ნიკა მამულაშვილი (შიდა ქართლი), 3. ზურაბ ლომიძე (სამეგრელო ზემო სვანეთი).

**75 კგ.** 1. კობა მჭედლიშვილი, 2. ვანო ჩურჩხელაშვილი (ორივე-კახეთი), 3. გიორგი კაციაშვილი (შიდა ქართლი), 3. ომარ ვაშაკიძე (იმერეთი).

**81 კგ.** 1. გიორგი ქურდიანი, 2. ელდარ მესხიშვილი (ორივე-თბილისი), 3. გიორგი გულიაშვილი (კახეთი), 3. ბესო მუმლაძე (თბილისი).

**87 კგ.** 1. ირაკლი გოგია (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 2. დავით ოზბეთელაშვილი (თბილისი), 3. ბექა ჩარქსელიანი (იმერეთი), 3. მიხეილ ახალაური (კახეთი).

**+87 კგ.** 1. ჯაბა მუმლაძე (კახეთი), 2. თამაზ ჯახაშვილი (მცხეთა მთიანეთი), 3. ბაქარ კუხიანიძე (იმერეთი), 3. გაგა სამინავა (სამეგრელო-ზემო სვანეთი).

### ახალგაზრდები 1994-1995 წ.წ. დაბადებულები

**48 კგ.** 1. გიორგი მელქუაშვილი (შიდა ქართლი), 2. გიორგი ბაჯაძე, 3. აკაკი გიგიტაძე (ორივე-იმერეთი).

**52 კგ.** 1 ლერი ბედინაძე (აჭარა), 2. იოსებ მელაძე (თბილისი), 3. ნები ბოლქვაძე (აჭარა), 3. ზურაბ როხვაძე (იმერეთი).

**57 კგ.** 1. ლერი ჭელიძე (იმერეთი), 2. სოლომონ თედიაშვილი (კახეთი), 3. იაკობ დიხამინჯია (იმერეთი), 3. შალვა ხადილაშვილი (კახეთი).

**62 კგ.** 1. ლაშა პარასკებაშვილი (თბილისი), 2. გელა ლიპარტელიანი, 3. ვარლამ შალიკაშვილი (ორივე-იმერეთი), 3. დავით როსტომაშვილი (კახეთი).

**68 კგ.** 1. თორნიკე ჭოველიძე (აჭარა), 2. ლევან კირკიტაშვილი (კახეთი), 3. ბექა ვიბლიანი (ქვემო ქართლი), 3. თორნიკე ქადაგიშვილი (მცხეთა-მთიანეთი).

**74 კგ.** 1. ომარ ნიაზაშვილი, 2. მიხეილ მეზურნიშვილი, 3. აპალონ ზურაბიანი, 3. თომა თავზარაშვილი (ოთხივე-თბილისი).

**82 კგ.** 1. ლევან გუგავა (იმერეთი), 2. ბექა დონლვანი (თბილისი), 3. გიორგი ობოლაშვილი, 3. ჯემალ შინჯიკაშვილი (ორივე - ქვემო ქართლი).

**90 კგ.** 1. დავით რამაზაშვილი, 2. ზაურ მამარდაშვილი (ორივე-კახეთი), 3. ნოდარ ბერიანი (ქვემო ქართლი), 3. გიგა კორიფაძე (იმერეთი).

**100 კგ.** 1. რეზო ნულუკიძე (აჭარა), 2. ჯაბა ჩეჩელაშვილი (იმერეთი), 3. ზაალ გაგნიძე, 3. გოგა ნიჟარაძე (ორივე-თბილისი).

**+100 კგ.** 1. გიორგი ლაზუაშვილი (იმერეთი), 2. გიორგი გელაშვილი, 3. დიმიტრი გუგულაშვილი (ორივე-შიდა ქართლი), 3. ონისე მირცხულავა (თბილისი).



I რიგი მარცხნიდან: გიორგი მელქუაშვილი, ლერი ბედინაძე, ლერი ჭელიძე, ლაშა პარასკებაშვილი, თორნიკე ჭოველიძე.
II რიგი. დგანან: გიორგი ლაზუაშვილი, რეზო ნულუკიძე, დავით რამაზაშვილი, ლევან გუგავა და ომარ ნიაზაშვილი.

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ინტერვიუ მიხეილ გაბრიჩიძესთან

# კოკოშკოვი 80 პროცენტით

## 10 საკონტროლო ნაკრებისთვის

**ლიტვა, სლოვენია, მაკედონია, კანადა... ეს იმ ნაკრებთა არასრული ჩამონათვალია, რომლებთანაც საქართველო ამ ზაფხულს ამხანაგურად ითამაშებს. კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე გუნდის მოსამზადებელ გეგმაზეც დაწვრილებით გვესაუბრა, მთავარი მწვრთნელის საკითხზეც და მკითხველისთვის საინტერესო კიდევ არაერთ თემაზე.**

### კოკოშკოვი თუ...

დავიწყეთ ნაკრების მთავარი მწვრთნელით. შეგახსენებთ, რომ სერბ სპეციალისტ იგორ კოკოშკოვს გასულ შემოდგომით ნაკრებთან ორწლიანი ხელშეკრულება ამოეწურა და სადღეისოდ გუნდი უმწვრთნელოდაა.

- ამჟამად მთავარი მწვრთნელობის ორი კანდიდატია, რომელთაგან ერთის ვინაობას ვერ გავამხელ. ერთი კი იგორ კოკოშკოვია, სპეციალისტი, რომელიც ჩვენს ნაკრებს 2008 წლიდან ხელმძღვანელობს.

**- იოლი მისახვედრია, რომ ჯერ სწორედ იგორ კოკოშკოვთან მიმდინარეობს მოლაპარაკება. თანახმაა, გუნდში დარჩეს?**

- იგორ კოკოშკოვმა ნაკრებში მუშაობის გაგრძელების სურვილი წინასწარ კი გამოთქვა, მაგრამ ჯერ კონტრაქტის



საკითხი არ გადაწყვეტილა. შეიძლება ითქვას, რომ 80 პროცენტით იგი ჩვენთან თანამშრომლობას განაგრძობს. თუმცა არის გარკვეული საკითხები, რაც „კლივლენდის" ხელმძღვანელობასთან უნდა შეთანხმდეს. იგორ კოკოშკოვი ხომ NBA-ს ამ გუნდში მუშაობს.

**- ნაკრების თავკაცის ძიების პროცესში კიდევ გამოჩნდებოდა არაერთი კანდიდატი...**

- უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული გუნდისთვის შესაფერისი კანდიდატურის პოვნა იოლი საქმე არ არის. ნაკრებში და კლუბში მუშაობა ერთმანეთისგან მეტად განსხვავდება. კლუბში ბევრ რამეს ფული არეგულირებს, ნაკრებში კი მწვრთნელი კარგი ფსიქოლოგი უნდა იყოს, ურთიერთობები უმტკივნეულოდ მოაწესრიგოს. ეროვნულ გუნდში ხომ მოტივაციის ამაღლება უმთავრესად პატრიოტიზმზეა დამოკიდებული.

**- გვაქვს გარანტია, რომ მეორე კანდიდატი, სერბი მწვრთნელი თუნდაც ერთი თვის შემდეგ იგორ კოკოშკოვის უარის შემთხვევაში აზრს არ შეიცვლის და ჩვენთან თანამშრომლობას დათანხმდება?**

- იგი მზადაა ჩვენს ნაკრებში იმუშაოს. სხვათა შორის, კოკოშკოვი მას კარგად იცნობს და ურთიერთობაც აქვთ. სერბეთში ხომ მწვრთნელთა უმეტესობა ერთმანეთს იცნობს. ეს ჩვენთვის სასარგებლოცაა: ჩეხეთსა და უნგრეთში არაერთი სერბი სპეციალისტი მუშაობს, რომლებიც ჩვენს მწვრთნელს ნაკრების მეტოქეთა შესწავლაში დაეხმარებიან.

### სლოვენიაში

თითქმის საბოლოოდაა გარკვეული ოფიციალური მატჩების წინ საქართველოს ნაკრების მომზადების გეგმა და საკონტროლო შეხვედრებში მეტოქეთა ვინაობა.

- ეროვნული გუნდი ფიზმომზადებას 2 ივნისიდან თბილისში დაიწყებს. 12-14 დღე საქართველოში დარჩება, რის შემდეგაც სლოვენიას მიაშურებს და დაბინავდება დაბა პოდჩეტრტეკში. სწორედ იქ, სადაც 2013 წელს ვარჯიშობდა. სლოვენიიდან ნაკრები მაკედონიაში გადავა, სადაც 16-18 ივლისს ოთხთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენი მეტოქეები იქნებიან მასპინძელი მაკედონია, ავსტრია და რუმინეთი.

**- სლოვენიაში ადგილობრივ ნაკრებთან თუ იგეგმება თამაში?**

- მაკედონიიდან გუნდი ისევ სლოვენიაში დაბრუნდება და სამგუნდიან ამხანაგურ შეჯიბრებაში ითამაშებს, სადაც ჩვენ და მასპინძლის გარდა საკმაოდ ძლიერი კანადის ნაკრები გამოვა. ამას მოჰყვება ორი ამხანაგური დაპირისპირება ლიტვაში, ადგილობრივ ნაკრებთან. შეხვედრები 28 და 30 ივლისს გაიმართება. ლიტვიდან გუნდი თბილისში დაბრუნდება და შინ განაგრძობს წვრთნას. რადგან პირველი შეხვედრა თბილისში 10 აგვისტოს გველის (ჩეხეთის წინააღმდეგ), გუნდისთვის კარგი იქნება სპორტის სასახლეში თამაში. ამ მიმართულებით მუშაობა თითქმის ბოლომდეა მიყვანილი - გადაწყვეტილია, რომ 2-4 აგვისტოს თბილისი ტრადიციულ ოთხთა ტურნირს უმასპინძლებს.

**- მეტოქეთა ვინაობა თუ არის ცნობილი?**

- ერთი გუნდი გარკვეულია - ბელარუსი. დიდი ალბათობით მეორე მეტოქე დიდი ბრიტანეთის ნაკრები იქნება. თბილისის ტურნირში მონაწილე მეოთხე გუნდის ვინაობა ჯერ არ გარკვეულა. ოთხი ქვეყნიდან ველით პასუხს. ასევე არ არის გამორიცხული, თბილისში ტურნირზე მეოთხე გუნდად ამერიკის კოლეჯების უმაღლესი ლიგის წარმომადგენელი ჩამოვიდეს.

**- ჩეხეთთან შეხვედრის შემდეგ სამი გასვლითი თამაში გვიწევს. ალბათ, გაუმართლებელი იქნება შუალედში საქართველოში დაბრუნება...**

- გადაწყვეტილია, რომ უნგრეთში, პორტუგალიასა და ჩეხეთში გასამართი შეხვედრებისას საქართველოს ნაკრები ევროპაში დარჩება. კალათბურთელებს ზედმეტი მგზავრობით არ გადავღლით. შევარჩევთ სათანადო ბაზას, სადაც გუნდი კარგად მოემზადება. ასევე გვინდა, ყველა მოწინააღმდეგე ქვეყანაში ისეთ დროს ჩავიდეთ, რომ მოთამაშეებს მეტოქის მოედანთან შესაგუებლად მეტ-ნაკლებად საკმარისი დრო დარჩეთ.

### სუპერლიგა, სტუდენტები...

საქართველოს ნაკრებიდან სუპერლიგაზე გადავინაცვლოთ. დავიწყოთ პრობლემით...

- სოხუმი ყველა ჩვენგანის ტკივილია და ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში აუცილებლად უნდა თამაშობდეს. სადღეისოდ სოხუმელებს ფინანსური პრობლემები აქვთ, რაც ძალიან გულსატკენია. ვიცით, რომ რამდენიმე თვეა კალათბურთელებს ხელფასები არ მიუღიათ. თუ გუნდის სპონსორი აღარ განაგრძობს დაფინანსებას, ვეცდებით, ჩვენ დავეხმაროთ ახალი პარტნიორის მოძიებაში.

**- მთავრობის ბიუჯეტზე მყოფ გუნდებზე რისი თქმა შეგიძლიათ. ხომ არ იქნება მათი დაშლის საშიშროება?**

- ასეთი საფრთხე „ოლიმპს", „არმიასა" და „შსს აკადემიას" არ ემუქრებათ. გული მწყდება სტუდენტურ გუნდებზე, რომლებიც მიმდინარე სეზონის წინ დაიშალნენ. ერთი უნივერსიტეტის ხელმძღვანელს უკვე შევხვდი, თუმცა დამაიმედებელს ვერაფერს გეტყვით. კიდევ ორ სასწავლებელში შევხვდები და იმედი მაქვს, სუპერლიგაში ერთი სტუდენტური გუნდი მაინც ითამაშებს. ასევე ვაპირებთ მჭიდრო თანამშრომლობას საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან, რათა კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კალათბურთს. მომავლისთვის ვგეგმავთ მეორე ლიგის შექმნას და შესაძლებელია, ეს სტუდენტური კლუბების დახმარებით მოხდეს.

**- როგორ უყურებთ სტუ-ს საერთაშორისო სტუდენტურ ლიგაში გამოსვლას?**

- სტუ-ში ვსწავლობდი და შეიძლება ითქვას, მისი წარმომადგენელი ვარ. ამ გუნდს საერთაშორისო ლიგაშიც ვქომაგობ და მიმაჩნია, რომ მეტი გუნდი უნდა ჩაერთოს ამ შეჯიბრებაში. ოღონდ იმ პირობით, თუ სუპერლიგას ეს ხელს არ შეუშლის. სხვათა შორის, 21 თებერვალს სწორედ საერთაშორისო სტუდენტური ლიგის წარმომადგენლებთან ვგეგმავ შეხვედრას.

### ქალები

წინასაარჩევნო პროგრამაში მიხეილ გაბრიჩიძეს ერთ-ერთ მთავარ პუნქტად ქალთა კალათბურთის განვითარება ჰქონდა...

- მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები ჩემს მეგობარ ქალ კალათბურთელებთან. გვინდა ქალებში სპორტის ამ სახეობის განვითარებას მნიშვნელოვანი ბიძგი მივცეთ. ვცდილობთ გავაფართოოთ საქართველოს ჩემპიონატის მასშტაბებიც და გეოგრაფიაც. დიდი ხანია, არ არსებულა საქართველოს ქალთა ნაკრები. ამჟამად უკვე შეიქმნა უმცროსი ასაკის ნაკრები, რომელიც თბილისში დაგეგმილი ახალგაზრდული ფესტივალისთვის ემზადება.

### ბავშვები

ბავშვთა კალათბურთში სიტუაციის ერთბაშად გაუმჯობესება შეუძლებელია, თუმცა საინტერესოა, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამ მიმართულებით.

- ბავშვთა კალათბურთის დონით კმაყოფილი ნამდვილად არა ვარ. ფაქტია, რომ გაიზარდა დაინტერესება, პატარების რაოდენობა მატულობს, მაგრამ რაოდენობა ხარისხს არ ნიშნავს. სხვა უამრავ საკითხთან ერთად მნიშვნელოვანია მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება. მომავალი სეზონიდან ჩამოვიყვანთ გამოცდილ ბალკანელ სპეციალისტს, რომელიც დეტალურად შეისწავლის ჩვენს ბავშვთა კალათბურთს და დადებს დასკვნებს, რომელიც სამომავლოდ სახელმძღვანელოდ გამოგვადგება და სწორი მიმართულებით განვითარებაში დაგვეხმარება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქველმოქმედო ღონისძიება



მინისტრი ლევან ყიფიანი რეგისტრაციისას

# ვირბინოთ კახეთში მსოფლიოსთან ერთად

გუშინ სპორტის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ სპორტის მინისტრი **ლევან ყიფიანი**, მისი მოადგილეები, **აკაკი ლოდია** და **თამაზ თევზაძე**, სეულის ოლიმპიადის პრიზიორი მძლეოსნობაში **მაია აზარაშვილი**, რომელიც სპორტული დირექტორია მსოფლიოს მასშტაბის ღონისძიება Wings For Life World Run-ისა. იგი საქველმოქმედო აქციაა და დედამიწის მრავალ წერტილში ერთდროულად გაიმართება: 2014 წლის 4 მაისს საქართველოს დროით 14:00 საათზე 5 კონტინენტის 40 სხვადასხვა ქვეყანაში ასიათასობით მორბენალი ერთდროულად აიღებს სტარტს. ამ დროს კალიფორნიაში დილის 3 საათი, ტაივანში საღამოს 6 საათი, ავსტრალიასა და ტოკიოში კი დილის 4 საათი იქნება.

Wings For Life World Run-ის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ არ არის განსაზღვრული ტრასის მანძილი და დრო, არ არსებობს ფინიშის ხაზი. სპორტის ისტორიაში მსგავსი ღონისძიება ჯერ არ ჩატარებულა. ტრადიციული ფინიშის ხაზის მაგივრად იქნება სპეციალური „ფინიშ მანქანა", რომელიც სტარტიდან 30 წუთში დაიწყებს სვლას და იმოძრავებს წინასწარ დადგენილი სიჩქარით (15 კმ/სთ - 20 კმ/სთ - 25 კმ/სთ). როგორც კი ფინიშ მანქანა გადაუსწრებს მორბენალს, ის ავტომატურად ეთიშება შეჯიბრებას.

„მსოფლიო რბენაში" მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია - როგორც მოხალისე მორბენლებს, ასევე პროფესიონალ სპორტსმენებს (ასაკი 18+). საქართველოში მონაწილეების სავარაუდო რაოდენობაა - 2000-3000, მსოფლიოში კი 200 000-ზე მეტი მორბენალი.

ღონისძიებიდან შემოსული სრული თანხა გადაეცემა ფონდს, რომელიც აწარმოებს სამედიცინო და კლინიკურ კვლევებს ზურგის ტვინის დაზიანების სამკურნალოდ.

გუშინვე პროექტს შეუერთდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, რომლის ხელმძღვანელმა და მოადგილეებმა პრესკონფერენციის მსვლელობისას გაიარეს რეგისტრაცია და გლობალური სპორტული ღონისძიების ნაწილად იქცნენ.

მსოფლიო რბენის შედეგად 2 გამარჯვებული (ერთი ქალი და ერთი მამაკაცი) გამოვლინდება. ისინი საჩუქრად მიიღებენ ექსკლუზიურ ტურს მსოფლიოს გარშემო. საქართველოს ეტაპის 2 გამარჯვებულს კი შესაძლებლობა მიეცემა, მონაწილეობა მიიღოს 2015 წლის რბენაში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, რომელსაც თვითონ აირჩევს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

მემორანდუმი

# ურთიერთთანამშრომლობის სურვილით

წელიწადიც არ არის, რაც საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი **გია ბეგიაშვილი**) ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ მცირე დროის განმავლობაში ბევრი საინტერესო ტურნირის მოწყობაც შეძლო. საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დასანერგავად ფედერაციას სამომავლოდ უამრავი ღონისძიება აქვს დაგეგმილი. სწორედ მათი აქტიურად და მაღალხარისხოვნად განხორციელების მიზნით „საქართველოს ოლიმპიელთა კლუბმა" (პრეზიდენტი - სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **კახი კახიაშვილი**) ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ფედერაციის თანადგომა გადაწყვიტა. ამ დღეებში ამ ორ ორგანიზაციას შორის გაფორმდა ხუთწლიანი მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც ისინი ერთობლივად იზრუნებენ სასკოლო სპორტის გასავითარებლად, მოსახლეობის სპორტსა და ფიზიკურ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში აქტიურად ჩასართველად, ქართული სპორტისა და ფიზიკური კულტურის განვითარების, სპორტული სულის აღორძინების, ოლიმპიური იდეებისა და ფასეულობების პოპულარიზაციის ხელშესაწყობად.

მემორანდუმს ხელი კახი კახიაშვილმა და გია ბეგიაშვილმა მოაწერეს.



**ვაჟა დანელია**



ჩემი ... ბიბლიოთეკა



# რუსებთან დიდ სტუმრიანობას ველით



მარჯვენიდან: ვაჟა ხუციშვილი, თედო ზიბზიბაძე და თამაზ მჭედლიძე



მერაბ კვირიკაშვილი და გიორგი თხილაიშვილი



ლაშა ხმალაძე უკანა ხაზს გეზავს



ბურთით დავით ზირაქაშვილი

**საქართველოს ნაკრები შაბათს, ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩში, რომელიც იმავდროულად 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა, ეროვნულ სტადიონზე რუსეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „ბორჯღალოსნები" გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიოს თასის საგზურს გაინაღდებენ.**

ჩვენმა მორაგბეებმა მზადება ტრადიციულად „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" დაიწყეს და გუშინ ღია ვარჯიში გამართეს. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში არ ჩანდა გარემარბი **გიორგი შკინინი** (არმია), რომელსაც ფეხის ტრავმა აწუხებს.

„ბორჯღალოსნების" მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** გუნდი ორ ჯგუფად გაჰყო. მორკინალები ძალოსნობის დარბაზში დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში სიმძიმეების აწევაში ვარჯიშობდნენ. უკანა ხაზი კი, გუნდის ირლანდიელი მწვრთნელის, **მაიკ ბრედლის** ხელმძღვანელობით რაკიდან შეტევის ორგანიზებას და სხვადასხვა კომბინაციების დახვეწას ცდილობდა.

მერე მოედანზე მორკინალებიც გამოჩნდნენ და საქმეში **ილია ზედგინიძე** და **ილია მაისურაძე** ჩაერთნენ. ჩვენმა მორაგბეებმა მოედნის ცენტრში მოგებული დერეფნის შემდეგ მრავალფაზიანი შეტევის აკინძვაში ივარჯიშეს. ეს ყველაფერი დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. რის შემდეგაც უკანახაზელებმა ძალოსნობის დარბაზში გადაინაცვლეს. მორკინალები კი ფრანგი მწვრთნელის **დიდიე ბესის** განკარგულებაში გადავიდნენ.

ამან დამცავი ბალიშების გამოყენებით რაკიდან ბურთის ატაცებასა და მოკლე დარტყმების განხორციელებაში ავარჯიშა „ბორჯღალოსნები". ბოლოს კი შერკინებაში წვრთნის ჯერიც დადგა, რომელსაც ისევ ბესი ხელმძღვანელობდა. მორკინალები ორ ჯგუფად გაიყვნენ და თამაშის ამ კომპონენტის დახვეწას საკმაოდ დიდი დრო დაუთმეს. თუ ამ კონკრეტული ვარჯიშის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენი გუნდის ძირითადი შემადგენლობა შერკინებაში ასეთი უნდა იყოს.

**1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. კონსტანტინე მიქაუტაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.**

ძნელი სათქმელია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ჰეიგი უკანა ხაზის დაკომპლექტებისას. ძირითადში მოხვედრის შანსი აქ ყველას აქვს.

**გიორგი ჩხაიძე**, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი:

*„რუსეთის ნაკრებს, ცხადია, კარგად ვიცნობთ. ყოველ წელიწადს ვხვდებით და ვუგებთ. მიუხედავად ამისა, მატჩისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებით. რუსები ბოლომდე იბრძოლებენ და შეეცდებიან მათთვის უსიამოვნო ტრადიცია დაარღვიონ. ჩვენი მიზანია მწვრთნელის დავალება შევასრულოთ, რაც მატჩის მოგების გარანტი იქნება.*

*ტაქტიკა, რაც წინა თამაშზე გვქონდა იმისგან განსხვავებული იქნება. ლისაბონში წვიმდა და ამიტომ სხვა სათამაშო სქემა ავირჩიეთ."*

**შალვა მამუკაშვილი,** საქართველოს ნაკრების შერკინების კვანძი:

*„რა თქმა უნდა რუსებთან თამაში ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაფერს ვილონებთ, რომ ისინი კიდევ ერთხელ დავამარცხოთ. მინდა ქომაგებს ვთხოვო, რომ მეტოქის მორაგბეებს და მათ გულშემატკივრებს პატივისცემით მოექცნენ".*

საგულისხმოა, რომ ეს თემა რუსებთან მატჩის წინ განსაკუთრებით აქტუალური გახდა. საქართველოს რაგბის კავშირმა ჯერ კიდევ ნოემბრის ტესტებიდან მოყოლებული ახალი ტიპის მატჩის ბილეთების დაბეჭდვა დაიწყო, სადაც ძალიან კარგადაა ჩამოთვლილი რაგბის ქომაგის ქცევის წესები.

ალსანიშნავია, რომ საქართველოსა და რუსეთის ნაკრებების მატჩს IRB-ის პრეზიდენტი **ბერნარ ლაპასე** და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან. ამასთან ერთად, რუსეთიდან ამ ქვეყნის ვეტერან მორაგბეთა გუნდი გვეწვევა, რომლებიც ქართველ ვეტერანებს გაეჯიბრებიან.



დამცავი ბალიშების გამოყენებით რაკიდან მოკლე დარტყმებში ვარჯიში

## საქართველოს ნაკრები

**პირველი ხაზი:** მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე), ჯაბა ბრეგვაძე (ტულუზი), შალვა მამუკაშვილი (არმია), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი).

**მეორე ხაზი:** ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), გიორგი ნემსაძე (ტარბი).

**მესამე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ვიქტორ კოლელიშვილი (ლიონი), გიორგი თხილაიშვილი (არმია), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე).

**№12-13:** თედო ზიბზიბაძე (პერიგო), მერაბ შარიქაძე (ბურგ ან ბრესი), დავით კაჭარავა (ენისეი).

**№11-14:** გიორგი შკინინი (არმია), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (ბურგ ან ბრესი).

**№15:** მერაბ კვირიკაშვილი (ვიენი), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).

## რუსეთის ნაკრები

ვასილი არტემევი, იგორ გალინოვსკი, ვიქტორ გრესევი, ალექსეი მაკოვეცკი, ანდრეი ოტროკოვი, ვლადიმირ რუდენკო, ანტონ რიაბოვი, ალექსანდრ ხუდიაკოვი (ყველა-კრასნი იარი), პაველ ბუტენკო, დიმიტრი გერასიმოვი, ინოკენტი ზიკოვი, სტანისლავ სელსკი, ანდრეი ტემნოვი (ყველა-ენისეი), ალექსანდრ ვოიტოვი, ალექსეი ვოლკოვი, მაგომედ დაუდოვი, ვლადისლავ კორშუნოვი, ალექსანდრ იანუშკინი, სერგეი იანუშკინი (ყველა-ვვა), ანდრეი იგრეცოვი, სერგეი სუგრობოვი (ორივე-სალვა), პაველ კვერნაძე (ფილი), კირილ კულემინი, ანდრეი ოსტრიკოვი (ორივე-სეილ შარქსი), იური კუშნარიოვი (ყუბანი), სერგეი სეკისოვი (სტრელა-არგო).

## ერთა თასი

### 22 თებერვალი

საქართველო-რუსეთი
ბელგია-პორტუგალია
რუმინეთი-ესპანეთი

**ბესიკ ჯანგავაძე**

*ავტორის ფოტოები*

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სნოუბორდი | ბიატლონი | | სათხილამურო ორჭიდი | |
|---|---|---|---|---|
| **სნოუბორდ-კროსი. კაცები** | **მას-სტარტი. 15 კმ. კაცები** | | **K-125+რბოლა 10 კმ.** | |
| 1. პიერ ვოლტიე (საფ) | 1. ემილ სვენდსენი (ნორ) | 42:29.1 (0+0+0+0) | 1. იორგენ გრააბაკი (ნორ) | 23:27.5 |
| 2. ნიკოლაი ოლიუნინი (რუს) | 2. მარტინ ფურკადი (საფ) | +0.0 (1+0+0+0) | 2. მაგნუს მოანი (ნორ) | +0.6 |
| 3. აქსელ დაიბოლდი (აშშ) | 3. ონდრეჟი მორავეცი (ჩეხ) | +13.8 (0+0+0+0) | 33. ფაბიან რისლი (გერ) | +1.6 |

## ფრისტაილი

დევიდ უაიზი



# შეცდომების ფინალი

მამაკაცებს შორის ჰაფპაიპის ფინალი საკმაოდ დრამატული გამოვიდა. ვერც ერთმა ფავორიტმა ვერ შეძლო ორივე ცდაზე მაღალი დონის ჩვენება. სრული იმედგაცრუება ელოდა ფინალში კვალიფიკაციის გამარჯვებულს: **ჯასტინ დორეიმ** ორივე ცდა ჩააგდო და ბოლო ადგილი დაიკავა.

ოლიმპიური ჩემპიონი გახდა კვალიფიკაციის მეორე ნომერი **დევიდ უაიზი**. ამერიკელმა პირველივე ცდაზე 92 ქულა დააგროვა და ეს შედეგი ვერავინ გააუმჯობესა. ყველაზე ახლოს მასთან კანადელი **მაიკლ რიდლი** მივიდა, რომელსაც მეორე ცდაზე 90-ქულიანი პროგრამა ჰქონდა, მაგრამ უაიზის გასწრება ვერ შეძლო.

მესამე ადგილი დაიკავა ფრანგმა **კევინ როლანმა**, ვისაც ასევე კარგი მეორე ცდა გამოუვიდა. ამასობაში, ახალი ზელანდიის წარმომადგენლები, მათ შორის ძმები **უელსები**, უმედლოდ დარჩნენ.

| სკი-ჰაფპაიპი. კაცები | |
|---|---|
| 1. დევიდ უაიზი (აშშ) | 92.00 |
| 2. მაიკ რიდლი (კან) | 90.60 |
| 3. კევინ როლანდი (საფ) | 88.60 |

## ჰოკეი

**კაცები**

**1/8 ფინალი**

**სლოვენია-ავსტრია 4:0**

2:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 კოპიტარი-1 (ტიჩარი-1, ეგლიჩი-1), 2:0 ურბასი-1 (კოვაჩევიჩი-1), 3:0 კოვაჩევიჩი-1 (დ. როდმანი-1, მურშაკი-1), 4:0 მურშაკი-1 (დ. როდმანი-2).

**რუსეთი-ნორვეგია 4:0**

0:0, 2:0, 2:0

**გოლები:** 1:0 რადულოვი-1 (დაციუკი-1), 2:0 კოვალჩუკი-1 (რადულოვი-1, დაციუკი-2), 3:0 რადულოვი-2 (დაციუკი-3), 4:0 ტერეშჩენკო-1 (ტიხონოვი-1, ტარასენკო-1).

**შვეიცარია-ლატვია 1:3**

0:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ბარტულისი-1 (დაუგავინში-1, გირგენსონსი-1), 0:2 დარძინში-1 (რედლიჰსი-1), 1:2 პლიუსი-1 (სური-1), 1:3 დარძინში-2 (პავლოვსი-1, მასალსკისი-1).

**ჩეხეთი-სლოვაკეთი 5:3**

3:0, 1:1, 1:2

**გოლები:** 1:0 ჰემსკი-1 (ტ. კაბერლე-1, ვორაჩეკი-1), 2:0 ჩერვენკა-1 (იაგრი-1, პლეკანეცი-1), 3:0 კრეიჩი-1 (ტ. კაბერლე-2), 4:0 ჩერვენკა-2, 4:1 მარიან ჰოსა-1 (სეკერა-1, ჰანზუში-1), 4:2 მარიან ჰოსა-2 (ტატარი-1, ჰანზუში-2), 4:3 სუროვი-1 (სეკერა-2, ბარტოვიჩი-1), 5:3 პლეკანეცი-1 (კრეიჩი-1, ჟიდლიცკი-1).

**1/4 ფინალი**

**19 თებერვალი**

ფინეთი-რუსეთი
კანადა-ლატვია
აშშ-ჩეხეთი
შვედეთი-სლოვენია

**ქალები**

**მე-7 ადგილი**

**გერმანია-იაპონია 3:2**

1:1, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 გეცი-1 (ბუში-1, იანცენი-1), 1:1 კუბო-1 (ოსავა-1), 2:1 ცორნი-1 (ბუში-2, გეცი-2), 3:1 ზაილერი-1 (შუსტერი-1, კრაცერი-1), 3:2 ოინეიამა-1 (ოსავა-2, სუძუკი-1).

**მე-5 ადგილი**

**ფინეთი-რუსეთი 4:0**

2:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ვალიმიაკი-1 (რანტამიაკი-2, ჰოვი-1), 2:0 ვალილა-1 (ტაპანი-2, ჰიირიკოსკი-1), 3:0 კარვინენი-2 (ვალილა-3, ტარკი-1), 4:0 კარვინენი-3 (ვალილა-4, ტუომინენი-1).

| დღევანდელი პროგრამა | |
|---|---|
| **19 თებერვალი, ოთხშაბათი** | |
| 11:00 | სამთო თხილამურები. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა |
| 12:00 | ჰოკეი. კაცები. 1/4 ფინალი. შვედეთი-სლოვენია |
| 13:00 | სნოუბორდი. ქალები. პარალელური გიგანტური სლალომი. 1/8 ფინალი |
| 13:00 | სნოუბორდი. კაცები. პარალელური გიგანტური სლალომი. 1/8 ფინალი |
| 13:15 | თხილამურებით რბოლა. ქალები. გუნდური სპრინტი. 1/2 ფინალი |
| 13:45 | სნოუბორდი. ქალები. პარალელური გიგანტური სლალომი. 1/4 ფინალი |
| 13:45 | სნოუბორდი. კაცები. პარალელური გიგანტური სლალომი. 1/4 ფინალი |
| 14:00 | ქიორლინგი. ქალები. 1/2 ფინალი. კანადა-ბრიტანეთი |
| 14:00 | ქიორლინგი. ქალები. 1/2 ფინალი. შვედეთი-შვეიცარია |
| 14:05 | თხილამურებით რბოლა. კაცები. გუნდური სპრინტი. 1/2 ფინალი |
| 14:15 | სნოუბორდი. ქალები. პარალელური გიგანტური სლალომი. 1/2 ფინალი |
| 14:15 | სნოუბორდი. კაცები. პარალელური გიგანტური სლალომი. 1/2 ფინალი |
| **14:30** | **სამთო თხილამურები. კაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა** |
| 14:30 | სნოუბორდი. ქალები. პარალელური გიგანტური სლალომი. მე-3 ადგილისთვის |
| 14:30 | სნოუბორდი. კაცები. პარალელური გიგანტური სლალომი. მე-3 ადგილისთვის |
| **14:40** | **სნოუბორდი. ქალები. პარალელური გიგანტური სლალომი. ფინალი** |
| **14:40** | **სნოუბორდი. კაცები. პარალელური გიგანტური სლალომი. ფინალი** |
| **15:45** | **თხილამურებით რბოლა. ქალები. გუნდური სპრინტი. ფინალი** |
| **16:15** | **თხილამურებით რბოლა. კაცები. გუნდური სპრინტი. ფინალი** |
| 16:30 | ჰოკეი. კაცები. 1/4 ფინალი. ფინეთი-რუსეთი |
| **17:30** | **ციგურებით სირბილი. ქალები. 5000 მ.** |
| **18:30** | **ბიატლონი. შერეული ესტაფეტა. 2X6+2X7,5 კმ.** |
| 19:00 | ქიორლინგი. კაცები. 1/2 ფინალი. შვედეთი-ბრიტანეთი |
| 19:00 | ქიორლინგი. კაცები. 1/2 ფინალი. კანადა-ჩინეთი |
| 19:00 | ფიგურული სრიალი. ქალები. მოკლე პროგრამა |
| 20:15 | ბობსლეი. ქალები. ორადგილიანი. III ცდა |
| **21:00** | **ბობსლეი. ქალები. ორადგილიანი. IV ცდა** |
| 21:00 | ჰოკეი. კაცები. კანადა-ლატვია |
| 21:00 | ჰოკეი. კაცები. აშშ-ჩეხეთი |

## სამთო თხილამურები

# მაზე პირველი, მეი უკანასკნელი

**ტინა მაზე**

**დაიბადა:** 2 მაისი, 1983
**სიმაღლე:** 1.72 მ.
**წონა:** 68 კგ.

| ოლიმპიური თამაშები | |
|---|---|
| ოქრო | სოჭი 2014, სწრაფდაშვება |
| ოქრო | სოჭი 2014, გიგანტური სლალომი |
| ვერცხლი | ვანკუვერი 2010, სუპერგიგანტი |
| ვერცხლი | ვანკუვერი 2010, გიგანტური სლალომი |

**სხვა ტიტულები**

მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონი, 4-გზის ვერცხლის პრიზიორი; მსოფლიოს თასის მფლობელი (2013); 23 მოგება და 66 პოდიუმი მსოფლიოს თასის ეტაპებზე.

ბოლო ორი დღის უამინდობის გამო, საფრთხე დაემუქრა ქალებს შორის გიგანტური სლალომის სტარტს. ტურნირის დირექციამ გადასწია ორივე ცდის დრო, მოგვიანებით კი გამოაცხადა, რომ პირველი დაშვება, ალბათ, შედგებოდა, მეორე ცდას კი მეორე დღისთვის გადაიტანდნენ.



ტინა მაზე

მეორე დაშვებასთან დაკავშირებით მართლაც იყო პრობლემები, მაგრამ ამან სტარტის მხოლოდ 15 წუთით გადაწევა გამოიწვია. პირობები მართლაც ძალიან ცუდი იყო. აქ ლაპარაკი არ არის მხოლოდ ნისლზე, არამედ წვიმაში გადასულ თოვლზე, რაც ძალიან უშლიდა ხელს სპორტსმენებს. ამის გამო ვერ დაასრულეს პირველი ცდა გერმანელმა **მარია ჰიოფლ-რიშმა** და ამერიკელმა **ჯულია მანკუზომ**.

საბოლოოდ, ყველაფერი იმ ადამიანის სასარგებლოდ გადაწყდა, რომელიც ერთხელ უკვე იდგა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე. სლოვენიელმა **ტინა მაზემ** სწრაფდაშვების ოქრო გაიყო შვეიცარიელ **დომინიკ გიზინთან**, მაგრამ გუშინ მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი არავისთან არაფრის გაყოფას არ აპირებდა.

პირველ ცდაზე მაზე უბრალოდ ფენომენალური იყო და კონკურენტებს თითქმის ერთი წამი მოუგო. მეორე დაშვებისას სლოვენიელი შეტევას მოერიდა და უფრო მოპოვებულ უპირატესობას იცავდა, რაც მოახერხა კიდეც.

მაზესთან ერთად პოდიუმზე ავიდნენ ავსტრიელი **ანა ფენინგერი** და ვანკუვერის ოლიმპიური ჩემპიონი, გერმანელი **ვიქტორია რებენსბურგი**. ისინი პირველი ცდის შემდეგ მეოთხე და მეექვსე პოზიციაზე იყვნენ. ფენინგერს უკვე აქვს ერთი ოქრო სოჭში (სუპერგიგანტი მოიგო), რებენსბურგი კი, რომელმაც წლევანდელი სეზონის დიდი ნაწილი გაუგებარი ვირუსის გამო გამოტოვა, ბრინჯაოთი კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო.

გუშინ, მხოლოდ ფავორიტების გამოსვლა არ იწვევდა ინტერესს. ოლიმპიადაზე დებიუტი ჰქონდა ცნობილ მევიოლინეს **ვანესა მეის**. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტაილანდის სახელით მოასპარეზე მუსიკოსმა ორივე ცდა დაასრულა და მაზესთან ჯამში 50.10 წამი წააგო. საბოლოო ოქმში მეიმ უკანასკნელი 74-ე ადგილი დაიკავა.

## სათხილამურო ორჭიდი

# როცა ფავორიტი გაცივებულია

**იორგენ გრააბაკი**

**დაიბადა:** 26 აპრილი, 1991
**სიმაღლე:** 1.85 მ
**წონა:** 72 კგ

| ოლიმპიური თამაშები | |
|---|---|
| ოქრო | სოჭი 2014, K-125 + 10 კმ. |

**სხვა ტიტულები**

მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (2013).

სათხილამურო ორჭიდში მედლების მეორე კომპლექტის გათამაშება გერმანელი ფავორიტის **ერიკ ფრენცელის** ტრიუმფით დაიწყო, რომელმაც დამაჯერებლად მოიგო ტრამპლინიდან ხტომა და 10-კილომეტრიან რბოლაში პირველმა აიღო სტარტი. მაგრამ წინასწარ სოჭის ოლიმპიადის მეორე ოქროს გერმანელს არავინ ანიჭებდა, რადგან წინადღეს, ფრენცელმა კინაღამ უარი თქვა გუშინდელ სტარტზე გაცივების გამო.

რბოლამ გამოაჩინა, რომ თანამედროვე ორჭიდის მთავარი ვარსკვლავი მართლაც რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მან ლიდერობა 2.5 კილომეტრის ნიშნულზე დაკარგა, რადგან დაახლოებით 10-კაციანმა ჯგუფმა გაუსწრო. აქ იყვნენ ძლიერი მოთხილამურეები. ნორვეგიული დუეტი **იორგენ გრააბაკისა** და **მაგნუს მოანის** შემადგენლობით და სამი გერმანელი - **ფაბიან რისლე, ბიორნ კირჰაიზენი** და **იოჰანეს რიძეკი**. ყველა მათგანი ტრამპლინის შემდეგ 40 წამზე მეტს აგებდნენ ფრენცელთან.

ცხადი იყო, რომ მედლებს ამ ჯგუფის წევრები გაითამაშებდნენ. ფინიშამდე დაახლოებით კილომეტრ-ნახევრით ადრე, გაქცევა სცადა გამოცდილმა კირჰაიზენმა. მან ისეთი ტემპი აკრიფა, რომ თავიდან მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ შეძლო. მიუხედავად ამისა, რისლემ, მოანმა და რიძეკმა ამოისუნთქეს და მიუახლოვდნენ დაწინაურებულს, ბოლოს კი ლიდერთა ჯგუფს სათავეში გრააბაკი ჩაუდგა.

ბოლოსწინა მოსახვევში სამი გერმანელი ისე გაერთო ერთმანეთში ბრძოლით, რომ ცუდი ვირაჟი გამოუვიდათ და წინ მოანი გაეპარათ, შემდეგ კი საერთოდ ორნი დარჩნენ, რადგან რიძეკმა წონასწორობა ვერ შეინარჩუნა და თოვლში ჩავარდა. საბოლოოდ, მოანმა და გრააბაკმა ბუნდესგუნდისგან ფორა მიიღეს და უკან ჩამოიტოვეს კონკურენტები. სკანდინავიური დუელი გრააბაკის გამარჯვებით დასრულდა, გერმანიის ნაკრები კი, რომელსაც ლიდერთა ჯგუფში რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, მხოლოდ ფაბიან რისლეს მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.



იორგენ გრააბაკის ფინიში

## ბიათლონი



ემილ ჰეგლე სვენდსენი

# ფურკადი დამარცხებულია

**ემილ ჰეგლე სვენდსენი**

**დაიბადა:** 12 ივლისი, 1985
**სიმაღლე:** 1.85 მ
**წონა:** 77 კგ

| ოლიმპიური თამაშები | |
|---|---|
| ოქრო | ვანკუვერი 2010, 20 კმ. ინდივიდუალური |
| ოქრო | ვანკუვერი 2010, 4x7.5 კმ. |
| ოქრო | სოჭი 2014, მას-სტარტი |
| ვერცხლი | ვანკუვერი 2010, 10 კმ. სპრინტი |

**სხვა ტიტულები**

მსოფლიოს 11-გზის ჩემპიონი, 4-გზის ვერცხლის პრიზიორი, 2-გზის ბრინჯაოს პრიზიორი; 35 გამარჯვება და 71 პოდიუმი მსოფლიოს თასის ეტაპებზე; მსოფლიოს თასის მფლობელი (2010).

მამაკაცთა მას-სტარტის მიმართ ყველაზე დიდი მოლოდინი იყო. ეს შეჯიბრება უამინდობის გამო ხუთჯერ (!) გადაიდო. გუშინაც კი, როცა ნისლი გაიფანტა, მოულოდნელად გათოვდა და რბოლის სტარტის 15 წუთით გადაწევა გახდა საჭირო.

ფავორიტად ისევ **მარტინ ფურკადი** მიიჩნეოდა, მაგრამ გუშინ ბევრი აღმოჩნდა ისეთი, ვინც მას ბრძოლა გამოუცხადა. მაგალითად, აქტიურობდნენ რუსები, მაგრამ მასპინძლები სროლამ დაალალატა. ამ მხრივ, განსაკუთრებით სახასიათო იყო მესამე სასროლეთი, სადაც ოთხივე რუსმა ბოლო ტყვია ააცილა და მედლების შანსი საბოლოოდ დაკარგა.

მეორე სასროლეთის შემდეგ, ლიდერი **ემილ ჰეგლე სვენდსენი** გახდა. ნორვეგიელს აშკარად სერიოზული განწყობა ჰქონდა (მას სოჭში არც ერთი მედალი არ ჰქონდა მოგებული) და მისი შეჩერება მხოლოდ ფურკადს შეეძლო. ასევე ახლოს იყვნენ მასთან ჩეხი **მორავეცი** და ლეგენდარული **ოლე-ეინარ ბიორნდალენი**, რომელმაც პირველ სასროლეთზე ორი ტყვია ააცილა, მაგრამ მაინც დაეწია თანამემამულესა და მის ორ მდევარს. ეს კვარტეტი ერთად მივიდა ბოლო სასროლეთზე. აქ ჩავარდა ბიორნდალენი, რომელმაც ოთხი სროლა გააფუჭა, ფურკადმა, სვენდსენმა და მორავეცმა უშეცდომოდ ისროლეს.

ტრიომ კარგა ხანი ერთად იარა, რის შემდეგაც, ნორვეგიელმა და ფრანგმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩამოიცილეს ჩეხი. სვენდსენმა ბოლო კილომეტრები ფურკადის უკან იარა და ფინიშამდე 150 მეტრით ადრე დაიწყო თავისი ცნობილი საფინიშო სპურტი. უკვე თითქმის გამარჯვებულმა სვენდსენმა ხელები აღმართა და... კინაღამ წააგო. ფურკადმა ბოლომდე იბრძოლა, ფეხი წინ გასწია და გამარჯვებულის გამოსავლენად ფოტოფინიში გახდა საჭირო. სვენდსენმა ფეხსაცმლის მეოთხედი მოუგო სოჭის ოლიმპიადის ორგზის გამარჯვებულს.

ასე რომ, ნორვეგის მამაკაცთა ნაკრებმა მეორე ოქრო აიღო და საშუალება არ მისცა ფურკადს, სამგზის ჩემპიონი გამხდარიყო. მესამე ადგილზე გავიდა მორავეცი, რომლისთვისაც ეს სოჭში მეორე ბრინჯაოა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სამთო თხილამურები | |
|---|---|
| გიგანტური სლალომი. ქალები | |
| 1. ტინა მაზე (სლოვენ) | 2:36.87 |
| 2. ანა ფენინგერი (ავსტრია) | +0.07 |
| 3. ვიქტორია რებენსბურგი (გერ) | +0.27 |

| შორტ-ტრეკი | |
|---|---|
| ესტაფეტა 3000 მ. ქალები | |
| 1. კორეა | 4:09.498 |
| 2. კანადა | 4:10.641 |
| 3. იტალია | 4:14.014 |

| ციგურებით სირბილი | |
|---|---|
| 10000 მ. კაცები | |
| 1. იორიტ ბერგსმა (ჰოლ) | 12:44.45 (ო.რ.) |
| 2. სვენ კრამერი (ჰოლ) | +4.58 |
| 3. ბობ დე იონგი (ჰოლ) | +22.74 |

## შორტ-ტრეკი

# ევროპელების მოულოდნელი მედლები

შორტ-ტრეკის ტურნირის ქალთა ნაწილში აზიელი მორბენლების დომინირება შეიმჩნევა. ქალების ესტაფეტის ფინალში მედლების პრეტენდენტთა ჯგუფი დისტანციის შუაში ჩამოყალიბდა, როცა იტალიელებმა დაკარგეს კონტაქტი ლიდერებთან, ხოლო სკუადრა აძურას ერთ-ერთმა წარმომადგენელმა საერთოდ წონასწორობა ვერ შეინარჩუნა და ყინულზე დაეცა. ფინიშამდე სამიოთხი წრით ადრე, ჩინეთმა და სამხრეთ კორეამ ტემპი გაზარდეს, რითაც ამ დუეტმა კანადის ნაკრებიც ჩამოიცილა.

ოქროსთვის ბრძოლა ძალიან დაძაბული და უკომპრომისო იყო: რაღაც მომენტში, ერთ-ერთმა ჩინელმა ესტაფეტა გადასცა თანაგუნდელს, მაგრამ თან ხელი შეუშალა რბოლის ერთ-ერთ მონაწილეს, რის გამოც მსაჯებმა მთლიანად ჩინეთის ნაკრებს დისკვალიფიკაცია მისცეს. ამის წყალობით, კანადამ ვერცხლის მედლამდე მიაღწია, იტალიამ კი მოულოდნელად ბრინჯაო მიიღო.

ჩინელთა დისკვალიფიკაციით კი ყველაზე მეტად კორეამ იხეირა, რომელსაც პრაქტიკულად აღარ ჰყავდა კონკურენტი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში და დამსახურებულად გახდა სოჭის ტრიუმფატორი.

## სნოუბორდი

# კინაღამ სენსაცია


პიერ ვოლტიე

**პიერ ვოლტიე**
დაიბადა: 26 ივნისი, 1987
სიმაღლე: 1.86 მ.
წონა: 77 კგ.

| ოლიმპიური თამაშები | |
|---|---|
| ოქრო | სოჭი 2014, სნოუბორდ კროსი |

მამაკაცთა სნოუბორდ კროსში კინაღამ დიდი სენსაცია მოხდა. 22 წლის რუსს, **ნიკოლაი ოლიუნინს** შესანიშნავი შანსი ჰქონდა იმისთვის, რომ მეექვსე ოქრო ჩაედო რუსეთის ნაკრების ყულაბაში, მაგრამ გამოუცდელობამ შეუშალა ხელი.

მასპინძელი სნოუბორდისტი საკვალიფიკაციო ეტაპების დროს ერთი თავით მაღლა იდგა ყველა კონკურენტზე, მაგრამ ფინალში სერიოზულ ბარიერს ნააწყდა ფრანგი **პიერ ვოლტიეს** სახით. მთელი დისტანციის განმავლობაში ოლიუნინი ოდნავ ჩამორჩებოდა ფრანგს, რომელიც უკეთეს ტრაექტორიას ირჩევდა და არაერთხელ ჩაუკეტა დერეფანი რუს სპორტსმენს.

საბოლოოდ, ვოლტიემ ოქროს მედალი მოიპოვა, რუსი კი ვერცხლით დაკმაყოფილდა, რაც უკვე დიდი სენსაცია იყო. სამეულში მოხვდა ამერიკელი **ალექს დაიბოლდი**, რომელმაც ბოლო მეტრებზე გაუსწრო ტურინის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს **პოლ-ანრი დე ლე რიუს**.

## ციგურებით სირბილი


იორიტ ბერგსმა

# ჰოლანდიის მეოთხე ჰეთ-თრიკი

**იორიტ ბერგსმა**
დაიბადა: 1 თებერვალი, 1986
სიმაღლე: 1.90 მ
წონა: 73 კგ

| ოლიმპიური თამაშები | |
|---|---|
| ოქრო | სოჭი 2014, 10000 მ |
| ბრინჯაო | სოჭი 2014, 5000 მ |

**სხვა მიღწევები**
მსოფლიოს ჩემპიონი (2013), 2-გზის ვერცხლის პრიზიორი.

ოთხი წლის წინ, ვანკუვერის ოლიმპიადაზე სულელურმა შეცდომამ დააკარგვინა 10000 მეტრ დისტანციაზე **სვენ კრამერს** ოქროს მედალი. მაშინ სახელოვან ჰოლანდიელს მწვრთნელმა არასწორი მითითება მისცა და კრამერმა ბილიკი არ შეცვალა. მან საუკეთესო დრო აჩვენა, მაგრამ მსაჯებისგან დისკვალიფიკაცია მიიღო და მედლის გარეშე დარჩა.

სოჭში სვენისგან ყველა რეაბილიტაციას ელოდა და მას წინასწარ აძლევდნენ 10 კილომეტრზე გამარჯვებას. ის ბუკმეიკერების ფავორიტიც იყო. ამასთან, კიდევ ერთი ძირითადი პროგნოზი მორიგი ჰოლანდიური პოდიუმი გახლდათ.

სამი საპრიზო ადგილი მართლაც ჰოლანდიელებმა დაისაკუთრეს, მაგრამ გამარჯვებულის ვინაობა ვერავინ გამოიცნო.

ბოლოსწინა წყვილში **იორიტ ბერგსმა** გარბოდა. მან შესანიშნავად გაანაწილა ძალები მთელი 24 წრის განმავლობაში, ბოლოსკენ ტემპი გაზარდა და საბოლოოდ, ოლიმპიური რეკორდით დაასრულა გამოსვლა. მოკლედ, მან ძალიან მაღლა ასწია თამასა, თუმცა კრამერის ფავორიტობაში ეჭვი მაინც არავის შეუტანია.

სვენმა კარგ ტემპში დაიწყო და 20 წრის განმავლობაში ამართლება თავის სტატუსს. ფინიშამდე ოთხი წრით ადრე, მისი გრაფიკი ოთხი წამით ალემატებოდა ბერგსმას გრაფიკს. თუ ის ასეთ ტემპში მივიდოდა ფინიშამდე, მსოფლიოს რეკორდის მოწმენიც გავხდებოდით, მაგრამ ბოლო ოთხ წრეზე კრამერის ტემპი მკვეთრად დაეცა და როცა ის ბოლო წრეს გადიოდა, ბერგსმა უკვე მილოცვებს ილებდა. მან კარიერაში პირველი ოლიმპიური ოქრო მოიგო. ბრინჯაო ასევე ჰოლანდიელმა **ბობ დე იონგმა** მიიღო.

კრამერმა შეიძლება თავი იმით ინუგეშოს, რომ 5000 მეტრზე მოიგო ოქრო, რომელზეც ბერგსმა მესამე ადგილზე გავიდა. ჰოლანდიელთა დომინირება კი გრძელდება. ამ ქვეყანას სოჭში 20 მედალი აქვს მოგებული და აქედან 19 ციგურებით მორბენლებზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ოთხ საციგურაო დისციპლინაში პოდიუმი მთლიანად ჰოლანდიური იყო.

## ფიგურული სრიალი

# მუქარა პლიუშჩენკოს ოჯახისგან

2002 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ალექსეი იაგუდინმა** განაცხადა, რომ ნერვიულობს საკუთარი ჯანმრთელობის გამო. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ თუ მას ან მისი ოჯახის წევრებს რაიმე შეემთხვევა, ამაში დამნაშავე იქნება **ევგენი პლიუშჩენკო**, მისი მეუღლე **იანა რუდკოვსკაია** და მათი გარემოცვა.

ცოტა ხნის წინ, რუსულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის ფიგურული სრიალის ფედერაციამ შეცდომა დაუშვა, როცა პლიუშჩენკო სოჭის ოლიმპიადაზე გაუშვა. ასევე მან შეახსენა ყველას: ჯერ კიდევ ოლიმპიადამდე პლიუშჩენკომ საჯაროდ გამოაცხადა, რომ აპირებდა გუნდურ ტურნირზე გამოსვლას და გამოტოვებდა პირად პირველობას, მაგრამ, იაგუდინის თქმით, რეგლამენტი არ იძლევა ამის საშუალებას. ის ამბობს, რომ პლიუშჩენკომ და ფედერაციამ მთელი რუსეთი მოატყუეს.

*„გუშინ უკვე მივიღე სატელეფონო ზარი, მათ შორის, იანას ველაპარაკე. ყოველ შემთხვევაში, ასე გამეცნენ. იყო მუქარა ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების სიცოცხლეზე! თუ მე ან ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს რამე შეემთხვევა, დააბრალეთ იანას, ევგენის და მის გარემოცვას. მინდა იმედი მქონდეს, რომ ესენი უბრალოდ უცხო ადამიანები იყვნენ"*, - დაწერა იაგუდინმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


ალექსეი იაგუდინი

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **1/8 ფინალი. I მატჩი** | |
| ლევერკუზენი-პსჟ | 0:4 |
| მანჩესტერ სიტი-ბარსელონა | 0:2 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| უენსდი-დერბი | 0:1 |
| უიგანი-ბარნსლი | 2:0 |
| იეოვილი-უოტფორდი | 0:0 |
| **I ლიგა** | |
| ბრედფორდი-პორტ ვეილი | 1:0 |
| ძოვენთრი-კარლაილი | 1:2 |
| ლეიტონი-სტივენეიჯი | 2:0 |
| მილტონი-პრესტონი | 0:0 |
| ძროული-ტრანმერი | გადაიდო |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-ბერი | 0:0 |
| ეძსეტერი-მორეკამბი | 1:1 |
| ნიუპორტი-ოძსფორდი | 3:2 |
| როჩდეილი-ბარტონი | 1:1 |
| საუთენდი-ჰარტლპული | 1:1 |
| **JP Trophy** | |
| ჩესტერფილდი-ფლიტვუდი | 0:1 |
| **კონფერენსი** | |
| ალდერშოტი-ფორესტ გრინი | 2:2 |
| ბარნეტი-გრიმსბი | 2:1 |
| კემბრიჯი-რეძსჰემი | 0:0 |
| დარტფორდი-უოკინგი | 5:1 |
| ტამუორტი-სალისბერი | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ბრაუნშვაიგი II-ვერდერი II | 0:1 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| ინვერნესი-სტრანრარი | 2:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| მალმიო-ნორდსიელანდი | 0:0 |
| გეფლე-ჩანგჩუნი | 1:3 |
| პაშინგი-მიალგიუ | 2:0 |
| ჰაიდუკი-უდინეზე | 3:0 |
| იორგრიტე-ელფსბორგი | 0:1 |
| **უელსი** | |
| აფან ლიდო-ებერისტვიტი | 0:6 |
| ძონეჰსი-პრესტატინი | 1:1 |
| **რუმინეთი** | |
| სტიაუა-უნივერსიტატეა | 2:0 |
| **არგენტინა** | |
| ოლიმპო-არსენალი | 0:2 |
| **ს. აფრიკა** | |
| აიაძსი-ორლანდო | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| ვალენსია-უნიძსი | 73:76 |
| **ევროჩელენჯი** | |
| ურალი-მინსკი | 69:65 |
| კრ. კრილია-გაზ მეთანი | 78:60 |
| კტპ-ბაკენი | 82:79 |
| კრკა-შოლნოკი | 89:78 |
| გაზიანთეფი-ტრიუმფი | 64:59 |
| ანტვერპენი-ტარტუ | 64:59 |
| დიჟონი-ვენტსპილსი | 74:72 |
| რეჯო ემილია-შოლე | 82:65 |
| **ჰოკეი** | |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-ჰამბურგი | 4:3 |
| ვოლფსბურგი-მიუნხენი | 3:1 |
| ინგოლშტადტი-სტრაუბინგი | 5:2 |
| კიოლნი-კრეფელდი | 6:2 |
| ნიურნბერგი-იზერლონი | 2:1 |
| შვენინგენი-დიუსელდორფი | 8:4 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ჰერლევი | 0:3 |
| ჰერნინგი-სონდერიისკი | 3:0 |
| ესბერგი-ფრედრიკშავნი | 2:6 |
| რუნგსტედი-ოლბორგი | 2:6 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. დელრეი ბიჩი** | |
| ბაღდატისი-ვესელი | 3:6, 6:2, 6:1 |
| ბოგომოლოვი-სელა | 0:6, 6:2 |
| ანდერსონი-შმიჩეკი | 4:6, 6:1, 6:3 |
| კლანი-ჰიუიტი | 3:6, 1:6 |
| გაბაშვილი-ებდენი | 2:6, 6:3, 6:2 |
| ჯონსონი-კუკუშკინი | 6:4, 6:3 |
| მატოშევიჩი-გოფენი | 6:2, 6:4 |
| ლუ-ჰარისონი | 6:4, 0:6, 0:6 |
| ჰაასი-ოდესნიკი | 6:2, 6:1 |
| კარლოვიჩი-გროტი | 7:6, 6:3 |
| **ATP. მარსელი** | |
| დავიდენკო-სისლინგი | 6:4, 6:4 |
| სტახოვსკი-ევანსი | 3:6, 7:6, 6:4 |
| როჟე ვასელენი-პავიჩი | 3:6, 7:6, 7:5 |
| ოლივეტი-დოდიგი | 5:7, 2:6 |
| კამკე-ედმუნდი | 7:5, 6:1 |
| **ATP. რიო დე ჟანეირო** | |
| ალმაგრო-დოლგოპოლოვი | 6:2, 3:6, 0:6 |
| გრანოლერსი-სოუზა | 6:2, 3:6, 5:7 |
| ლ. მაიერი-რამოსი | 2:6, 0:6 |
| რობრედო-კარენო ბუსტა | 7:6, 6:3 |
| სებალიოსი-მონაკო | 3:6, 1:6 |
| გონსალესი-კუევასი | 6:2, 3:6, 5:7 |
| ფონინი-ბედენე | 7:6, 0:6, 6:1 |
| **WTA. დუბაი** | |
| ზანევსკა-იანკოვიჩი | 4:6, 3:6 |
| კორნე-ჰალეპი | 6:1, 1:1 უარი |
| ვოზნიაცკი-ლისიცკი | 2:6, 6:3, 6:3 |
| სტოსური-ბეკი | 6:1, 1:6, 4:6 |
| კანეპი-პენეტა | 5:7, 4:6 |
| კერბერი-ივანოვიჩი | 6:3, 3:6, 6:7 |
| ფლიპკენსი-კარ. პლიშკოვა | 6:1, 7:5 |
| ს. უილიამსი-მაკაროვა | 7:6, 6:0 |
| **WTA. რიო დე ჟანეირო** | |
| ბაზოში-სხეპერსი | 6:2, 3:6, 2:6 |
| პფიცენმაიერი-ზახვალოვა | 2:6, 6:4, 6:3 |
| ზაკოპალოვა-დუკე მარინო | 6:4, 6:4 |
| დომინგეს ლინო-სკიავონე | 6:4, 6:4 |
| ბეგუ-კინგი | 6:4, 6:0 |
| კადანტუ-პერეირა | 3:6, 4:6 |

## TV პროგრამა

**19 თებერვალი. ოთხშაბათი**

**I არხი**

11:00 ზამთრის ოლიმპიადა. სამთო თხილამურები. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. სოჭი. რუსეთი (LIVE).
14:40 ზამთრის ოლიმპიადა. სამთო თხილამურები. კაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. სოჭი. რუსეთი (LIVE).
16:30 ზამთრის ოლიმპიადა. ჰოკეი. კაცები. 1/4 ფინალი. ფინეთი-რუსეთი. სოჭი. რუსეთი (LIVE).
19:00 ფიგურული სრიალი. ქალები. მოკლე პროგრამა. სოჭი. რუსეთი (LIVE).
21:00 ფიგურული სრიალი. ქალები. მოკლე პროგრამა. სოჭი. რუსეთი (LIVE).
23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მილანი-ატლეტიკო. I მატჩი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ლევერკუზენი-პსჟ. I მატჩი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ბაიერნი-ფრაიბურგი.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. II ტური. ბოკა ხუნიორსი-ბელგრანო.
16:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XVIII ტური. სპორტინგი-ოლჰანენსე.
18:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ჰერტა-ვოლფსბურგი.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
22:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ტვენტე-ვიტესი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. აუგსბურგი-ნიურნბერგი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ეშტორილი-ბრაგა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
14:30 საფეხბურთო ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
17:15 რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-შოტლანდია.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
20:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია.
14:30 სპორტ-NEWS.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია.
18:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
18:30 სპორტ-NEWS.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# რა იქნება 2018-ში?



მარცხნიდან მარჯვნივ: დონალდ ფერი, რენე ფაზელი, გერი ბეტმენი

ჰოკეის ეროვნული ლიგის კომისარმა **გერი ბეტმენმა** განაცხადა, რომ აჩქარებს ლიგას 2018 წლის ოლიმპიურ თამაშებში NHL-ის მოთამაშეების გამოსვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. მას მიაჩნია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში უნდა ჩამოყალიბდნენ. ჰოკეის ეროვნული ლიგის პროფკავშირების შეფი **დონალდ ფერი** არ ეთანხმება ასეთ აჩქარებას. მსჯელობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **რენე ფაზელი**.

ფაზელსა და ბეტმენს შორის საინტერესო დიალოგი გაიმართა:

*„ოლიმპიადის მოგებას არაფერი შეედრება“*, - თქვა ფაზელმა.

*„მხოლოდ სტენლის თასზე გამარჯვება“*, - უპასუხა ბეტმენმა.

# აბაზანა ნაგვის ურნაში



ჰიზერ მოისი

ვანკუვერის თამაშების ჩემპიონმა, კანადელმა ბობსლეისტმა **ჰიზერ მოისმა** ნაგვის ურნაში მიიღო აბაზანა. სპორტსმენმა ეს გააკეთა სამთო ოლიმპიურ სოფელში, სადაც, მისი სიტყვებით, ნორმალური აბაზანა ვერ იპოვა.

მოისმა ამის შესახებ საკუთარ „ტვიტერზე“ დაწერა და შეტყობინებას ფოტოც თან დაურთო. ბობსლეისტმა დაამატა, რომ წყალში ე. წ. „ინგლისური მარილი“ (სულფატ მაგნიუმი) ჩაყარა. ასეთი აბაზანები სპორტსმენებს ვარჯიშებისა და შეჯიბრებების შემდეგ აღდგენაში ეხმარება.

35 წლის მოისმა ვანკუვერში ოქროს მედალი **კეილი ჰემფრიზთან** ერთად მოიგო. ბობსლეის გარდა, კანადელი დაკავებულია რაგბით, ფეხბურთითა და მძლეოსნობით.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი



ლამარ ოდომი

# ოფიციალურად: ოდომი კახა ლაბორალში ითამაშებს

საკალათბურთო ევროლიგის მონაწილე „კახა ლაბორალმა“ გუშინ მოულოდნელი ტრანსფერის შესახებ გამოაცხადა. ოფიციალურად არის დადასტურებული, რომ ამ გუნდის ახალწვეული გახდა ცნობილი მძიმე ფორვარდი **ლამარ ოდომი**. ამერიკელმა ბასკებთან ორთვიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა ხელშეკრულებაში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია თანამშრომლობის სეზონის ბოლომდე გახანგრძლივება. ესპანური პრესის ინფორმაციით, ოდომი თვეში 50 ათას დოლარს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ კალათბურთელის ბოლო კლუბი იყო „ლოს ანჯელეს კლიპერსი“, მაგრამ წლევანდელი სეზონის წინ, კალიფორნიელებმა არ მოისურვეს მასთან კონტრაქტის გაგრძელება, რადგან ოდომს ნარკოტიკებთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები ჰქონდა. გასულ სეზონში NBA-ის ორგზის ჩემპიონი საშუალოდ 4.0 ქულასა და 5.9 მოხსნას აგროვებდა.

ლამარ ოდომს სეზონის ბოლომდე სურს ესპანეთში დარჩენა და შემდეგ NBA-ში დაბრუნებას გეგმავს.

„კახა ლაბორალი“ ევროლიგის TOP16-შია გასული, თუმცა იქ E ჯგუფის აუტსაიდერია - 6 მატჩში ერთი მოგება და ხუთი წაგება აქვს. სავარაუდოდ, ამ ტურნირზე ამერიკელის დებიუტი უკვე მომავალ კვირას შედგება, როცა მერვე ტურში „კახა ლაბორალი“ „უნიკახას“ დაუპირისპირდება.









დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@pallitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608